ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ჯჰიფ,ფსბ7 § ყჯტვ,ტჰბ7 )!§ 1278 (6589) აფცბ5 №) სტსჰბ

## საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა იაპონიის ნაკრები 35:24 დაამარცხა

გვ.3

# დავით ლორთქიფანიძე: აუდიტის სამსახური ნაცმოძრაობის დანაშაულებს მალავს“



გვ.4

„აუდიტის სამსახური ძალიან ლაითად და „ლამაზად“ გადმოვიდა 2013 და 2014 წლების საქმიანობის შესწავლაზე. 2012 წლამდე არსებული ვითარება „დაავიწყდათ“. თავზე ნაცარს თუ დავიყრით და თვალებს დავიბრმავებთ, ყველაფერი ძალიან მარტივად იქნება. ადამიანი, რომელიც დღეს აუდიტის სამსახურს უდგას სათავეში, ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი და აქტივისტი იყო“.



## ლალი აფციაური: ემზარ კვიციანი ორჯერ ამოიღეს პოლიტპატიმრების სიიდან“



ვის მითითებას ასრულებდა პარლამენტი?

გვ.3



„როდესაც ოპოზიცია ქუჩაში გადის, დემონსტრაციებს აწყობს, ეს არის პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი. ეს არის ე.წ პარტიზანული რიგების დათვალიერება. ერთგვარი აღლუმი, დათვალიერება, თუ რამდენი მომხრე გყავს“.

## სანდრო თვალჭრელიძე: ალასანიამ ნაცმოძრაობას ოპოზიციური ბაირაღი ჩამოართვა“

გვ.2

## ნოდარ ნათაძე: გაერომ საქართველოში რიგგარეშე არჩევნები უნდა ჩაატაროს“

გვ.7





## პენიტენციური სისტემა საზოგადოების მიერ უნდა კონტროლდებოდეს“

რა პრობლემები ექმნებათ ციხეში ადვოკატებს

გვ.6

ISSN 1987-9385

კეჰ]ბ ოზსტკბ .ლბსტკბ იფლბ

# სანდრო თვალჭრელიძე: ალასანიამ ნაციონალურ მოძრაობას ოპოზიციური ბაირალი ჩამოართვა“

ნათია ხურცილავა

## ინტერვიუ პოლიტოლოგ სანდრო თვალჭრელიძესთან



***— ბატონო სანდრო, ვინ უნდა ფლობდეს ფარულ მოსმენებზე ე.წ გასაღებს, ამ კანონპროექტის ირგვლივ დიდი ვნებათაღელვაა. პრემიერი და არასამთავრობო სექტორის ერთი ნაწილი დაუპირისპირდა კიდეც ერთმანეთს ამ საკითხზე. როგორია თქვენი პოზიცია?***

— ვფიქრობ, ველოსიპედის გამოგონება არ არის საჭირო. მეჩვენება, რომ ყველაზე სწორი გამოსავალი ვახტანგ ხმალაძემ შემოგვთავაზა. თუმცა, ამ საკითხში პროფესიონალი არ ვარ.

***— ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს ეს პრობლემა რეალურად იდგა, ტოტალურ მოსმენებზე საუბრობდა მაშინ ყველა. ახალი ხელისუფლების ერთ-ერთი პოლიტიკური დაპირება ამ საკითხის გადაჭრაც იყო. დღეს რამდენად შეუძლია მოქალაქემ ამ მხრივ თავი დაცულად იგრძნოს?***

— ბოლო ერთი წლის განმავლობაში სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე არ მგონია, რომ ვინმემ თქვა: უსმენენ. „გასაღების“ პრობლემა არის ის, რომ უკანონო ქმედებებზე იყოს კონტროლი. ჩემთვის სავსებით ცხადია, რომ ოპერატორს არ შეიძლება „გასაღები“ ჰქონდეს. ხომ შეიძლება ოპერატორმა ეს საუბრები სხვადასხვა ბიზნესწრეებს მიჰყიდოს, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში. არასამთავრობო ორგანიზაციების პოზიცია, ვფიქრობ, დიდად გააზრებული არ არის.

***— არაერთგვაროვანი პოზიციაა თავად საპარლამენტო უმრავლესობაში...***

— ეს სავსებით ნორმალური და მისაღებია. რთული პროცესია, რადგან ყველას კარგი ვარიანტის მიღება უნდა. რთული პროცესია კიდევ იმიტომ, რომ ინფორმაცია ცოტა გვაქვს და აზრი ბევრი. ამის ბრალია ბევრი რამ.

***— უმრავლესობის არაერთგვაროვანი პოზიციები საფრთხის წინაშე აყენებს მათ ერთიანობას თუ ეს თავისუფალი მდგომარეობაა დეპუტატების?***

— პირველ რიგში, ეს არის დემოკრატიული პროცესი. დემოკრატიული ცხოვრების ნაწილი. ყველას თავისი აზრი შეიძლება ჰქონდეს და ეს აზრი ღიად დააფიქსიროს, შეიძლება იჩხუბონ კიდეც პარლამენტში, მაგრამ მერე შერიგდებიან, ეს არ არის პრობლემა.

***— ირაკლი ალასანიას და „თავისუფალი დემოკრატების“ შემდეგ, შეიძლება მსგავსი გადაჯგუფებები ვნახოთ „ქართულ ოცნებაში“?***

— რასაკვირველია, შეიძლება მოხდეს და ამაში უცნაური არაფერია. ესეც ხომ დემოკრატიის ნაწილია. მაგალითად, იტალიაში რამდენჯერ ჩატარებულა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები. უმრავლესობა რამდენჯერ დაშლილა, მეგობრები მტრები გამხდარან და პირიქით, დაუძინებელი მტრები მეგობრები, ეს უბრალოდ ცხოვრების კანონია. უცვლელი ამ ცხოვრებაში არაფერი არ არის. ჰერაკლიტემ თქვა: ორჯერ ერთსა და იმავე მდინარეში შესვლა არ შეიძლება. წინ მიდის ყველაფერი. ბოლოს და ბოლოს, მოსაბეზრებელია კინკლაობა „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას შორის. ამიტომ, ახალი, კონსტრუქციული ოპოზიციის გამოჩენა მისასალმებელიც კი არის. „თავისუფალი დემოკრატების“ განცხადებები ძალიან ზომიერი და ლოიალურია. ასეთ პოზიციაზე უნდა ოცნებობდეს ხალხი.

***— „კონსტრუქციული ოპოზიცია“, „არაკონსტრუქციული ოპოზიცია“ რა ტერმინებია, შეიძლება ტერმინი „კონსტრუქციული ოპოზიცია“ საბჭოთა გადმონაშთი იყოს?***

— არავითარ შემთხვევაში არ არის საბჭოთა გადმონაშთი. არაკონსტრუქციული ოპოზიცია არის ნაციონალური მოძრაობა. რა არის არაკონსტრუქციული ოპოზიცია? რაც არ უნდა შესთავაზოს უმრავლესობამ, ხელისუფლებამ ოპოზიციას, საზოგადოებას ყველაფერი ცუდია. წინააღმდეგნი არიან პრაქტიკულად ყველაფრის მიმართ, არა იმიტომ, რომ ასეთია მათი შინაგანი რწმენა და განცდა, არამედ იმიტომ, რომ მისმა პოლიტიკურმა მოწინააღმდეგემ გამოიჩინა ინიციატივა. „კონსტრუქციული ოპოზიცია“ პრინციპულად განსხვავებულია. ის უჭერს მხარს იმას, რისიც სჯერა, ის თავისი პოლიტიკური პრინციპებიდან და შეხედულებებიდან გამომდინარეობს და არა იქიდან, ოპოზიციაშია თუ ხელისუფლებაში. ეს არის განსხვავება „კონსტრუქციულ ოპოზიციასა“ და „არაკონსტრუქციულ ოპოზიციას“ შორის. ეს არის ტერმინი, რომელიც ფრანგმა პოლიტოლოგებმა შემოიღეს. ყველა ევროპულ პარლამენტში არსებობს კონსტრუქციული და არაკონსტრუქციული ოპოზიცია. მაგალითად, ავსტრიაში არის ოპოზიცია, რომელიც ყველაფერს ბლოკავს, რასაც უმრავლესობა შესთავაზებს, მაგრამ არის კონსტრუქციული ოპოზიცია, „სოციალ-დემოკრატების“ სახით და ხშირად ხდება მათ შორის კონსენსუსის მიღწევა.

***— როდესაც ქუჩაში გადის ოპოზიცია, ეს ხომ არის დემოკრატიის ნაწილი, ამ დროს ეს ჯდება კონსტრუქციული ოპოზიციის კრიტერიუმში?***

— როდესაც ოპოზიცია ქუჩაში გადის, დემონსტრაციებს აწყობს, ეს არის პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი. ეს არის ე.წ პარტიზანული რიგების დათვალიერება. ერთგვარი აღლუმი, დათვალიერება თუ რამდენი მომხრე გყავს. 15 ნოემბრის დემონსტრაციამ გვიჩვენა, რომ ნაციონალური მოძრაობის რეიტინგი დაბლა მიდის.

***— „თავისუფალი დემოკრატების“ ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ ნაციონალური მოძრაობა რა როლს შეასრულებს ამ ფლანგზე?***

— საზოგადოება ნაციონალურ მოძრაობას ნაკლებ ყურადღებას მიაქცევს. ნაციონალურმა მოძრაობამ ოპოზიციური ბაირაღი დაკარგა. შეიძლება ვთქვათ, ოპოზიციონერის მედროშეობა ჩამოართვა „თავისუფალმა დემოკრატებმა“ ნაციონალურ მოძრაობას.

***— თუმცა, ისინი პარლამენტში არიან...***

— დიახ, მაგრამ პარლამენტში წარმოდგენილი ნაციონალური მოძრაობის წევრები პროცენტულად ნამდვილად არ ასახავენ მათ რეიტინგს. ეს დაამტკიცა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა, სადაც ნაციონალურმა მოძრაობამ საქართველოში ვერც ერთი მაჟორიტარული ოლქი ვერ მოიგო.

***— მათ მიერ გამოყვანილ ხალხზე რას იტყვით?***

— ალბათ, 15 ათასი ადამიანი იყო მთელი საქართველოს მასშტაბით ჩამოყვანილი. ეს პროცენტულად რამდენია რომ გადავიანგარიშოთ, ყველაფერი ნათელია.

***— ბატონო სანდრო, თქვენ ამბობთ, რომ მთავარი ოპოზიციური ძალა „თავისუფალი დემოკრატები“ იქნებიან?***

— ძალიან მინდა, რომ ჩვენ ნაკლებად პოლიტიზირებულები ვიყოთ. სხვა რამეზე უნდა ვიფიქროთ, ვიაროთ თეატრში, კინოში. ვისაუბროთ ლიტერატურაზე, მეცნიერებაზე.

***— ალბათ შესაბამისი უნდა იყოს ცხოვრებაც...***

— რასაკვირველია. შესაბამისი რომ იყოს ცხოვრება, თეატრში რომ იაროს ადამიანმა, ამისთვის საჭიროა ბოლოს და ბოლოს ჩამოყალიბდეს რეალური პოლიტიკური ძალები. სანამ ორი, სამი ძლიერი პოლიტიკური პარტია არ ჩამოყალიბდება, მანამდე ჩვენი პოლიტიკა თოჯინების თამაში იქნება. დღეს პარლამენტში სხედან და თავიანთი თავი მართლა პოლიტიკოსები ჰგონიათ. ბიძინა ივანიშვილი რომ არ ყოფილიყო, რომელ პარლამენტში იქნებოდნენ?! მათ კი არ მისცეს ნდობის მანდატი, ბიძინა ივანიშვილს მისცეს. ამიტომ ვფიქრობ, რომ არჩევნების პროპორციული სისტემა უნდა გაქრეს და მაჟორიტარულ სისტემაზე უნდა გადავიდეთ, რათა მეტი იყოს პასუხისმგებლობა. მაჟორიტარული სისტემა ითვალისწინებს ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას და არა კოლექტიურს.

***— მოქმედი სისტემა შერეული, მაჟორიტარული და პროპორციული არ მოგწონთ?***

— ეს როგორ შეიძლება მომეწონოს, დამღუპველია. შერეული სისტემა ჩემთვის სრულიად მიუღებელია.

# კოდორთან დაკავშირებით სააკაშვილი, ოქრუაშვილი და ალასანია უნდა დაიკითხონ“

პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული ქვემო ქართლის მხარეში ლევან მამალაძე, კოდორის ხეობაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის, თავდაცვის ექსმინისტრ ირაკლი ოქრუაშვილისა და აფხაზეთის მთავრობის ყოფილი ხელმძღვანელის ირაკლი ალასანიას დაკითხვას ითხოვს.

ლევან მამალაძე კოდორის ხეობაში არსებულ ვითარებაზეც საუბრობს და აცხადებს, რომ ერთადერთი გამოსავალი კოდორის ხეობის შენარჩუნებისა, იქ, ადგილობრივებით დაკომპლექტებული რაზმის — „მონადირის“ შექმნა იყო, რომელსაც სათავეში ემზარ კვიციანი ჩაუდგა და რომელიც ხეობაში დაგეგმილი პროვოკაციების თავიდან აცილებას ახერხებდა.

„კვიციანების ოჯახი და კოდორელები იცავდნენ კოდორის ხეობას და ეს ამ ტერიტორიის შესანარჩუნებლად ერთადერთი ვარიანტი იყო, რადგანაც კოდორი რუსი სამშვიდობოების კონტროლის ზონაში შედიოდა, იქ ქართული შეიარაღებული შენაერთების ყოლა აკრძალული იყო. სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად, ჩვენი ჯარის იქ გამოჩენა კოდორის დაკარგვას გამოიწვევდა. ამიტომ, რაზმი „მონადირე“ ადგილობრივებით დაკომპლექტდა და ქართულ გვარდიას დაექვემდებარა. ემზარის ხალმძღვანელობით ხდებოდა პროვოკაციების თავიდან არიდება, რუსული დესანტის განდევნა და სტრატეგიული ტერიტორიის შენარჩუნება.

სააკაშვილმა მონადირის გაუქმებით, კოდორში ჯარისა და პოლიციის შეყვანით, ხეობა დაკარგვის წინაშე დააყენა. სწორედ ამის წინააღმდეგ გამოვიდა ემზარი.

გაიხსენეთ ! კვიციანმა საჯაროდ გააფრთხილა ყველა, ეს კოდორის დაკარგვას გამოიწვევსო. მას ერთადერთი გზა დარჩა , არ დამორჩილებოდა ხელისუფლებას და საზოგადოების მხარდაჭერით შეეჩერებინა სააკაშვილის პროვოკაცია. ემზარს რომ სდომოდა, იქ ასულ სამხედროებს ცეცხლს გაუხსნიდა და დიდი მსხვერპლი იქნებოდა. მან ეს არ გააკეთა. დაჭრილი პოლიციელები, ეს მიშას პიარის შემადგენელი ნაწილი იყო, კვიციანების დევნის გასამართლებლად. სინამდვილეში ნაღმტყორცნს სამხედროები ისვრიან (კადრშიც ჩანს) და ტყვიაც უკნიდან მოხვედრიათ. ამაზე პასუხი ფირცხალავას უნდა მოეკითხოს. ემზარ კვიციანი სისხლიან დაპირისპირებას გაერიდა, სააკაშვილმა ხეობაში ჯარი შეიყვანა, ნორა კვიციანი დაატუსაღა, შედეგად კი კოდორი დაკარგა.

საგამოძიებო კომისიამ უნდა დაკითხოს სააკაშვილი, ოქრუაშვილი, ალასანია და სხვები და გაირკვეს რატომ წავიდნენ აფხაზებთან 1994 წლის სამშვიდობო ხელშეკრულების დარღვევაზე, რატომ შექმნეს კოდორის დაკარგვის იურიდიული საფუძველი იქ ჯარის შეყვანით, მოლაპარაკების გზით რატომ არ დაარეგულირეს ურთიერთობა კვიციანთან, რატომ დათმეს უბრძოლველად კოდორი და გადასცეს ამერიკული იარაღი რუსებს“, — აცხადებს ლევან მამალაძე.

ნიუსპრესი

# გიორგი მარგველაშვილი: როგორც აფხაზების, ასევე ოსების მომავალი მხოლოდ ერთიან საქართველოშია“



პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, მოსკოვის ნაბიჯი ალოგიკურია იმის ფონზე, რა პოლიტიკასაც საქართველო რუსეთთან აწარმოებს.

აღნიშნული განცხადებით პრეზიდენტი, რუსეთსა და დე-ფაქტო აფხაზეთის ხელისუფლებას შორის, ე.წ. შეთანხმების შესაძლო გაფორმებას გამოხმაურა.

მარგველაშვილი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსაზრებას იზიარებს და აცხადებს, რომ ე.წ. შეთანხმება, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოქალაქეების ინტერესებს ეწინააღმდეგება.

,,მინდა ყველას გავაგებინოთ, რომ როგორც აფხაზების, ასევე ოსების მომავალი, მხოლოდ ერთიან საქართველოშია. ამის გაგება ნელ-ნელა უფრო აქტიური ხდება აფხაზებსა და ოსებში, რადგან რეალურად, საკუთარი თავის დაცვა, ჩვენი კულტურისა და ჩვენი სახელმწიფოს საზღვრებშია შესაძლებელი.

მინდა ხაზგასმით ვთქვა, რომ ჩვენ ამ ნაბიჯს ვეწინააღმდეგებით, რომელსაც მოსკოვი დგამს“,-აცხადებს გიორგი მარგველაშვილი.

20 ნოემბერს, რუსეთის ფედერაციის მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომელიც აფხაზეთთან ,,მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“ ხელშეკრულების შეთანხმებული ვარიანტის რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტისათვის ხელმოსაწერად გადაგზავნას ითვალისწინებს.

ნიუსპრესი

# საქართველოს საგარეო უწყება რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილების შესახებ შეშფოთებას გამოთქვამს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო შეშფოთებას გამოხატავს 2014 წლის 20 ნოემბერს, რუსეთის ფედერაციის მთავრობის მიერ მიღებული დადგენილების თაობაზე, რომელიც საქართველოს განუყოფელ ნაწილთან — აფხაზეთთან „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“ ხელშეკრულების შეთანხმებული ვარიანტის რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტისათვის ხელმოსაწერად გადაგზავნას ითვალისწინებს.

ამის შესახებ უწყება საგანგებო განცხადებას ავრცელებს.

„მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმული არაერთი კონსტრუქციული ნაბიჯისა, რუსეთთან პოლიტიკურ ასპექტში პროგრესი ვერ იქნა მიღწეული. რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლების პერიოდული განცხადებები საქართველოსთან ურთიერთობების ნორმალიზების სურვილის შესახებ, აშკარა წინააღმდეგობაშია მათ მიერ რეალურად გადადგმულ ნაბიჯებთან.

საქართველო არასდროს შეეგუება ტერიტორიული მთლიანობის შელახვას და შესაბამისად ამ საკითხში არავითარ კომპრომისზე წასვლას არ აპირებს. მივმართავთ საერთაშორისო თანამეგობრობას, სათანადო შეფასება მისცეს რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ანექსიისკენ გადადგმულ ამ ნაბიჯს და გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა ბერკეტი, რათა ხელი ააღებინოს რუსეთის ფედერაციას საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ მორიგ აგრესიულ ქმედებებზე.

ამაზე ისაუბრა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბრიუსელში ვიზიტისას ევროკავშირსა და ნატოში შეხვედრების დროს და საგარეო საქმეთა მინისტრმა ლონდონსა და პრაღაში გამართულ შეხვედრებზე. ამ საკითხების შესახებ გვექნება საუბარი მომავალ კვირას საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე და აგრეთვე დაგეგმილ ნატოსა და ეუთოს საგარეო საქმეთა მინისტერიალებზე“, — ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
[illegible]
www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
[illegible]

## ნაციონალური მოძრაობის ოფისს კვერცხები დაუშინეს

არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი თაობის“ წევრებმა, გუშინ პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ სათაო ოფისთან საპროტესტო აქცია გამართეს. აქციას ინციდენტის გარეშე არ ჩაუვლია.

„თავისუფალი თაობის“ წევრებმა პარტიის ოფისის მისამართით კვერცხები და პომიდვრები ისროლეს.

ადგილზე მობილიზებულმა სამართალდამცველებმა აქციის რამდენიმე მონაწილე დააკავეს.

როგორც „თავიასუფალი თაობის“ წევრები აცხადებენ, ისინი „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისთან, ბუტა რობაქიძის მკვლელობიდან 10 წლის გასვლის აღსანიშნავად შეიკრიბნენ და „ნაციონალებს“ და საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენეს ყოფილი ხელისუფლების ნამდვილი სახე.

მათ გუშინ პარტიის ოფისში დამჭკნარი ვარდების შეტანაც სცადეს.

ამირან (ბუტა) რობაქიძის მკვლელობიდან დღეს 10 წელი შესრულდა.

ბუტა რობაქიძე დიდუბის ეკლესიასთან საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მოკლეს.

ნიუსპრესი

## ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის ანგარიშის თანახმად, ხელისუფლებამ უნდა აჩვენოს, რომ საქართველოში შერჩევითი სამართლისთვის სივრცე არ არის

ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეა ანგარიშში „ნატო-ს ღია კარის პოლიტიკა და ურთიერთობა მოკავშირეებთან“, საქართველოს ხელისუფლების მიერ ჩატარებულ რეფორმებს აფასებს.

ანგარიშში დაფიქსირებულია, საქართველოს პროგრესი, რომელსაც ქვეყანამ მიაღწია ევროატლანტიკური მისწრაფების, რეფორმების, ყოველწლიური ეროვნული პროგრამისა და ალიანსთან პოლიტიკური ჩართულობის საშუალებით.

თუმცა, ანგარიშში აღნიშნულია ასევე, რომ ქვეყანაში ყოფილი ყოფილი მაღალი თანამდებობის პირთა დაპატიმრებები და სამართებლივი დევნა პოლიტიკურად მოტივირებულია და ეს შეშფოთების მიზეზს იძლევა.

ანგარიშში როგორც ალიანსის ლიდერები აღნიშნავენ, ხელისუფლებამ უნდა აჩვენოს, რომ ქვეყანაში შერჩევითი სამართლისთვის სივრცე არ არის.

ნიუსპრესი

## დასავლეთ საქართველოს მუფთი ჯემალ პაქსაძე გადადგა

დასავლეთ საქართველოს მუფთი ჯემალ პაქსაძე გადადგა. როგორც „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას ჯემალ პაქსაძემ აღნიშნა, განცხადება თანამდებობიდან გადადგომის შესახებ საკუთარი ნებით დაწერა და რაიმე სახის ზეწოლა არ ყოფილა.

მისივე განმარტებით, ბოლო დროს ჯანმრთელობა გაუუარესდა, რის გამოც თანამდებობის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო. „საკუთარი სურვილით გადავდექი დაკავებული თანამდებობიდან, ჯანმრთელობის გაუარესების გამო. ბოლო დროს გულის შეტევით ორჯერ კლინიკაში მომათავსეს. რაიმე სახის ზეწოლა გადადგომასთან დაკავშირებით არ ყოფილა. 22 ნოემბერს 11:00 საათზე ჩავატარეთ რელიგიათა საბჭოს სხდომა, სადაც ხმათა უმრავლესობით აირჩიეს ხელვაჩაურის მუფთი ბეგლარ ქამაშიძე“, — აღნიშნა ჯემალ პაქსაძემ.

ჯემალ პაქსაძე მუფთის თანამდებობაზე 2010 წელს რელიგიურმა მეჯლისმა დანიშნა.

ათბ–ნიუსი

## საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა იაპონიის ნაკრები 35:24 დაამარცხა

საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა იაპონიის ნაკრები ანგარიშით, 35:24 დაამარცხა. ტესტმატჩი თბილისში, მიხეილ მესხის სტადიონზე გაიმართა.

ქართველმა მორაგბეებმა მატჩის პირველი ტაიმიც გამარჯვებით, 17:10 დაასრულეს. მეორე ტაიმში „ბორჯღალოსნებმა“ კიდევ ორი ლელო გაიტანეს და საბოლოო ანგარიში 35:24 დაფიქსირდა.

საქართველოსა და იაპონიის ნაკრებები ბოლოს ერთმანეთს 2012 წლის ნოემბერში დაუპირისპირდნენ. თბილისში გამართულ შეხვედრაში გამარჯვება სტუმარმა გუნდმა მოიპოვა.

ათბ–ნიუსი

## საქართველოს მოქალაქე არასრულწლოვნებს 73 წლის მამაკაცთან სექსუალურ კავშირს აიძულებდა

საბერძნეთში მყოფი საქართველოს მოქალაქე, არასრულწლოვნებს 73 წლის მამაკაცთან სექსუალურ კავშირს აიძულებდა. ამასთან, ის ამ პროცესს ფირზე იღებდა.

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ინფორმაციით, რომელიც თავის მხრივ ბერძნულ მედიასაშუალებებს ეყრდნობა, საქართველოს მოქალაქე ქალაქ კატერინში ცხოვრობდა. ის 39 წლისაა.

ბერძენი სამართალდამცავების ინფორმაციით, ერთ-ერთი გოგონა, რომელსაც 73 წლის მამაკაცთან სექსუალური კავშირი ჰქონდა, 17 წლისაა. ის ამჟამად საავადმყოფოშია გადაყვანილი და ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას გადის.

ბერძენი მამაკაცის სახლში აღმოჩენილია ოთახი, სადაც, სავარაუდოდ, არასრულწლოვნების გაუპატიურება და სცენების ფირზე გადაღება ხდებოდა.

ბერძნული მედიის ცნობითვე, საქართველოს მოქალაქე უკვე დაკავებულია. მისი საცხოვრებელი ბინიდან კი ათი დისკია ამოღებული, რომელზეც მსგავსი სცენებია აღბეჭდილი. ამოღებულია აგრეთვე ფოტოსურათები, ვიდეოკამერა და სხვა აპარატურა.

ნიუსპრესი

# ლალი აფციაური: ემზარ კვიციანი ორჯერ ამოიღეს პოლიტპატიმრების სიიდან“

## ვის მითითებას ასრულებდა პარლამენტი?

ნონა ცაბაძე



ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ადვოკატი ლალი აფციაური აფასებს.

***— ქალბატონო ლალი, როგორც უფლებადამცველი, მოდით, ციხეებში არსებული მდგომარეობით დავიწყოთ, საუბარია, რომ მერვე დაწესებულებაში საგანგაშო მდგომარეობაა. ასეა?***

— ეს ისეთი მძიმე საკითხია, რომ მე აუცილებლად ობიექტური უნდა ვიყო. პირადად მე არაერთი პატიმარი მყავს მერვე საპყრობილეში და ჩემი პატიმრებისგან მსგავსი ინფორმაცია არ მსმენია. ჩემთან არ თემაზე არ უსაუბრიათ. როდესაც საპყრობილეში შევდივარ, პირველ რიგში, ყოველთვის იმას ვკითხულობ — რა ხდება, ხომ მშვიდობით ხართ? და ყოველთვის მაქვს დამაკმაყოფილებელი პასუხი. აი ეს შემთხვევა, რაც ახლა სახალხო დამცველმა გააჟღერა, ეს არის კატასტროფა! წარმოუდგენელია! სწორედ ამის გამო, პირდაპირი მნიშვნელობით, სააკაშვილს და მის მინისტრებს თავზე ვამხობდით ყველაფერს. დღეს თუ ახალმა ხელისუფლებამ იგივე გაიმეორა, ეს არის კატასტროფა და მინდა გითხრათ, რომ ძალიან ცუდად დაასრულებენ! არ ვიცი, ახლა შედეგები ჰქონდა რამე ამ გახმაურებას, იყო გამოძიება, დაისაჯა ვინმე, შეუჩერდა თუ არა უფლებამოსილება, ეს ინფორმაცია მე არ მაქვს. თუმცა, ამის მიუხედავად, მდგომარეობა საგანგაშოა. მე ეჭვი არ მეპარება სახალხო დამცველის, მით უმეტეს, კახიშვილმაც დაადასტურა და უკვე ეჭვის შეტანა ძალიან ძნელია. ფაქტია, რომ მოხდა და ეს არის კატასტროფა. თუ ასე გააგრძელა ხელისუფლებამ, ძალიან მოკლე დროში დაასრულებს მოღვაწეობას!

***— რასთან გვაქვს საქმე? რეჟიმმა თავისი კვალი დატოვა? ასე უფრო მარტივია ციხის მართვა თუ რა ხდება?***

— ხომ იცით, როგორც არის, საპყრობილეში 99% დარჩენილია ძველი კადრები. არაფერი შეცვლილა, არავინ შეცვლილა. ხელმძღვანელები მოიხსნა, დანარჩენი ყველა დარჩა ადგილზე. აქ როგორი სიტუაციაა იცით? მიუჩვეველს ნუ მიაჩვევ და მიჩვეულს ნუ გადააჩვევო... ხელების ქნევა ისე აქვთ სისხლში გამჯდარი, რომ დარწმუნებული ვარ, ოჯახის წევრებზეც ხშირად იყენებენ. სად იყვნენ ეს ახალი დანიშნული ხელმძღვანელები? რეაგირებას რატომ არ ახდენდნენ? დავიჯერო, ისე მოხდა ყველაფერი, რომ ვერ გაიგო ციხის ადმინისტრაციამ?! ციხის ადმინისტრაციის გარეშე მოხდა ეს? რაღაც ეჭვი მეპარება! იქ ის სიტუაციაა, სადაც ყველაფერი კონტროლის ქვეშ არის და მეეჭვება, რამე არ სცოდნოდათ. არ ვიცი, რა გითხრათ, ან ძველი კადრების ბრალია, ან ვიღაცებს მოსწონთ ეს ძველი რეჟიმი, ის მიდგომები და თუ ასე აპირებენ გაგრძელებას, ეს ძალიან სახიფათოა.

***— ციხის ადმინისტრაცია სად იყოო და ესე იგი სანამ არ გამოჟონა, მანამ რეაგირება არ მოახდინეს?***

— ასე გამოდის. შემთხვევით რომ არ ენახა მონიტორინგის ჯგუფს, ვინმე რამეს გავიგებდით?!

***— აქ მხოლოდ ციხის უფროსის უპასუხისმგებლობაზე შეიძლება საუბარი თუ მინისტრზე, მოადგილეებზე?***

— აქ მეტ-ნაკლებად ყველას პასუხისმგებლობის საკითხია. განსაკუთრებულად, რა თქმა უნდა, ციხის ადმინისტრაციის და არანაკლები პასუხისმგებლობა აქვს მინისტრს! როგორ, მისი ხელქვეითი ამას როგორ უნდა ბედავდეს?! მით უმეტეს, ისეთ დროს, როდესაც ციხის კადრებს გადაყვა ნაციონალური ხელისუფლება, ხომ?! დღეს ამას როგორ უნდა ბედავდეს ვიღაც? ხელით შეხებაც დაუშვებელია, მაგრამ დავუშვათ ხელით შეეხო, მაგრამ იმის გაგრძელება რა არის? ანუ სველი ტანსაცმლით ხელბორკილდადებული ადამიანი, უმწეომდგომარეობაში ჩაყენებული და აგრძელებს მის წამებას?! ზოგადად ამის გამკეთებელი ფსიქიურადაც ვერ უნდა იყოს თავის ჭკუაზე.

***— ალბათ, საზოგადოების მხრიდან, უფლებადამცველებისგან უნდა იყოს საკმაოდ მკაცრი და მკვეთრი რეაქცია, რომ აღმოიფხვრას ეს პრეცედენტი...***

— იცით რა არის? მე ერთ ძველ ისტორიას გავიხსენებ. სააკაშვილი როდესაც იყო იუსტიციის მინისტრი, მას იმ პერიოდში აწყობდა პოპულარობა და შექმნა მონიტორინგის ჯგუფი. ანუ საპატიმროებში შედიოდნენ ნდობით აღჭურვილი პირები, არასამთავრობო ორგანიზაციები. თითო არასამთავრობო ორგანიზაციიდან იყო თითო ადამიანი და გეტყვით, რისი უფლებაც მქონდა, შუაღამისას რომ ჩამეთვალა საჭიროდ, სპეციალური საშვები გვქონდა და შუაღამე რომ ყოფილიყო, თავისუფლად შემეძლო შევსულიყავი ციხეში, ნებისმიერ კამერაში და შემემოწმებინა იქ არსებული მდგომარეობა. დღეს ვის აქვს ახლა საპყრობილეში შესვლის უფლება?! მხოლოდ და მხოლოდ სახალხო დამცველს! მე ვფიქრობ, უნდა შეიქმნას დამატებითი ჯგუფი არასამთავრობო ორგანიზაციებისგან და უნდა გაკონტროლდეს სიტუაცია. მიმაჩნია, რომ დღეს უმძიმესი მდგომარეობაა. მარტო არასამთავრობოები კი არა, სად არიან პარლამენტში ჩემი კოლეგები?! „დიდი უფლებადამცველები“? გააკეთა ვინმემ კომენტარი?! ხმას რატომ არავინ იღებს?!

***— ეს ხომ ყოველთვის ასეა, სავარძლებზე რომ დასხდებიან, აღარავინ და აღარაფერი აღარ ახსოვთ... საკუთარი განცხადებებიც ავიწყდებათ, რისთვისაც იბრძოდნენ, ისიც ავიწყდებათ...***

— სამწუხაროდ, ასეა. ყველაზე მინიმუმ, განცხადება მაინც უნდა გაკეთებულიყო. ალბათ, თვითონ ადამიანებზეა დამოკიდებული. პირადად მე საკუთარ ძმას არ დავინდობ ასეთ შემთხვევაში. ასეთი მიდგომები როგორ შეიძლება?!

***— კიდევ ერთ აქტუალურ თემას შევეხოთ, ემზარ კვიციანის საქმეს რაც შეეხება, თქვენთვისაც ცნობილია, რომ მას 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. არის დიდი პროტესტი საზოგადოებაში, დაიწყო საპროტესტო გამოსვლებიც, რას ფიქრობთ თქვენ?***

— სამართლიანია ყველაფერი! სამართლიანია პროტესტიც, სამართლიანია აქციებიც და სამართლიანია ხალხის გამოსვლაც და შიმშილობის აქციაც. იმიტომ, რომ კვიციანის საქმე მე წაკითხული მაქვს, შესწავლილი მაქვს, მეტ-ნაკლებად ვიცი, რაც ხდება ძირითად საქმეში. კვიციანზე სალაპარაკო რომ მიეცემა ფირცხალავებს და ვიღაც-ვიღაცებს. გამოდის ფირცხალავა და ამბობს, კვიციანმა მოკლა რომან სიგუაო. თუკი ასე იყო, შენ რომ მაღალჩინოსანი ხარ, მაშინ რატომ არ დააკავე, ახლა რომ აკეთებ ბრტყელ-ბრტყელ განცხადებებს?! აი, ასეთი ცილისმწამებლური განცხადებებით ვერაფერს გახდებიან. ემზარ კვიციანის საქმე ძალიან კარგად ვიცი, რადგან პოლიტპატიმართა სიისთვის მე მოვამზადე დასკვნა.

***— ორჯერ ამოიღეს პოლიტპატიმართა სიიდანო, რა მოხდა, რატომ ამოიღეს, რაზე ვერ შეთანხმდნენ?***

— დიახ, ამოიღეს. პირველ სიაში, მიუხედავად იმისა, რომ დროულად იქნა შეტანილი, გადაწყდა, რომ მეორე სიით უნდა მომხდარიყო პოლიტპატიმრად აღიარება, ხომ იყო პირველი ეტაპი და მეორე ეტაპი და ეს მეორე ეტაპი საერთოდ აღარავის აღარ ახსოვს. სხვათა შორის, ასე დარჩა მამალაძე და კიდევ არაერთი ადამიანი მეორე სიის მოლოდინში. კვიციანზე იმდენი რამე ითქვა უკვე, მე ახალი რაღა უნდა ვთქვა. აბსოლუტურად ვეთანხმები ყველას იმ გამონათქვამებში, როგორც მას ახასიათებენ, როგორც ვაჟკაცს, როგორც სამშობლოს მოყვარულს პატრიოტს, ერთგულს, მებრძოლს! ფაქტიურად კოდორი მართლაც კვიციანის შენარჩუნებული იყო. უსამართლოდ მოექცნენ!

***— პარლამენტმა ამოიღო სიიდან?***

— დიახ, ასე იყო, ამოიღეს სიიდან!

***— რა სახელდებოდა ამის მიზეზად?***

— ამის მიზეზი ჩვენთვის არავის არ უთქვამს. აქამდე კვიციანი პოლიტდევნილი იყო და დღეს უკვე გახდა პოლიტპატიმარი! ამ ხელისუფლების სამარცხვინოდ! იცით, ამ ეტაპზე მე სასამართლოსგან არაფერი მიკვირს. სასამართლო დღეს მაინც ექვემდებარება კუბლაშვილს. კუბლაშვილი და მასზე მიბმული სასამართლო კი ვიცით, უკვე საითაც გადაწონის. მე მიკვირს პროკურატურის. მე გაოცებული ვარ ბრალდების მხარისგან, რომელმაც წარადგინა არარსებული მტკიცებულებები! და ამ მტკიცებულებების საფუძველზე, სასამართლომ მიუსაჯა მაქსიმალური, მან ნაციონალების დაკვეთა შეასრულა.

***— მაშინ გამოვიდა, რომ პროკურატურამაც ნაციონალების ინტერესები გაითვალისწინა?***

— ასე გამოვიდა... კი არ გამოვიდა, ასეა!

***— თუ ელოდებით, რომ შეიცვლება სიტუაცია სააპელაციო სასამართლოში?***

— იცით რა, თუ ბრალდების მხარემ არ გააფორმა მასთან საპროცესო შეთანხმება, რომელიც ბრალდების ხელშია, სასამართლოს იმედი ნამდვილად არ მაქვს ასეთი განაჩენის შემდეგ. ამიტომ კვიციანის ბედი, დღეს ისევ ბრალდების მხარის ხელშია. მათ ძალიან მარტივად შეუძლიათ, რომ მასთან გააფორმონ საპროცესო შეთანხმება, რომელსაც სასამართლო უპირობოდ დაამტკიცებს!

***— ითქვა, რომ პროკურატურამ შესთავაზა საპროცესო, ოღონდ ბრალის აღიარების სანაცვლოდ, რაზეც კვიციანს უარი უთქვამს...***

— კანონშია ეგ ცვლილება შეტანილი, რომ სავალდებულოა ბრალის აღიარება. აქამდე იყო ბრალის აღიარების გარეშე, ამ ბოლო პერიოდში შევიდა ცვლილებები, რომ მხოლოდ და მხოლოდ ბრალის აღიარებით მოხდება საპროცესო შეთანხმება. ჩვენ არ გვაინტერესებს, პროკურატურამ მონახოს გზა! მთავარია, რომ ყველამ იცის, რომ ეს კაცი არის უდანაშაულო. ხოლო თუ ასე გააგრძელებენ და ეს დანაშაული დარჩება ძალაში, მე წინასწარ შემიძლია პროგნოზები გავაკეთო, რომ ამით დაიწყება ახალი ხელისუფლების საწინააღმდეგოდ პირველი და საკმაოდ სერიოზული აქციები.

***— ვეტერანები ძალიან იმუქრებიან...***

— არამარტო ვეტერანები. იცით რა, მე აუცილებლად შევუერთდები ამ აქციას და ჩემნაირი არაერთია. მე დავდგები სიმართლის მხარეს! იმიტომ, რომ ვინმეს ესიამოვნოს, უკან არ დავიხევ! აუცილებლად გავალ იმ აქციაზე და შევუერთდები მოთხოვნას — თავისუფლება ემზარ კვიციანს!

***— კიდევ ერთი თემა, რაც შეეხება გასაღებს, მოსმენებთან დაკავშირებით. სერიოზული განხილვები და დავა მიდის და შედეგს ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს... როგორ ფიქრობთ, უნდა ჩამოერთვას შსს-ს ეს უფლება?***

— იცით რა არის? თუ კანონიერი იქნება ყველა მათი საგამოძიებო მოქმედება, თუ მკაცრად გაწერილი კანონის ფარგლებში იქნება ეს მოსმენები, იქნება გაკონტროლებული მაქსიმალურად, ასეთ შემთხვევაში ვერ ვხედავ პრობლემას, რომ იყოს შსს-ში. იმიტომ, რომ ეს მოსმენების თემა არ არის ყურს იქით გასატარებელი, გვისმენენ და მორჩა. ამ მოსმენებზე ძალიან ხშირად ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოება დგას. უამრავი მტერი გვყავს და უამრავი ინფორმაციის მიღება შეიძლება ამ მოსმენებით. საუბარი რომ იყო მობილურ ოპერატორებზე, ჩემი აზრით, მათ ხელში არ უნდა ჩავარდეს. ეს კომპანიები უცხო ქვეყნის მოქალაქეების არის და აქედან გამომდინარე, ეს კატეგორიულად დაუშვებელია! რაც არ უნდა გააფრთხილო, რაც არ უნდა მკაცრი ღონისძიება იყოს გათვალისწინებული ამ დანაშაულის ჩადენისათვის, თუკი რამე უკანონო მოხდა, ეს მაინც კატეგორიულად გამორიცხულია! მე მირჩევნია, რომ ჩემი ქვეყნის უსაფრთხოება ხელში ეკავოს, რა თქმა უნდა, იმ ორგანოს, რომელიც სახელმწიფო სტრუქტურაა და ხელი მიუწვდება იგივე საგამოძიებო მოქმედებებზე, იგივე მეთვალყურეობაზე. მე მოსმენის არ მეშინია, მისმენდნენ და ნეტა გებულობდნენ და ესმოდეთ ჩემი ნათქვამი, მისმენდნენ და ესმოდეთ! ზოგადად კი ეს ყველაფერი ძალიან ფაქიზი თემაა და ძალიან მკაცრ კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს!

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

☎ 555-02-32-08, ქალბატონი ფიქრია

# დავით ლორთქიფანიძე: აუდიტის სამსახური ნაცმოძრაობის დანაშაულებს მალავს“

## ზვიად სიჭინავას წინააღმდეგ საპროტესტო აქცია იგეგმება

შორენა მარსაგიშვილი



**რა პროცესები დაიწყო „ქართულ ოცნებაში“, რა მიზანს ემსახურება აუდიტის სამსახურის აქტიურობა, რამ გაამწარა გივი თარგამაძე, რა მაქინაციებს ხლართავს ფეხბურთის ფედერაცია, ამ თემებზე „ახალ თაობას“ დეპუტატი დავით ლორთქიფანიძე ესაუბრება:**

***— პარლამენტის ვიცე-სპიკერი მურმან დუმბაძე აცხადებს, რომ საპარლამენტო უმრავლესობას სულ მცირე, 12 კაცი მაინც დატოვებს. თქვენ, როგორც უმრავლესობის წევრი, რას გვეტყვით ამაზე? შეინიშნება მსგავსი მოძრაობები?***

— მურმან დუმბაძე „ქართული ოცნების“ შექმნის პირველი დღიდან აქტიურად იყო ჩაბმული პროცესებში. მას კარგი ურთიერთობები ჰქონდა და აქვს უმრავლესობის დეპუტატებთან. ის ამ განცხადებას ჰაერზე არ გააკეთებდა. რახან ამბობს, რომ უმრავლესობას დატოვებენო, ეტყობა, ამ თემაზე მათთან ისაუბრა. არ გამოვრიცხავ, რომ მალე მართლაც წამოვიდნენ უმრავლესობიდან ვიღაცები.

***— უკვე ხომ არ გამოიკვეთნენ წამსვლელები?***

— ჯერ ასეთი ძვრები არ შეინიშნება. მეტსაც გეტყვით, ამ დროისთვის ის უკმაყოფილებაც გაქრა, რაც აქამდე იყო.

***— რას უკავშირდებოდა ეს უკმაყოფილება?***

— კოალიცია „ქართულ ოცნებაში“, მოგეხსენებათ, ექვსი პოლიტიკური პარტია იყო გაწევრიანებული. „თავისუფალი დემოკრატების“ გასვლის შემდეგ დავრჩით ხუთნი. ჩვენ, პარტია „ქართული ოცნების“ წევრები, უკმაყოფილო ვიყავით პარტიის საქმიანობით. ჩვენ უკმაყოფილო ვიყავით იმით, რომ პარტია სერიოზულად არ ძლიერდებოდა. დღეს ეს ვითარება აშკარად შეცვლილია.

***— წინა ინტერვიუში თქვენ განაცხადეთ, რომ პარტიის ახალი გენერალური მდივანი, ზვიად ჯანყარაშვილი ვითარების შეცვლას აპირებდა. ეს ცვლილებები მას უკავშირდება?***

— მას უკავშირდება. ახლო მომავალში პარტია აუცილებლად ამოიქოქება. საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრები სასიამოვნო მოლოდინის განცდით არიან შეპყრობილი.

***— კონკრეტულად რას ელოდებით?***

— იმას, რომ რაიონებში მოხდება პარტიის გაძლიერება და, რაც მთავარია, პარტია პატიოსანი და კომპეტენტური კადრებით დაკომპლექტდება. ამასთან ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრები აქტიურად ჩავერთვებით პროცესებში. რაც პარტიას მნიშვნელოვნად გამოაცოცხლებს. ახალ გენერალურ მდივანს უკვე ორჯერ შევხვდით და ბევრ საკითხზე ვისაუბრეთ. წინგადადგმული ნაბიჯები უკვე აშკარაა და ამას ხალხიც მალე იგრძნობს. პარტია აუცილებლად გაძლიერდება, რამაც ფრაქციის წევრებიც დაამშვიდა.

***— პარტია „ქართული ოცნების“ გაძლიერება კოალიციაში შემავალი სხვა ძალების გაღიზიანებას არ გამოიწვევს?***

— რატომ უნდა გაღიზიანდნენ? მთელი ამ ხნის მანძილზე კოალიციაში შემავალი ძალები ცდილობდნენ პარტიული რგოლები და გავლენები გაეძლიერებინათ. მათ ამას მიაღწიეს და ეს მისასალმებელია. კოალიციაში შემავალი ყველა ძალა წინ იხედება. ყველას გაცნობიერებული აქვს, რომ ადრე თუ გვიან მათ დამოუკიდებლად მოუწევთ არჩევნებში მონაწილეობა. ახლა ისინი გამგეობებსა და საკრებულოებში სოლიდურად არიან წარმოდგენილი. მათგან განსხვავებით, პასიურობდა ჩვენი პარტია. პარტია „ქართული ოცნება“ ფაქტიურად თამაშგარე მდგომარეობაში აღმოვჩნდით. პარტიის მშენებლობისთვის მხოლოდ ახლა მოვიცალეთ. ჩვენი გაძლიერება კოალიციაში შემავალი სხვა ძალების გაღიზიანების მიზეზი არ გახდება. ჩვენ მათ პარტიულ გეგმებში არ ჩავრეულვართ და არც ისინი ჩაერევიან ჩვენს საქმეში.

***— პარტიის გაძლიერება კარგია, მაგრამ ე.წ. ჩანერგილებს რას უშვრებით? არაერთხელ ითქვა, რომ ასეთი ხალხი ბლომად არის თქვენთან. იგეგმება თუ არა „ქართული ოცნების“ გაწმენდა ასეთი ხალხისგან?***

— „ქართული ოცნების“ გასუფთავების პროცესი მალე დაიწყება. აქ საუბარი ადამიანების გაყრაზე არ არის. ჩვენი ბევრი თანამებრძოლი, რომელიც პარტიის შექმნის პირველი დღიდან უპირისპირდებოდა სააკაშვილის რეჟიმს, უკანა პლანზე არიან გადაწეული. უნდა მოხდეს ამ ადამიანების დაფასება და პარტიულ რგოლებში შემოყვანა. ბევრგან მოხდა ისე, რომ ხალხი, რომელიც 2012 წლის 1 ოქტომბრამდე ჩვენ გვებრძოდა, ახლა მოწინავე პოზიციებზე აღმოჩნდა. რაც საზოგადოების სამართლიან გაღიზიანებას იწვევს. ყველაფერს უნდა დაერქვას თავისი სახელი. როცა ეს მოხდება, პარტია ბუნებრივად გაიწმინდება.

***— საზოგადოების გაღიზიანება ახსენეთ და რას ფიქრობთ მინისტრების მიერ აღებულ სოლიდურ დანამატებზე, რაც საზოგადოების საკმაო გაღიზიანებას იწვევს.***

— ეს ადამიანები მოქმედებენ კანონის დაცვით. პრემიერის განკარგულებით მოხდა პრემიების დარეგულირება ხელფასების და დანამატების სახით. როდესაც საუბარია მთელი წლის დანამატზე, ჯამში ეს დიდი ციფრი გამოდის. 12-ზე თუ გავყოფთ ამ თანხას, დიდი ციფრი ნამდვილად არ არის. საჯარო მოხელეს უნდა ჰქონდეს სათანადო ანაზღაურება, რომ მან სხვა გზით არ მოისურვოს დამატებითი თანხების მოძიება.

***— სათანადო ანაზღაურება ყველა ადამიანს სჭირდება. რამდენად სამართლიანია ამხელა განსხვავება ხელფასებს შორის?***

— აქ ნამდვილად დიდი დისბალანსია. საზოგადოების დიდ ნაწილს ასეთი ხელფასები არც დაესიზმრება. რაც სამართლიან გაღიზიანებას იწვევს. არასდროს არ ვიტყვი, რომ მოსახლეობა ამხელა განსხვავებას გაგებით უნდა მოეკიდოს. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ყველა ნორმალურ ანაზღაურებას იღებდეს. არც ერთ ნორმალურ ქვეყანაში ხელფასებს შორის ამხელა სხვაობა არ არის. აღარაფერს ვამბობ პენსიაზე, რომელიც, ვიცით, საკმარისი არ არის, მაგრამ ამ ეტაპზე მეტის გაკეთება არ შეიძლებოდა. მოსახლეობის გაღიზიანებას და კრიტიკას ამ თემაზე ყოველთვის მივიღებ, ნაციონალების მხრიდან კი არასოდეს. მათ არაფერი გაუკეთებიათ მოსახლეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. სხვა თუ არაფერი, ჩვენ ავამოქმედეთ საყოველთაო დაზღვევა. ამან ათასობით ადამიანი გადაარჩინა. საავადმყოფოებში რიგები დგას და ექიმები ოპერაციებს ვერ აუდიან. ვიცი, რომ მოსახლეობას ესეც აღელვებს, მაგრამ ყველაფერი მოგვარდება. ნაციონალები რაც არ უნდა ეცადონ, ჩვენი ლანძღვით სათავისოდ ქულებს ვერ დაიწერენ. პედაგოგების უფლებების დაცვაზე საერთოდ ხმა არ ამოეღებათ მაგათ.

***— რატომ არ ამოეღებათ ხმა?***

— სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 1000 სკოლა გააუქმეს. ამ სკოლის მასწავლებლები ხომ უმუშევრები დარჩნენ. რაღაც არ მახსენდება, მაშინ ამაზე ვინმეს ხმა ამოეღოს.

***— „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლა ციხის კადრებმაც განაპირობა. მაშინ მართლა საშინლად ექცეოდნენ პატიმრებს, მაგრამ, როგორც ვიგებთ, ახლაც მძიმე ვითარებაა საპატიმროებში. გავიგეთ, რომ პატიმრები ჯაჭვით ჰყავდათ დაბმული. ამაზე რას იტყვით?***

— ციხე ყველა ქვეყანაში სერიოზულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა. პატიმრების ჯაჭვებით დაბმის ფაქტი მართლაც საშინელებაა, მაგრამ აქ მოხდა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი. ამ საქმეს გამოიძიებს პროკურატურა და არა სასჯელაღსრულების დეპარტამენტი. არადა, მათ შეეძლოთ ამ საქმეზე შიდა გამოძიება ჩაეტარებინათ, რაც ბევრ კითხვის ნიშანს გააჩენდა.

***— პროკურატურის გამოძიებული არ გააჩენს კითხვის ნიშნებს?***

— ამ შემთხვევაში ნაკლები კითხვის ნიშანი იქნება. მჯერა, რომ პროკურატურა ამ საქმეს ობიექტურად გამოიძიებს და დამნაშავეები სათანადოდ დაისჯებიან. ციხეში დანაშაულის წახალისება წარსულ უნდა ჩაბარდეს.

***— ციხეებზე რადგან ვსაუბრობთ, ნაციონალების ერთ ბრალდებაზეც გკითხავთ. მათი განცხადებით, დღეს ციხეებს ე.წ. მაყურებლები მართავენ.***

— ეს არის სიცრუე. ციხეს დღეს ციხის ადმინისტრაცია მართავს და თუ რამე გადაცდომას ექნება ადგილი, ამაზე რეაგირება იქნება. რაც შეეხება ე.წ. მაყურებლებს, ამ მეთოდით ნაციონალები მოქმედებდნენ. ციხეებს მათ მიერ დანიშნული „მაყურებლები“ მართავდნენ.

***— პარლამენტში შემოსულია აუდიტის სამსახურის ანგარიში. სამსახურის უფროსი ლაშა თორდია ამბობს, რომ წინ ბევრი სკანდალი გველოდება. თქვენ თუ გაეცანით ამ ანგარიშს და მართლა ასეთი სკანდალური დასკვნაა?***

— ჯერ ეს ანგარიში დეპუტატებისთვის არ დაურიგებიათ. შესაბამისად, არ ვიცით, რა წერია ამ ანგარიშში. ძალიან კარგია, რომ აუდიტის სამსახურმა მთელი რიგი სამინისტროების შემოწმება ჩაატარა. თუმცა აქ ერთი მომენტი მენიშნა ძალიან ცუდად.

***— რა გენიშნათ ცუდად?***

— აუდიტის სამსახური ძალიან ლაითად და „ლამაზად“ გადმოვიდა 2013 და 2014 წლების საქმიანობის შესწავლაზე. 2012 წლამდე არსებული ვითარება „დაავიწყდათ“. თავზე ნაცარს თუ დავიყრით და თვალებს დავიბრმავებთ, ყველაფერი ძალიან მარტივად იქნება. ადამიანი, რომელიც დღეს აუდიტის სამსახურს უდგას სათავეში, ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი და აქტივისტი იყო.

***— ამით იმის თქმა გინდათ, რომ ლაშა თორდია ისევ ნაცმოძრაობის სამსახურში დგას?***

— მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ის ნაცმოძრაობის დაკვეთებს ასრულებს. თუმცა ის ანგარიში, რომელიც პარლამენტში შემოვიდა, ჩემში უკმაყოფილებას იწვევს. მართალია ჯერ არ გავცნობივარ, მაგრამ ვიცით, რა პერიოდშია შემოწმება ჩატარებული. რაც ეჭვებს ნამდვილად იწვევს. კიდევ ვიმეორებ, კარგია, რომ შემოწმება ჩატარდა, მაგრამ 2012 წლამდე რატომ არც ერთი სამინისტრო არ შეამოწმეს? ეტყობა, ვიღაცას უნდა, რომ ის პერიოდი საერთოდ წარსულს ჩაბარდეს. არც ის არის შემთხვევითი, რომ აუდიტის სამსახურში კვლავაც ნაციონალების მიერ დანიშნული ხალხი მუშაობს. ის ხალხი ძველი ხელისუფლების შემოწმებით თავს არ იწუხებდნენ. სამაგიეროდ, ახლა აქვთ ხელები დაკაპიწებული და ჩვენს ხელისუფლებას ამოწმებენ.

***— თქვენი აზრით, რადგან ნაციონალები ამ გადაცდომებისთვის არ დაისაჯნენ, არც ახალი ხელისუფლება უნდა დაისაჯოს?***

— არავითარ შემთხვევაში! გადაცდომებისთვის და დანაშაულისთვის ყველამ უნდა ვაგოთ პასუხი. ჩვენი ხელისუფლების რომელიმე წევრი კანონს თუ დაარღვევს, მან პასუხი უნდა აგოს. რაც იმას არ ნიშნავს, რომ წინა ხელისუფლებას დანაშაული შერჩეს.

***— თქვენ თორდიას იმის გამო საყვედურობთ, რომ ის მხოლოდ ახალი ხელისუფლების საქმიანობას სწავლობს. გივი თარგამაძე კი მას ბიძინა ივანიშვილის დაკვეთების შესრულებასა და ნაცმოძრაობის დისკრედიტაციაში ადანაშაულებს. რა ხდება?***

— პოლიტიკა ძალიან საინტერესო სფერო გახლავთ. თორდიასთან დაკავშირებით მოქალაქეთა კავშირის და შევარდნაძის მმართველობის პერიოდს გავიხსენებ. თუ თვლიდნენ, რომ შევარდნაძე რომელიმე თანამდებობის პირს მოხსნას უპირებდა, გამოვარდებოდა ზოგიერთი ოპოზიციონერი და მას დამარხავდა. ამის შემდეგ პრეზიდენტი შევარდნაძე გადაწყვეტილებას ცვლიდა და ოპონენტებს რომ არ დაბრალებოდა თანამდებობის პირის მოხსნა, მას გარკვეული დროით თანამდებობაზე ტოვებდნენ. ზოგიერთს საერთოდ არ ხსნიდნენ.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ გივი თარგამაძის პოლიტიკური ქოქოლა ფანდია და ის თორდიას წისქვილზე ასხამს წყალს?***

— მე არაფერს არ ვფიქრობ, უბრალოდ, დიდი ხანია რაც პოლიტიკაში ვარ და კარგად ვიცნობ პოლიტიკურ ეშმაკობებს. ამ შემთხვევაში არ ვიცი, ვინ ვის ებრძვის და ვინ ვის ეკვრის. პოლიტიკურ ვანგად ვერ გამოვდგები, მაგრამ ჩემი მოსაზრების დაფიქსირების უფლება მაქვს. გავიხედოთ ახლო წარსულში და დავინახავთ, რომ პოლიტიკოსები თანამდებობის პირებს მიზანმიმართულად ებრძოდნენ, რათა ისინი გადაერჩინათ. მაინტერესებს, რას აკეთებდა 9 წლის მანძილზე აუდიტის სამსახური.

***— საერთოდ არავინ შეუმოწმებიათ?***

— სადღაც შედიოდნენ კიდევაც, შეამოწმებდნენ და მერე ამ შემოწმების შედეგებს ინახავდნენ. მე პირადად არ მახსოვს, რომ მათ შემოწმებას რეაგირება მოჰყოლოდა. ასე რომ, ძველი შევამოწმოთ და მერე ახალს მივხედოთ.

***— კანონმდებლობით რამდენი წლის საქმიანობის შესწავლა შეიძლება?***

— კანონმდებლობა გვაძლევს იმის უფლებას, რომ 2008 წლის შემდგომი პერიოდიც შევამოწმოთ. 6 წლის იქეთ საფინანსო დოკუმენტაციის შესწავლის უფლება აღარ გვაქვს.

***— ლაშა თორდია მართლაც გამორჩეული ნაციონალი იყო. რატომ არ მოხდა მისი შეცვლა მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში?***

— არ გვქონდა მისი შეცვლის უფლება. ის გარკვეული ვადით არის არჩეული. ასეთ შემთხვევაში აუდიტის სამსახურის უფროსის გადაყენება სირთულეებთან არის კავშირში. ხელისუფლებისთვის მასთან პირდაპირ დატაკება რელევანტური არ იქნებოდა. ლაშა თორდიას პასუხისმგებლობის გრძნობა რომ ჰქონოდა, თავად დატოვებდა ამ თანამდებობას. როდესაც პოლიტიკური კლიმატი იცვლება, როდესაც ერთი პოლიტიკური ძალა ქართველმა ხალხმა არჩევნების გზით განდევნა, ამ ადამიანებს თავად უნდა დაეტოვებინათ თანამდებობები და პრობლემები არ შეექმნათ.

***— ვის შეუქმნეს მათ პრობლემები?***

— პირველ რიგში ხალხს და მერე საკუთარ თავებსაც. ნაცმოძრაობა ცოტა ჰუმანური ხელისუფლება რომ ყოფილიყო, მათ დარჩენას კიდევ ექნებოდა გამართლება. არ შეიძლება ლაშა თორდია თანამდებობაზე რჩებოდეს და ნაცმოძრაობის დარღვევებზე თვალებს ხუჭავდეს. არადა, ამ ძალას უამრავი დანაშაული და გადაცდომა აქვს. აუდიტის სამსახური ამ ყველაფერს ჩქმალავს, სამაგიეროდ, ახალი ხელისუფლების საქმიანობას სწავლობს. მისი ამბავი ძალიან მაგონებს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ამბავს, რომელსაც წესით თავად უნდა დაეტოვებინა თანამდებობა.

***— ახლა ვიღაც იტყვის რა დროს ფეხბურთიაო...***

— სწორედაც რომ ფეხბურთის დროა. საქართველოში სპორტის ამ სახეობას მილიონობით გულშემატკივარი ჰყავს. დღეს ქვეყანაში ფეხბურთი კატასტროფის პირზეა. ნაკრების აწ უკვე ყოფილი მწვრთნელი თემურ ქეცბაია თანამდებობაზე ზვიად სიჭინავამ და მისმა გუნდმა მოიყვანა. კარგად გვახსოვს ისიც, რომ ფედერაციასაც და ნაკრების მთავარ მწვრთნელს შორის ხელშეკრულება კულტურის, ძეგლთა დაცვის სამინისტროში გაფორმდა. ქეცბაია ახლა ამბობს, რომ საქართველოში ფეხბურთი მოკვდა. ახლა მაქვს კითხვა, ხალხმა, რომელსაც ეს ფეხბურთი ხელში ჩააკვდა, უნდა აგონ თუ არა პასუხი? რა თქმა უნდა, უნდა აგონ.

***— ამ თემაზე რადგან ჩამოაგდეთ საუბარი, მაშინ ისიც გვითხარით, რას ფიქრობენ პარლამენტში ამაზე?***

— ყველა ჩემს აზრს ითვალისწინებს. უმეტესობა მიიჩნევს, რომ ამ ხალხმა თანამდებობა უნდა დატოვოს. ჩვენ ამ საკითხს დღის წესრიგში ვერ დავაყენებთ.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ ეს იქნება ფედერაციის საქმეებში უხეში ჩარევა. სიჭინავა ისედაც იმას გაჰყვირის, ჩვენს საქმეებში სახელმწიფო არ უნდა ერეოდესო.

***— წესით, მართლა არ უნდა ერეოდეს.***

— კი ბატონო, არ უნდა ერეოდეს და არც ერევა, რაც მისასალმებელია. სახელმწიფო რომ ჩარეულიყო, დღეს სიჭინავა თანამდებობაზე აღარ იქნებოდა. მას თავის დროზე შეხვდა სპორტის მინისტრი ლევან ყიფიანი და გადაწყვეტილების მიღება მას შემდეგ სთხოვა, რაც ის საკუთარ სინდისს ჩახედავდა. ამაზე სიჭინავამ თქვა, ჩემს სინდისს ჩავხედე, იქ ვერაფერი დავინახე და ვრჩები თანამდებობაზეო. ამ კაცის დარჩენა ქართული ფეხბურთის საბოლოო დასამარებას ნიშნავს. სასწრაფოდ უნდა გავათავისუფლოთ ქართული ფეხბურთი მისი მკვლელებისაგან. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ისევ ესენი დარჩებიან ფედერაციაში.

***— რატომ დარჩებიან ესენი? ახალი პრეზიდენტი ხომ არჩევნებმა უნდა გამოავლინოს?***

— რეგლამენტი ისეა შედგენილი, რომ ისევ ეგ გუნდი გაიმარჯვებს. ფედერაციის პრეზიდენტად მივიღებთ სიჭინავა 2-ს. ახლა იმაზე მუშაობენ, როგორ გაიხანგრძლივონ იქ ყოფნა. წესით, არჩევნები 2015 წლის იანვარში უნდა ჩატარდეს. ესენი ყველაფერს აკეთებენ, რომ არჩევნები 2015 წლის შემოდგომამდე გადაწიონ. მანამდე ფეხბურთს სულ დამარხავენ. სახელმწიფო ამ საქმეში ვერ ჩაერევა. ამიტომ გადამწყვეტი სიტყვა გულშემატკივრებმა უნდა ვთქვათ. ერთ მშვენიერ დღეს ფეხბურთის ფედერაციასთან მძლავრი საპროტესტო აქციის მოწყობას არ გამოვრიცხავ.

***— თქვენც მიიღებთ ამ აქციაში მონაწილეობას?***

— რა თქმა უნდა.

***— დეპუტატი რომ ხართ?***

— მე, პირველ რიგში, ამ ქვეყნის მოქალაქე ვარ. ამ ქვეყანაში კი ძალიან უყვართ ფეხბურთი. ამიტომაც სიამოვნებით მივიღებ აქციაში მონაწილეობას. როგორც ფეხბურთელები იტყვიან, ბურთი დაგვახიეს თავზე და ხმაც არ ამოვიღოთ? ქართული ფეხბურთი სასწრაფოდ უნდა გავათავისუფლოთ მისი მკვლელებისგან.

# იპოთეკური კრედიტი პირადობის მოწმობის საფუძველზე

დღეს სამშენებლო კომპანიები მომხმარებელს ბინების საკმაოდ დიდ არჩევანს სთავაზობენ მათი გემოვნებისა და ფინანსური შესაძლებლობების შესაბამისად. ბინების ბაზარი საკმაოდ მდიდარია და სირთულეს მხოლოდ არჩევანი წარმოადგენს. მათთვის, ვისაც საცხოვრისის შესაძენად სრული თანხა არ გააჩნია, არსებობს გადახდის სხვადასხვა სისტემა: კომპანიის შიდა განვადება და იპოთეკური სესხი.

კონკურენცია კომპანიებს ბინის შეძენის მსურველთათვის სულ უფრო საინტერესო და მოთხოვნაზე მორგებული შეთავაზებებისკენ უბიძგებს. ბოლო დროს „დირსის" საცხოვრებელ კომპლექსში უკვე გამოჩნდა სესხი ბინაზე მხოლოდ პირადობის მოწმობის წარდგენის საფუძველზე. როგორც კომპანიაში გვითხრეს, აღნიშნულმა პირობამ მომხმარებელი საკმაოდ გაააქტიურა და მართლაც რომ უპრეცედენტო შეთავაზების პირობების გასარკვევად „დირსის" საცხოვრებელი კომპლექსით დავინტერესდით.



„დირსი" ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი საცხოვრებელი კომპლექსია. ის თბილისში მდინარე მტკვარსა და ჩოლოყაშვილის ქუჩას შორის შენდება. „დირსის" კომპლექსს ხშირად დირსის უბანსაც უწოდებენ და სრულიად სამართლიანად, რადგან ის სრულად უზრუნველყოფილია ყველა იმ ინფრასტრუქტურით, რაც უბანს სჭირდება. კომპლექსში სულ იქნება 20 კორპუსი, 4898 ბინა, საბავშვო ბაღი, სკოლა, იტალიური სტილის სავაჭრო ცენტრი, პარკინგის ტერიტორია 5200 ავტომობილისთვის, ფიტნესდარბაზები, მინი სპორტული მოედნები, სამედიცინო ცენტრი და 25 ჰექტარი ფართობის რეკრეაციული ზონა.

თბილისში პირველად ამ უბანში აშენდა მტკვრისპირა ბულვარი, სადაც განთავსდება კაფე-ბარები, რესტორნები და კომერციული ობიექტები.

აქ ბინები დასრულებული რემონტით, ჩაშენებული ავეჯითა და მოპირკეთებული სააბაზანოთი ბარდება. ამ ყველაფრის ფონზე კარგად ჩანს „დირსის" უპირატესობა სხვა პროექტებთან შედარებით. სხვა სამშენებლო კომპანიები ძირითადად წერტილოვანი მშენებლობით არიან დაკავებული და უმთავრესად ასეთი საცხოვრებელი კორპუსები ეზოებისა და რეკრეაციული ზონების გარეშე რჩებიან, „დირსის" მობინადრე კი ბინასთან ერთად ყიდულობს უფრო მეტს – გამართულ ინფრასტრუქტურას, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს და ცხოვრების თანამედროვე სტანდარტებს.

ერთი კვადრატული მეტრის ღირებულება „დირსის" უბანში 900 აშშ დოლარია. ბინა მზადაა საცხოვრებლად – შეყვანილია ყველა კომუნიკაცია. რეალურად მხოლოდ ავეჯია შესატანი.

რაც შეეხება გადახდის სისტემას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის მრავალფეროვანია, მოქნილი და მაქსიმალურად მოსახერხებელი სხვადასხვა მოთხოვნის მყიდველისთვის.

„დირსიში" აქვთ შიდა განვადება ერთ წლამდე ვადით, რომლის პირველადი შენატანი მხოლოდ 10%-ია. ერთი კვადრატულის ღირებულება 900-დან 1200 აშშ დოლარამდეა. გარდა შიდა განვადებისა, „დირსიში" შესაძლებელია იპოთეკური კრედიტის მიღება რამდენიმე ბანკისგან. „ბანკი რესპუბლიკა" ბინის შეძენის მსურველს იპოთეკურ სესხს წლიური განაკვეთით 9-დან 11%-მდე 15 წლამდე ვადით სთავაზობს. მინიმალური პირველადი შესატანი 20%-ია.

რეალობიდან გამომდინარე, მიუხედავად სხვადასხვა ბანკებთან კარგი პირობებით თანამშრომლობისა „თამაშგარეთ" რჩებოდა პოტენციური მომხმარებელი, რომელთა შემოსავალი ქართულ ბანკებში არ ფიქსირდება (მაგ., საზღვარგარეთ დასაქმებულები), ასევე მომხმარებელი, რომლსაც წარსულში გაუფუჭდა საბანკო ისტორია... სწორედ ასეთი და სხვა მსგავსი შემთხვევებისთვის „დირსის" მობინადრეებს ერთგვარი საჩუქარი გაუკეთა „ვითიბი ბანკმა", როდესაც შესთავაზა სესხი ანალიზის გარეშე. მინიმალური დოკუმენტაციის – პირადობის მოწმობის – წარდგენის საფუძველზე მომავალ მობინადრეს შესაძლებლობა აქვს, იპოთეკური სესხი 10 წლამდე ვადით ბინით უზრუნველყოფის საფუძველზე მიიღოს. წლიური განაკვეთი 13%-მდეა, პირველადი შენატანი კი – 30%.

„დირსიში" საცხოვრებელი ბინების რამდენიმე ვარიანტია: სტუდიო – 49-დან 55კვ. მ-მდე, ოროთახიანი – 68-დან 74კვ. მ-მდე და სამოთახიანი – 94-დან 98კვ. მ-მდე.

სტუდიოს ტიპის ბინა შედგება საძინებლის, ჰოლის, სააბაზანოსა და გაერთიანებული სამზარეულო-მისაღებისგან.

განვიხილოთ, რა თანხის გადახდა მოუწევს მობინადრეს ყოველთვიურად 50 კვ. მ სტუდიოს ტიპის ბინის შემთხვევაში, თუკი ის სესხს ანალიზის გარეშე აიღებს. ასეთი ფართის ბინა „დირსიში" დასრულებული რემონტით 45 ათასი აშშ დოლარი ჯდება. მისი წინასწარი შესატანი 30% – 13.500 აშშ დოლარს შეადგენს. 10-წლიანი სესხის აღების შემთხვევაში მობინადრეს ყოველთვიურად 470$-ის დაფარვა მოუწევს.

მსგავსი პირობა განსაკუთრებით მისაღებია მათთვის, ვინც ბინას ქირაობს და იჯარის გადახდა უწევს. ასევე მომგებიანია მათთვისაც, ვისაც „დირსიში" ბინის შეძენა საცხოვრებლად არ სურს. აღნიშნულმა საგადასახადო სისტემამ ბევრ მოქალაქეს გაუჩინა უძრავ ქონებაში ინვესტირების სურვილი. ისინი ხშირ შემთხვევაში ყიდულობენ და შემდგომ აქირავებენ ბინას. მიღებული თანხით თანმიმდევრულად ფარავენ იპოთეკურ სესხს და საბოლოოდ კი საკუთრებაში რჩებათ უძრავი ქონება, რომლის საბაზრო ღირებულებაც წლიდან წლამდე იზრდება.

# ლევან მამალაძე ეკა ბესელიას სიცრუეში ადანაშაულებს



პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული ქვემო ქართლის მხარეში ლევან მამალაძე, ემზარ კვიციანისთვის სასამართლოს მიერ 12 – წლიანი პატიმრობის შეფარდებას ეხმაურება და პრეზიდენტს მოუწოდებს, სასამართლოს გადაწყვეტილებას ვეტო დაადოს.

მამალაძის განცხადებით, არიან ერები რომლებიც გმირებს იგონებენ, ჩვენ, ქართველები კი გმირებს ვანადგურებთ.

„ბოლო დღეების განმავლობაში ვაკვირვებოდი ემზარ კვიციანთან დაკავშირებულ მოვლენებს და ქართული საზოგადოების დამოკიდებულებას ამ საკითხზე. დამებადა კითხვები და მოსაზრებები, რაც მინდა გაგიზიაროთ:

აუცილებლად მიმაჩნია ემზარ კვიციანი თავდებით, სასწრაფოდ განთავისუფლებულ იქნას პატიმრობიდან. მით უფრო, რომ მასთან დაკავშირებული ყველა თემა პოლიტიკური ნიშნით არის ფორმირებული.

საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია დადებითი წვლილი შეიტანოს ამ საკითხში და ვეტო დაადოს სასამართლოს გადაწყვეტილებას, ემზარ კვიციანისთვის 12 წლიანი პატიმრობის მისჯასთან დაკავშირებით.

ყველა მნიშვნელოვანი საკითხების გარკვევის მიზნით შეიქმნას სპეციალური საგამოძიებო კომისია.

ემზარ კვიციანის პოლიტდევნილად ცნობის საკთხი ჯერ კიდევ 2011 წელს მოამზადა ჰელსინკის კავშირმა. როცა ახალი ხელისუფლება მოვიდა ქვეყნის სათავეში, ეს სია გადაეცა პარლამენტის პოლიტპატიმართა და დევნილთა კომისიის თავჯდომარეს ეკა ბესელიას. ბესელიამ საბუთების დაგვიანების მოტივით ემზარი სიიდან ამოიღო. ეხლა კი განაცხადა რომ სასამათლოს გადასაწყვეტი საკითხიაო! რატომ ცრუობს ბესელია?

როგორც ავღნიშნე ყველა საბუთი დროულად იქნა ჩაბარებული, ხოლო სასამართლოში რა შევიდოდა, ბესელიას გადასაწყვეტი არ იყო. ისიც ითქვა, რომ ეს სია მაღალ დონეზე იხილებოდა იქ ემზარის წინააღმდეგ რესპუბლიკელი ხიდაშელი და ალასანიას ჯგუფი გამოსულა. საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ პროტექციების საფუძველზე სიაში შევიდა და თავისუფლება მიიღო ისეთმა პირებმა, რომელთაც საერთო არ ჰქონიათ პოლიტიკასთან

ეს ყველაფერი დაზუსტებით ვიცი, რაგდანაც მეც ჰელსინკის კავშირით მოვხვდი ამ სიაში, 18 პარლამენტარის ხელმოწერილი მოთხოვნით და სიიდან გაურკვეველი მოტივით ამომიღეს.

საგამოძიებო კომისიამ უნდა გაარკვიოს კვიციანის სიიდან ამოღების რეალური მოტივაცია, დაკითხოს ბესელია, ხიდაშელი და სხვები. შესწავლილ იქნეს სიის შემადგენლობა და გამოვლინდეს თუ ვისი პროტექციით დგებოდა სია" – აცხადებს ლევან მამალაძე.

ნიუსპრესი

# გიორგი მღებრიშვილი ვისკონსინის შტატის მოსამართლეს შეხვდა

ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარე ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი გიორგი მღებრიშვილი, ვისკონსინის შტატის სისხლის სამართლის საოლქო მოსამართლეს, ნიკოლას მაკნამარას შეხვდა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, მოსამართლემ მინისტრს სასამართლოში უმასპინძლა და შტატის სამართალწარმოების თავისებურებები, მათ შორის სასამართლო პროცესის ძირითადი ასპექტები გააცნო.

მხარეებმა ყურადღება დანაშაულის პრევენციის მნიშვნელობაზე და ამ კუთხით სასამართლოსა და სასჯელაღსრულების სისტემის მუშაობაზე გაამახვილეს.

გიორგი მღებრიშვილმა ნიკოლას მაკნამარასთან საუბრისას ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული სასჯელაღსრულების რეჟიმის შექმნას და თავისუფლების აღკვეთის პერიოდში რეაბილიტაციის პროცესის გაძლიერების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

ნიუსპრესი

# ირაკლი ალასანია ჯონ მაკკეინს შეხვდა



საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი, ,,თავისუფალი დემოკრატების" ლიდერი, ირაკლი ალასანია კანადაში, ჰალიფაქსის საერთაშორისო უსაფრთხოების ფორუმის ფარგლებში, სენატორ მაკკეინის ხელმძღვანელობით, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის დელეგაციას შეხვდა

პარტია ,,თავისუფალი დემოკრატების" პრესამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეებმა რეგიონში შექმნილ ვითარებაზე ისაუბრეს და არსებული პრობლემატიკა მიმოიხილეს.

შეხვედრაზე საუბარი ასევე, საქართველოში ბოლო დროს განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებსაც შეეხო.

პარტიის პრესსამსახურის ცნობითვე, ექსმინისტრი კანადაში უსაფრთხოების ფორუმის დასრულების შემდეგ, აშშ-ში გაემგზავრება, სადაც სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებს და სხვა მაღალჩინოსნებს შეხვდება.

ნიუსპრესი

# მცხეთა-მთიანეთის სამხარეო და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის სისხლი გაიღეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, აქციის – „გაიღე სისხლი გადაარჩინე სიცოცხლე" ფარგლებში, ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის სისხლი გაიღეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო აღნიშნულ აქციაში თითქმის ორი წელია მონაწილეობს და სამინისტროს თანამშრომლები იაშვილის სახელობის კლინიკის „სისხლის ბანკის" დახმარებით ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის სისხლს რეგულარულად აბარებენ.

შს სამინისტრის ინფორმაციით, სისხლის ჩაბარების აქცია როგორც თბილისში, ისე საქართველოს ყველა რეგიონში პერმანენტულად იმართება და მასში სამინისტროს ყველა დანაყოფის თანამშრომელი მონაწილეობს.

სამინისტროს აღნიშნულ აქციაში მონაწილეობის მიზანი ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის საჭირო სისხლისა და სისხლის კომპონენტების დეფიციტის შემცირებაა. ნიუსპრესი

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სნრაში და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე", წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# პენიტენციური სისტემა საზოგადოების მიერ უნდა კონტროლდებოდეს“

## რა პრობლემები ექმნებათ ციხეში ადვოკატებს

გულიკო ბალაძე

### ინტერვიუ უფლებადამცველ გიორგი თევზაძესთან



***— როგორც უფლებადამცველი, როგორ აფასებთ სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ მდგომარეობას?***

— მოქმედი ხელისუფლების პირობებში ძირითადში აღმოფხვრილი იქნა სისტემური დანაშაულებრივი მიდგომები სასჯელაღსრულების სისტემაში. წინა ხელისუფლების დროს მთელი სისტემა და ამ სისტემასთან დაკავშირებული სახელმწიფო უწყების მაღალჩინოსნები ჩართული იყვნენ პატიმრების წამებაში, არაადამიანურ, ღირსების შემლახველ მოპყრობაში ისე, რომ არ ხდებოდა დამნაშავე ჩინოვნიკებისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება. წინა ხელისუფლებამ გააუქმა ეფექტური საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმები, რის გამოც მივიღეთ ჩაკეტილი, გაუმჭვირვალე სისტემა, პატიმრების მიმართ დანაშაულებრივი დამოკიდებულებებით და თანამშრომელთა დაუსჯელობით. ამიტომ, მუდმივად აღვნიშნავდით და ახლაც იგივე პოზიციაზე ვრჩებით, რომ არ შეიძლება პენიტენციური სისტემა ფუნქციონირებდეს ეფექტური საზოგადოებრივი მონიტორინგის გარეშე თუ გვინდა მივიღოთ ამ სისტემაში ჯანსაღი ვითარება. ეს მარტივი ჭეშმარიტებაა. საზოგადოება ვერ დარჩება სისტემის თანამშრომელთა მიერ მოვალეობების კეთილსინდისიერად შესრულების იმედად. პენიტენციურო სისტემა ყოველთვის ფრთხილობს, არ დაუშვას თანამშრომელთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებები თუ იცის, რომ მასზე ინფორმაციული წვდომა საზოგადოებას მიეცემა და ეფექტური საზოგადოებრივი მონიტორინგის პირობებში კონკრეტული კანონდარღვევა არ დარჩება დაუსჯელი.

ამდენად, საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმების არსებობა არის ტესტი ხელისუფლებისთვის და პენიტენციური სისტემისთვის, იფუნქციონიროს დარღვევების გარეშე. ამ თვალსაზრისით, როგორც ჩანს, ხელისუფლება, ჯერჯერობით, მზად არ არის იფუნქციონიროს დარღვევების გარეშე. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ პენიტენციურ სისტემაში ვითარება რადიკალურად დადებითისკენაა შეცვლილი, რაც ფრთხილი ოპტიმიზმის იმედს გვიტოვებს. ასევე მნიშვნელოვნია ის რეფორმები, რომელსაც სასჯელაღსრულების და პრობაციის მოქმედი მინისტრი და სამინისტროს ხელმძღვანელობა გეგმავს საკანონმდებლო და სისტემურ დონეზე. ამ მიმართულებით საყურადღებოა საკოორდინაციო საბჭოს შექმნის იდეა, რომელიც შეიძლება გახდეს სისტემის საზოგადოებრივი კონტროლის ეფექტური მექანიზმი. ასევე უმნიშვნელოვანესია, სახალხო დამცველის კომპეტენცია სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ დარღვევებზე ოპერატიული და ადეკვატური რეაგირების მექანიზმების სახით, რომელსაც უჩა ნანუაშვილი წარმატებით ახორციელებს.

***— ვრცელდება ინფორმაციები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა სუიციდის შემთხვევებსა და პატიმრების ცემისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით. რა შეგვიძლიათ თქვათ ამასთან დაკავშირებით?***

— ამ საკითხზე პრინციპული პოზიცია გაგვაჩნია. აუცილებელია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე ჩატარდეს დამოუკიდებელი, სრულყოფილი და მიუკერძოებელი გამოძიება და გამოძიების შედეგები გასაჯაროვდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რათა საზოგადოებას ჰქონდეს ინფორმაციის მიღებისა და ანალიზის შესაძლებლობა. ეს აუცილებელი წინაპირობაა. ამავე დროს პრევენცია იქნება შემდგომში რაიმე დარღვევის აღსაკვეთად. ბოლო დღეებში გავრცელებული ინფორმაცია საფუძვლიან გამოძიებას საჭიროებს, რომლის საფუძველზეც, კანონის შესაბამისად, მიუკერძოებელი სასამართლო წესით უნდა მოხდეს დამნაშავე პირების დასჯა. ჩვენთვის მნიშვნელოვანი და მისასალმებელია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ხელმძღვანელობის პოზიცია, რომელიც გამოთქვამს მზადყოფნას, ხელი შეუწყოს საქმის გამოძიების პროცესს. ამდენად, საზოგადოებისა და ხელისუფლების თანამშრომლობა პრინციპულ საკითხებზე დადებით შედეგებს აუცილებლად გამოიღებს.

***— რამდენად ხელმისაწვდომია პატიმრებისათვის სამედიცინო მომსახურება და მედიკამენტოზური მკურნალობა. რა შეიცვალა მოქმედი ხელისუფლების პირობებში ამ მიმართულებით?***

— მიუხედავად ამ მიმართულებით სამინისტროს ხელმძღვანელობის გადადგმული ნაბიჯებისა, მდგომარეობა, პატიმართა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, კვლავ პრობლემატურად რჩება. საუბარი გვაქვს სათანადო სამედიცინო მომსახურებასა და სრულყოფილ მედიკამენტოზურ მკურნალობაზე. ამას ემატება სასჯელაღსრულების დაწესებულებების პასპორტიზაციის არარსებობა, როგორც ამას ითვალისწინებს საერთაშორისო მინიმალური სტანდარტის წესები და რომელიც ხელს შეუწყობდა დაავადებული პატიმრების დაცილებას ჯანმრთელი პატიმრებისგან და ადეკვატურ, შედეგზე ორიენტირებულ მკურნალობას. ამ თემებზე ჩვენ არაერთხელ მივმართეთ რეკომენდაციებით სამინისტროს. გვესმის, რომ საკითხი კომპლექსურ მიდგომებს, საკმაო ფინანსურ რესურსს საჭიროებს და ამ პრობლემის მოგვარება ეტაპობრივად არის შესაძლებელი. თუმცა, მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს სამინისტროს ხედვა და პოლიტიკა ამ მიმართულებით, რათა უფლებადამცველებსა და საზოგადოების აქტიურ ნაწილს მოგვეცეს ანალიზისა და რეკომენდაციების მომზადების შესაძლებლობა.

***— როგორც ცნობილი გახდა, სამინისტრო „ც“ ჰეპატიტით მკურნალობის მასშტაბური პროგრამის განხორციელებას იწყებს. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორი არ არის პატიმართა ჯანდაცვის საკითხის მოგვარებისთვის?***

— „ც“ ჰეპატიტით მკურნალობის მიმართულებით მართლაც მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, რასაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ამ პრობლემის მქონე მსჯავრდებულებისათვის. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, პენიტენციური სისტემის ხელმძღვანელობის მხრიდან ეს მიმართულება ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებადაა დადგენილი და პრობლემის საბოლოო მოგვარებისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებები იგეგმება. ასევე ცნობილია, რომ ამ პრობლემის მქონე მსჯავრდებულთა მკურნალობა იქნება სამოქალაქო სექტორში ანალოგიური პრობლემის მქონე პაციენტთა მკურნალობის შესატყვისი. ვიმედოვნებთ, რომ ყველა ის პატიმარი, რომელსაც აქვს „ც“ ჰეპატიტის პრობლემა, დროულ და ადეკვატურ სამედიცინო დახმარებას მიიღებს. სათანადო მკურნალობის გარდა, აუცილებელია ამ გადამდები დაავადების მქონე პაციენტთა განცალკევება სხვა პატიმრებისაგან და დაწესებულებების პასპორტიზაციის პროცესის დაჩქარება.

***— როგორც ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისიის თანათავმჯდომარე, რამდენად დაცულად განიხილავთ ადვოკატთა უფლებებს სასჯელაღსრულების სისტემაში, ადვოკატთა პროფესიული საქმიანობის პროცესში?***

— ამ მხრივ მთელი რიგი პრობლემები დღესაც გადაუჭრელია, ერთი მხრივ, საკანონმდებლო დონეზე, მეორეს მხრივ, დადგენილი უფლებების უგულებელყოფის ფორმით.

***— კერძოდ, რა პრობლემებია გადაუჭრელი?***

— სამწუხაროდ, დღემდე მოქმედებს მთელი რიგი რეგულაციები, რომელიც ხელყოფს ადვოკატის უფლებებს, განახორციელოს სრულყოფილი წარმომადგენლობა და პატიმრობაში მყოფი პირის ინტერესების დაცვა. მაგალითისთვის, გავიხსენებ მოქმედ წესს, რომლითაც განსაზღვრულია იმ ნივთების ნუსხა, რომლის შეტანა ციხეში იკრძალება. ასეთ აკრძალვებში მოქცეულია ყველა დოკუმენტი, გარდა განაჩენებისა და გადაწყვეტილებებისა. ამ წესის გათვალისწინებით, ადვოკატს ეკრძალება პატიმრობაში მყოფ პირს გააცნოს მასთან დაკავშირებული სხვა იურიდიული დოკუმენტები, რითაც უხეშად ირღვევა საპროცესო მხარის უფლებები, მიიღოს გაცნობიერებული გადაწყვეტილებები. მსგავსი ტიპის უსამართლო შეზღუდვები აუცილებლად უნდა შეიცვალოს ნორმატიულ დონეზე და ადვოკატს მიეცეს სრულყოფილი წარმომადგენლობის განხორციელების საშუალება და უფლება.

***— ცნობილი გახდა თქვენს ორგანიზაციასა და „ქართული ოცნება — ჯანმრთელ მომავალს“ შორის მიმდინარე წლის 17 ნოემბერს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების ფაქტი. რა ერთობლივი გეგმები გაქვთ?***

— ჩვენს პარტნიორ ორგანიზაციასთან „ქართული ოცნება — ჯანმრთელი მომავალი“ (რომლის პრეზიდენტია ქეთი ბარათელი), მართლაც უმნიშვნელოვანესი მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმი გვაძლევს საშუალებას, ერთობლივი ძალისხმევით, მაღალორგანიზაციულ და პროფესიულ დონეზე, სახელმწიფო უწყებებთან შეთანხმებულად განვახორციელოთ მსჯავრდებულებისა და საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისათვის მნიშვნელოვანი აქტივობები. პირველ ეტაპზე ვგეგმავთ სამედიცინო პროფილის ღონისძიებების ჩატარებას სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, რომელიც გულისხმობს, შესაბამისი უწყებების მხარდაჭერითა და სამედიცინო სფეროს ცნობილი სპეციალისტების მონაწილეობით, მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სამედიცინო შემოწმებას, რათა შესაძლებელი გახდეს დიაგნოსტიკა და საჭიროებისამებრ მათი სათანადო მკურნალობის ჩატარება. შეიძლება თავისუფლად ითქვას, რომ მსგავსი მასშტაბისა და მნიშვნელობის ღონისძიება მრავალი წელია, ალბათ, ამ სისტემაში არ ჩატარებულა. ასევე იმედს ვიტოვებთ, მივიღებთ შესაბამის მხარდაჭერას სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ხელმძღვანელობისაგან, ამ ტიპის და მსგავსი ხასიათის ღონისძიებების წარმატებით ჩატარებისთვის.

---

## ნინო ბურჯანაძე: „ქართული ოცნების“ სიბრიყვეა, რომ მკვდარი ნაციონალური მოძრაობა გააცოცხლა“



პარტია „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის ნინო ბირჯანაძის განცხადებით, „ქართულმა ოცნებამ“ დიდი სიბრიყვე გამოიჩინა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ გაათეთრა. ეს განცხადება ნინო ბურჯანაძემ, ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გააკეთა.

ნაცმოძრაობა არჩევნებით კი არ წასულა, არჩევნებით გაუშვეს. ამის მაგალითი იყო თუნდაც ხაშური. სააკაშვილის რეჟიმი ძალიანაც შეეცდებოდა ძალის გამოყენებას, მაგრამ იმ ფაქტორმა, რომ 1-ელ ოქტომბერს მართლაც ქუდზე კაცი გამოვიდა, ნაცმოძრაობას მიახვედრა რომ ძალის გამოყენებას აზრი არ ჰქონდა.

სააკაშვილის რეჟიმს არანაირი რესურსი აღარ ჰქონდა, ძალა გამოეყენებინა, რადგან ძალის გამოყენების ბოლო რესურსი 26 მაისს შეალია“,— განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისივე განცხადებით, „ქართული ოცნების“ კიდევ უფრო დიდი სიბრიყვეა, რომ ხელისუფლებაში ყოფნისას მკვდარი „ნაციონალური მოძრაობა“ გააცოცხლა.

ნიუსპრესი

---

## ილია მეორე: ღმერთმა ხელისუფლებას ერთსულოვნება მისცეს, რათა ჩვენს სამშობლოს ღირსეულად ემსახურონ“



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, გუშინდელი სადღესასწაულო ქადაგებისას, სამების საკათედრო ტაძარში, წმიდა გიორგის ღვაწლზე ისაუბრა.

როგორც პატრიარქმა ქადაგებისას ბრძანა, წმიდა გიორგი ქართველი ერის სიმბოლოა, რომელმაც იმპერატორ დიოკლიტიანესთან გაიმარჯვა.

„დღეს წმიდა გიორგის ხსენებაა, რომელიც ჩვენი ერის სიმბოლოა, როგორც უძლეველი ძალა, რომელიც იცავს საქართველოს, ჩვენს ეკლესიას. ჩვენს წინაშე ორი პიროვნებაა, იმპერატორი დიოკლიტიანე, რომელიც აწამებს და წმიდა გიორგი, რომელიც წამებულია. ერთი დამარცხებულია, მეორე გამარჯვებული. გამარჯვებული წმიდა გიორგია, იმის მიუხედავად რომ მწამებელი დიოკლიტიანე იყო“,— ბრძანა პატრიარქმა.

პატრიარქის თქმითვე, ხელისუფლებას ერთსულოვნება სჭირდება, რათა სამშობლოს ღირსეულად ემსახურონ.

„ღმერთმა ყველას ძალა, მშვიდობა, სიხარული და სიყვარული მოგცეთ. ღმერთმა დალოცოს და გაამთლიანოს საქართველო, ღმერთმა დალოცოს ჩვენი ხელისუფლება და მათ მისცეს ერთსულოვნება, რათა ღირსეულად ემსახურონ ჩვენს სამშობლოს. ჩვენთან არს ღმერთი“, — ბრძანა ილია მეორემ.

პატრიარქმა ქადაგების შემდეგ მრევლი, რამდენიმე გვარი და საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლები დალოცა.

ნიუსპრესი

---

## პატრიარქმა სამების ტაძრის აშენებაში შეტანილი წვლილისთვის ბიძინა ივანიშვილი დალოცა

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, გუშინდელი სადღესასწაულო ქადაგებისას, სამების საკათედრო ტაძრის ამოქმედებიდან 10 წლისთავთან დაკავშირებით ისაუბრა.

როგორც პატრიარქმა ქადაგებისას ბრძანა, ქართველი ერი უფალს უნდა უმადლოდეს, რომ სამების ტაძრის აშენების ღირსი გახდა.

„დღეს განსაკუთრებული დღეა. დღეს სამების წმიდა ტაძრის გახსნისა და ამოქმედებიდან 10 წლისთავი შესრულდა. ჩვენი უფალი ბრძანებს, „როდესაც ზედა აღვაშენო ეკლესია, შენი ბრჭე ჯოჯოხეთისანი მას ვერ ერეოდენო“ და აი უფალმა, ამ წმიდა ადგილას ასეთი ტაძარი დაამკვიდრა და მადლობა უფალს, რომ ჩვენ ამ ტაძრის აშენების ღირსი გაგვხადა“, — ბრძანა ილია მეორემ.

პატრიარქმა მრევლთან და მთელ საქართველოსთან ერთად, ექსპრემიერი ბიძინა ივანიშვილი დალოცა, რომელმაც სამების ტაძრის აშენებაში დიდი წვლილი შეიტანა.

„დღეს, განსაკუთრებით მინდა დავლოცო ბატონი ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც უდიდესი წვლილი გაიღო ამ ტაძრის მშენებლობაში. ღმერთმა შეუწიროს და ღმერთმა ძალა მისცეს მომავალი ღვაწლისათვის. ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდენ ეკლესიას და ვერ მოერევიან იმას, რომელიც ეკლესიას აშენებს“,-თქვა პატრიარქმა.

პატრიარქმა ქადაგების დასრულების შემდეგ, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლები, მრევლი და რამდენიმე გვარი დალოცა.

ნიუსპრესი

---

## №3 დაწესებულებაში პატიმართა ნაწილმა შიმშილობა შეწყვიტა

სასჯელაღსრულების მესამე დაწესებულებაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო განცხადებას ავრცელებს, რომლის თანახმადაც, ამავე დაწესებულებაში მყოფმა ქურდული ტრადიციების მატარებელმა მსჯავრდებულებმა თვითდაზიანება მიიყენეს და ამ გზით, საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენა სცადეს.

„სასჯელაღსრულების №8 დაწესებულებაში მომხდარ სავარაუდო ინციდენტთან დაკავშირებით მიმდინარე კვირას გავრცელებული ინფორმაცია, რომელზეც პროკურატურა გამოძიებას აწარმოებს, ქურდული ტრადიციების მატარებელი ცალკეული ჯგუფებისთვის, როგორც ჩანს, ხელსაყრელი მომენტი აღმოჩნდა, რათა გავლენის სფეროს გაფართოება ეცადათ.

წინასწარი ინფორმაციით, უსაფრთხოების სამსახურებზე დაყრდნობით, სასჯელაღსრულების №3 დაწესებულებაში, ქურდული ტრადიციების მატარებელმა მსჯავრდებულებმა, ნ.ნ.-მ, გ.კ.-მ, გ.ვ.-მ და ბ.ო.-მ, პროტესტის გამოხატვის ისეთი ფორმების გამოყენებით, როგორიცაა შიმშილობა და თვითდაზიანება, ამ პროცესში 39 მსჯავრდებულის ჩართვით, სცადეს გავლენა მოეხდინათ საზოგადოებრივ აზრზე და შეექმნათ ილუზია, თითქოს მათი უფლებები უხეშად ირღვევა. დაწესებულების სოციალური სამსახურის აქტიური მუშაობის შედეგად, ოცდასამმა პატიმარმა შიმშილობა უკვე შეწყვიტა.

აღნიშნული მსჯავრდებულების ჯანმრთელობაზე ზრუნვა კანონის შესაბამისად ხორციელდება. ფაქტის შესწავლაში სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციაა ჩართული“, — აცხადებენ სასჯელაღსრულების სამინისტროში.

რაც შეეხება მე-8 დაწესებულებაში მომხდარ პატიმრების წამების სავარაუდო ფაქტს, ამასთან დაკავშირებით გამოძიებას მთავარი პროკურატურა აწარმოებს.

მედიანიუსი

# აფხაზეთის უმაღლესი საბჭო მოსკოვსა და სოხუმს შორის გასაფორმებელ შეთანხმებას აპროტესტებს

გულიკო ბალაძე

აფხაზეთის დევნილი უმაღლესი საბჭო პროტესტს გამოთქვამს კრემლის მორიგი დესტრუქციული ქმედებების გამო და განცხადებით მიმართავს მსოფლიო თანამეგობრობას.

— ჩვენ არასოდეს შევურიგდებით რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთის მიტაცების ნებისმიერ მცდელობას. მოუწოდებთ მსოფლიო თანამეგობრობას, საერთაშორისო სამართლის ნორმების საფუძველზე აამოქმედოს სათანადო მექანიზმები, რათა დაიცვას რეგიონული უსაფრთხოება, უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობა, — ნათქვამია აფხაზეთის დევნილი უმაღლესი საბჭოს განცხადებაში.

როგორც ცნობილი გახდა, რუსეთი აფხაზებთან ინტეგრაციისა და თანამშრომლობის შესახებ ე.წ. ხელშეკრულებას დღეს, სოჭში გააფორმებს.

ე.წ. ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით აფხაზეთის დევნილი უმაღლესი საბჭოს განცხადებაში ნათქვამია:

— რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთის ე.წ. მთავრობას შორის „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის“ შესახებ შეთანხმების მოსალოდნელი ხელმოწერით, რუსეთის ფედერაცია აგრძელებს საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევას, სუვერენული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას, 2008 წლის 12 აგვისტოს სარკოზის ექვსპუნქტიანი დოკუმენტის ძირითადი მოთხოვნების უგულებელყოფას.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭო მიიჩნევს, რომ ე.წ. ხელშეკრულების გაფორმებით რუსეთი ცდილობს საქართველოს ტერიტორიაზე მისი სამხედრო ყოფნის დაკანონებას.

როგორც განცხადებაში დევნილი ხელისუფლება აღნიშნავს, ე.წ. ხელშეკრულების პროექტი რუსეთსა და აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებას შორის წარმოადგენს თავდაცვისა და უსაფრთხოების ერთიანი სივრცის შექმნის საბაბით, საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ყოფნის დაკანონების მცდელობას.

— მასში დეკლარირებული ვითომ საერთო სამხედრო ინფრასტრუქტურის განვითარება, ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის „სახელმწიფო საზღვრის“ ერთობლივი დაცვა, ერთიანი ძალოვანი სტრუქტურების ჩამოყალიბება და სხვა, სინამდვილეში ნიშნავს მდინარე ენგურთან რუსეთის სახელმწიფო საზღვრის გავლებას, საქართველოს ტერიტორიების მიტაცებას, ოკუპირებულ აფხაზეთში რუსიფიკატორული პოლიტიკის დამკვიდრებას და, აქედან გამომდინარე, აფხაზური ეთნოსის გაქრობას, — აცხადებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭო.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს განცხადებაში აღნიშნულია ასევე, რომ რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობა ბოლო წლების განმავლობაში ეწევა სახიფათო პოლიტიკას, როდესაც იგი ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების მქონე სახელმწიფოების წინსვლის შემაფერხებელ ფაქტორად მის მიერვე ინსპირირებული ეთნოკონფლიქტების შედეგად წარმოქმნილ ე.წ. სახელმწიფოებს იყენებს.

— მიუხედავად ქართული სახელმწიფოს თანმიმდევრული მცდელობისა, კონსტრუქციულ რეჟიმში გადაიყვანოს ორივე ქვეყნის ობიექტური ინტერესების საზიანოდ ჩიხში შესული ქართულ-რუსული ურთიერთობები, აღნიშნული ქმედებით მოსკოვი ეწინააღმდეგება საქართველოს დეოკუპაციის კანონიერ მოთხოვნას, მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებას. ამით რუსეთი სერიოზულ ზიანს აყენებს გლობალურ და რეგიონულ უსაფრთხოებას, აგრეთვე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზაციის მიმდინარე პროცესს.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭო მიიჩნევს, რომ შეთავაზებული ე.წ. ხელშეკრულების გაფორმებით ეჭვქვეშ დადგება აფხაზი ერის თვითმყოფადობა.

— „სამოკავშირეო ხელშეკრულების“ გაფორმებით ეჭვქვეშ დადგება აფხაზი ერის ეთნიკურ-კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების პერსპექტივა, რასაც კარგად აცნობიერებს აფხაზური საზოგადოების დიდი ნაწილი. მან იცის ან უნდა იცოდეს, რომ საქართველოს მთავრობის ძალისხმევა აფხაზი ხალხის კეთილდღეობასა და ეროვნული იდენტობის შენარჩუნებაზეა მტკიცედ ორიენტირებული.

რუსეთის პოლიტიკურ წრეებში საჯაროდ აცხადებენ, რომ „ხელშეკრულება“ თითქოს ორ ქვეყანას — რუსეთსა და ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკას შორის იდება, რაც სინამდვილეს არ შეეფერება და საერთაშორისო ნორმების უხეშ დარღვევას წარმოადგენს. მსოფლიო თანამეგობრობა აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და დროებით ოკუპირებულ აფხაზეთს მიიჩნევს მის განუყოფელ ნაწილად, საიდანაც გამოდევნილია მოსახლეობის დიდი უმრავლესობა. იგი ადასტურებს, რომ რუსეთი არღვევს არა მხოლოდ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს, არამედ ძირს უთხრის მომავალში საკუთარი ქვეყნის ერთიანობასაც, რაც, შესაძლოა, უფრო საშიში მადესტაბილიზებელი ფაქტორი გახდეს მთელი მსოფლიოსთვის, — მიაჩნია აფხაზეთის დევნილ უმაღლეს საბჭოს.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭო მოუწოდებს მსოფლიო თანამეგობრობას, აამოქმედოს სათანადო მექანიზმები, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება რეგიონული უსაფრთხოება და ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა.

# ნოდარ ნათაძე: „გაეროს საქართველოში რიგგარეშე არჩევნები უნდა ჩაატაროს“

მარიკა მჭედლიშვილი

„საქართველოს სახალხო ფრონტის“ ლიდერი, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე დარწმუნებულია, რომ „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა ყველაფერს აკეთებენ ქვეყანაში სიტუაციის ასარევად და საზოგადოების გასაღიზიანებლად. ამის ერთი მაგალითი კოდორში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებულის, ემზარ კვიციანისათვის 12-წლიანი პატიმრობის მისჯაა. „სახალხო ფრონტის“ თავმჯდომარე იურიდიულ დეტალებზე არ საუბრობს. თუმცა, მას მოსმენილი აქვს აფხაზეთის ომის დროს დასავლელი დიპლომატების მიერ კოდორის მოსახლეობაზე გამოთქმული საქებარი სიტყვები. ამასთან, უცხოელი დიპლომატები აუგად მოიხსენიებდნენ როგორც ქართული, ისე აფხაზური მხარის წარმომადგენლებს. ემზარ კვიციანი და სხვა კოდორელები მათთვის სანიმუშო გამონაკლისს წარმოადგენდნენ. „ახალი თაობა“ ნოდარ ნათაძეს ამ და სხვა საკითხებზე ესაუბრა:



***— თქვენც სხვებთან ერთად გააპროტესტეთ ემზარ კვიციანის მიმართ გამოტანილი განაჩენი. როგორ ფიქრობთ, გაართულებს ეს პრობლება ქვეყანაში არსებულ ისედაც დაძაბულ სიტუაციას?***

— დავიწყოთ იმით, რომ ემზარ კვიციანის საქმის დეტალებს არ ვიცნობ. ამიტომ, იურიდიულ მხარეზე ვერ ვისაუბრებ. შემიძლია ვთქვა ის, რაც ჩემი ყურით მაქვს მოსმენილი. აფხაზეთის ომის დროს დასავლელი დიპლომატები უპატივცემულოდ მოიხსენიებდნენ როგორც ქართული, ისე აფხაზური მხარის წარმომადგენლებს. მხოლოდ კოდორის ხეობის მოსახლეობის მიმართ გამოთქვამდნენ პატივისცემას. ისინი ხედავდნენ, როგორი დარაზმული იყო კოდორის მოსახლეობა და როგორ იცავდა მტრისაგან. ეტყობა, ემზარ კვიციანს ეს არ აპატიეს.

***— ვინ არ აპატია?***

— შევარდნაძის ხელისუფლებაც რუსეთის აგენტურა იყო, სააკაშვილის ხელისუფლებაც და, სამწუხაროდ, ეს ხელისუფლებაც ამავე კურსს ადგას. ამ აგენტურის მიზანია შუღლის ჩამოგდება, სამოქალაქო ცემა-ტყეპის ჩათვლით. ემზარ კვიციანს და მის საქმესაც გამოიყენებენ ვითარების გასამწვავებლად. ასეთი მკაცრი განაჩენი საბაბია პროვოკაციებისათვის.

***— საქართველოში მოსალოდნელია ნატოს სასწავლო ცენტრის გახსნა. ნორმალურ სიტუაციაში ეს მისასალმებელი იქნებოდა, მაგრამ ამ სიტუაციაში ამასაც პროვოკაციებისთვის ხომ არ გამოიყენებენ?***

— ასეთი ცენტრის შექმნა დადებითი მოვლენაა. ამ საკითხს საქართველო მარტო არ წყვეტს. არსებობს ამ სასწავლო ცენტრის მომწყობი მხარე. საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება არასწორ ნაბიჯებს დგამს. მაგალითად, კრიტიკას ვერ უძლებს პრემიერ-მინისტრის მიერ გაკეთებული განცხადება იმის შესახებ, რომ რუსეთს საქართველოს დაპყრობა არ უნდა. რას ჰქვია, არ უნდა?! რუსეთს საქართველოს ხელისუფლებაშიც ჰყავს აგენტურა და ოპოზიციაშიც ბურჯანაძის ჩათვლით. ამ ხალხს ვერ გაუგია, რომ რუსეთი მარცხდება! რუსეთი გაჭრილი კარტია. არაინფორმირებულმა პოლიტიკოსებმა ეს უნდა გაიგონ. ასეთი განცხადებების გაკეთება არ შეიძლება.

***— სანამ საბოლოოდ დამარცხდება, პროვოკაციებს ვერ მოაწყობს საქართველოში? თუნდაც, ნატოს სასწავლო ბაზის გამო?***

— ამ შეკითხვას რამდენიმე პუნქტად გუპასუხებ. პირველი — საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად სჭირდება ადამიანების მომზადება. ეს ქვეყანას ჰაერივით ესაჭიროება. მეორე — რუსეთს აქვს საქართველოს განადგურების გეგმა. რუსეთს უნდა, რომ ამიერკავკასიაში დარჩეს მარტო სომხური და მუსლიმანური მოსახლეობა. ამასთან, სომხური — დროებით და მუსლიმანური — მუდმივად. რუსეთის გეგმები არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა გუნებაზეა ეს სახელმწიფო, ან აშენდება თუ არა აქ სასწავლო ცენტრი. მესამე — რუსეთს არავინ ეკითხება, რა ჩამოყალიბდება მის მეზობელ სახელმწიფოებში. ჩვენ გვაქვს სრული უფლება, გვყავდეს ძლიერი, მისი ტოლი ან მასზე ძლიერი ჯარი. განცხადებები იმაზე, რომ ეს რუსეთის საქმეა, პუტინის სიმულაციებია.

***— პარლამენტში მიმდინარე მოვლენებსაც შევეხოთ. „თავისუფალი დემოკრატების“ უმრავლესობიდან გამოსვლის შემდეგ უმრავლესობის ხელოვნურად შენარჩუნება მოხდა...***

— დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ სააკაშვილის ხროვა შეთანხმებულად იმუშავებს პარლამენტში დღევანდელ ხელისუფლებასთან. ისინი ერთად გააგრძელებენ საქმიანობას საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ.

***— განსხვავებული ძალები არ არიან პარლამენტში?***

— ძალები არა. თუმცა, არის რამდენიმე ღირსეული პიროვნება. პირადად მე დიდ პატივს ვცემ ვანო კილურაძეს, მირიან წიკლაურს. ასევე პატივსაცემ პიროვნებებად მიმაჩნია შალვა შავგულიძე და ეკა ბესელია. ეკა ბესელიამ ჯერ კიდევ ადვოკატობისას გამოიჩინა თავი.

***— უმრავლესობიდან პირველი ირაკლი ალასანიას ფრაქცია გამოვიდა...***

— ირაკლი ალასანიაზე მაღალი წარმოდგენა მქონდა, როგორც მინისტრზე. ახლაც ვთვლი, რომ ის კარგი თავდაცვის მინისტრი იყო. თუმცა, მისი და მისი პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ პერსპექტივას პოლიტიკაში ვერ ვხედავ.

***— ექსპერტები აცხადებენ, რომ ალასანიას გარშემო სხვა პოლიტიკური ძალებიც გაერთიანდებიან...***

— საქართველოში რომ ექსპერტი იყოს ვინმე, არა მგონია. ალასანიას მიერ ბლოკის შექმნა შესაძლებელია. არის ინფორმაცია, რომ დასავლეთი ფოსტას ალასანიაზე დებს. იგულისხმება სწორედ ფოსტა და არა ფსონი. სააკაშვილი და მისი ჯგუფი ჩამოწერეს. თუ ეს მართლაც ასეა, ირაკლი ალასანია ბლოკსაც შექმნის და პრეზიდენტადაც მოგვევლინება. თუმცა, საქართველოსათვის საჭირო საქმეს ის ვერ გააკეთებს. მე მასზე ცუდი აზრის არა ვარ. ამ პოლიტიკოსს გონებაც უჭრის, ის აქტიური, ენერგიული და შემტევიცაა. თუმცა, ძალიან შთამბეჭდავი ვერ იქნება და სრულყოფილად ვერ იმოქმედებს. მას

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# თიბისი ბანკი წარმოგიდგენთ „ფული და სურვილების“ ახალ სეზონს — ახალ წამყვანთან ნათია ზედგინიძესთან ერთად

თიბისი ბანკი აგრძელებს გასული სეზონის წარმატებულ პროექტს „ფინანსური რჩევები“ ამჯერად უკვე ახალ წამყვანთან, ნათია ზედგინიძესთან ერთად. პროექტი, ტრადიციულად, წარმოგიდგენთ პირადი ფინანსების მართვის საკითხებზე ნათია ზედგინიძის მოკლე, საგანმანათლებლო ვიდეოებს youtube-სა და facebook-ზე და ასევე სატელევიზიო შოუს „ფული და სურვილები“.



გადაცემა ახალ წამყვანთან ერთად 30 ნოემბერიდან განახლდება და მაყურებელს მისი ნახვა შეეძლება ყოველ კვირას, 20:00 საათზე, ტელეკომპანია „მასტროს“ ეთერში. ხოლო youtube-სა და facebook-ზე ნათია ზედგინიძის ვიდეოების ნახვა უკვე შესაძლებელია.

გადაცემასა და ინტერნეტ ვიდეოებში ნათია ზედგინიძე პირადი ფინანსების მართვის ისეთ საკითხებს შეეხება, როგორებიცაა ფულის ყაირათიანად ხარჯვა, სესხების სწორად მართვა, დაზოგვა და ა.შ. ამ და სხვა საინტერესო თემებზე ნათია ზედგინიძე თავის სტუმრებთან ერთად ისაუბრებს, სასარგებლო რჩევებს გაგიზიარებთ და შეეცდება, დაგეხმაროთ თქვენი ყოველდღიურობის უზრუნველყოფასა და მომავლის სწორად დაგეგმვაში.

თიბისი ბანკის პროექტი „ფინანსური რჩევები“ წლის დასაწყისში სალომე შელიასთან ერთად დაიწყო. პროექტის პირველმა სეზონმა მაყურებელთა შორის დიდი პოპულარობა და ამასთან, საერთაშორისო აღიარებაც მოიპოვა. კერძოდ, ბრიტანული კომპანიის BOC ორგანიზებით გამართულ ბიზნეს დაჯილდოებაზე Business brilliance Awards 2014 გადაცემის შემოქმედებითი ჯგუფი ამ ინოვაციური პროექტის შექმნისათვის დაჯილდოვდა.

ნათია ზედგინიძე წარმატებული ბიზნეს კონსულტანტი და გამოცდილი ტრენერია. ჰქონდა წარმატებული საკონსულტაციო პრაქტიკა ტრეინინგებისა და კონსულტაციების ცენტრში (CTC) ეხმარებოდა რა სხვადასხვა კომპანიებს (ბიზნესს, საჯარო სექტორს და არასამთავრობო ორგანიზაციებს) შიდა მენეჯმენტის სისტემების გაუმჯობესების საკითხებში და შესაბამისად საქმიანობის ეფექტიანობისა და ეფექტურობის გაზრდაში. ნათიას მინიჭებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორის, მაგისტრის და ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომიკაში. ასევე, ფლობს კავკასიის უნივერსიტეტის, კავკასიის ბიზნეს სკოლის მაგისტრის აკადემიურ ხარისხს. აქვს ლექტორის მრავალწლიანი კარიერა.

„ჩემი მიზანია ადამიანებს ის ცოდნა და გამოცდილება გავუზიარო, რომელიც დაეხმარებათ ფინანსურად სწორი, მართებული გადაწყვეტილებების მიღებაში, თუმცა ცხადია, ჩემი რჩევები ვერ იქნება უნივერსალური და ყველასათვის მისაღები, რადგან დამეთანხმებით, თითოეული ადამიანის სიტუაცია განსხვავებულია, ჩემს მისიას შესრულებულად ჩავთვლი, თუკი მაყურებელი ჩემს მიერ მიწოდებულ ინფორმაციასა და რჩევებზე დაყრდნობით მიიღებს ფინანსურ გადაწყვეტილებებს და იხელმძღვანელებს ამ ცოდნით სხვადასხვა ფინანსური პროდუქტის შერჩევისას თუ სარგებლობისას. ჩემს გადაცემაში ასევე ვისაუბრებ იმ სტერეოტიპებსა და დამოკიდებულებებზე, რომლებიც ხშირად ხელს გვიშლის მივიღოთ სწორი ფინანსური გადაწყვეტილება. ასე რომ, ვფიქრობ, წინ ბევრი საინტერესო თემა გველის და მაყურებელს მოვუწოდებ, გვიყუროს, ჩართოს და მიიღოს მონაწილეობა ჩვენს პროექტში.“ — აცხადებს ნათია ზედგინიძე.

ძვალ-სახსართა პრობლემების:
კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართრიტის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და არაოპერაციულ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.
☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

## აშშ უკრაინას 320 მილიონ დოლარს გამოუყოფს

შეერთებული შტატები უკრაინას ფინანსური დახმარების სახით დამატებით 320 მილიონ დოლარს გამოუყოფს. ამის შესახებ თეთრი სახლი იტყობინება. ობამას ადმინისტრაციის განცხადებით, სოლიდური თანხა უკრაინაში ეკონომიკური ვითარების სტაბილიზაციასა და რეფორმების გატარებას მოხმარდება. ამას გარდა, უკრაინა ვაშინგტონისგან 23 მილიონიან ტრანშს მიიღებს. აქედან 20 მილიონი დოლარი სასამართლო სისტემისა და სამართალდამცავი ორგანოების რეფორმირებას მოხმარდება.

აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა ჯოზეფ ბაიდენმა უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს ქვეყანაში რეფორმების გატარებისკენ მოუწოდა:

„ვიდრე პრეზიდენტი ხართ და თქვენს კოლეგებს სჯერათ თქვენი ვალდებულებების, არ იქნებით მარტო. ამერიკის შეერთებული შტატები თქვენს გვერდით იდგება. იქნება თქვენი პარტნიორი და მეგობარი“.

აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა უკრაინის პრეზიდენტს ასევე მოუწოდა, რაც შეიძლება მალე მოხდეს ახალი მთავრობის ფორმირება და ძლიერი, დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნა.

„გარწმუნებთ, რომ თუ უკრაინა გააგრძელებს აღებული კურსით სვლას, საერთაშორისო პარტნიორები, დაწყებული აშშ-დან, მას დახმარებას გავუწევთ. ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ საერთაშორისო ინსტიტუტებთან, რათა უზრუნველვყოთ, რომ უკრაინას ჰქონდეს საჭირო ფინანსური რესურსები და აუცილებელი მხარდაჭერა“, — განაცხადა ჯოზეფ ბაიდენმა.

## იაპონიაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გაიმართება

იაპონიის პრემიერ-მინისტრმა პარლამენტის ქვედა პალატა დაითხოვა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გამოაცხადა. შესაბამის განკარგულებას სინძო აბემ ხელი უკვე მოაწერა, უახლოეს დროში კი დოკუმენტი დასამტკიცებლად იმპერატორს გადაეგზავნება. პრემიერის გადაწყვეტილებით, წინასაარჩევნო კამპანია 2 დეკემბრიდან დაიწყება, საპარლამენტო არჩევნები კი სავარაუდოდ 14 დეკემბერს გაიმართება.

იმ შემთხვევაში, თუ მმართველი კოალიცია არჩევნებში ვერ გაიმარჯვებს, აბე პოსტიდან გადადგომას აპირებს. იაპონიის პარლამენტი ორპალატიანი საკანონმდებლო ორგანოა 1889 წლიდან; ორივე პალატაში წარმომადგენლები ირჩევა საყოველთაო არჩევნებით. წარმომადგენელთა (ქვედა) პალატა შედგება 480 დეპუტატისგან და 4 წლის ვადით აირჩევა. ასაკობრივი ცენზი 25 წელია. 180 დეპუტატის შერჩევა ხდება პარტიული სიებით.

მრჩეველთა (ზედა) პალატა შედგება 252 დეპუტატისგან და 6 წლის ვადით აირჩევა. ასაკობრივი ცენზი ზედა პალატაში 30 წელია. 98 დეპუტატს ირჩევენ მმართველი პარტიიდან პრემიერ-მინისტრიის სიით.


### განცხადება

ნოტარიუსი ნათელა გაგაძე, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ქ.წამებულის №92-ში, პირველ სართულზე, გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება რუსეთის ფედერაციის მოქალაქის, 2008 წლის 17 თებერვალს გარდაცვლილი ანატოლი დობროვოლსკის დანაშთ სამკვიდრო ქონებაზე.

მემკვიდრეებს, რომელთაც პრეტენზია გააჩნიათ სამკვიდროს მიღებაზე და სამოქალაქო კოდექსის თანახმად ითვლებიან 17.02.2008 წ. გარდაცვლილი ანატოლი დობროვოლსკის მემკვიდრეებად, გთხოვთ მიმართოთ ნოტარიუს ნათელა გაგაძეს, რომლის სანოტარო ბიუროც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, ქ.წამებულის ქ.№92-ში, პირველ სართულზე.

*პატივისცემით, ნოტარიუსი ნათელა გაგაძე*


## ბალტიისპირეთის ქვეყნებში ნატო-ს მზარდ ყოფნას რეაგირება მოჰყვება“

ბალტიისპირეთის ქვეყნებში ნატო-ს მზარდ ყოფნას რუსეთის მხრიდან შესაბამისი რეაგირება მოჰყვება. ამის შესახებ ნატო-ში რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა ალექსანდრე გრუშკომ განაცხადა.



მისივე თქმით, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ბალტიის რეგიონს, რომელიც მშვიდი რეგიონი იყო, რუსეთთან ერთგვარი სამხედრო წინააღმდეგობის რეგიონად აქცევს.

ალექსანდრე გრუშკოს განცხადებით, მიმდინარეობს პროპაგანდისტული პროგრამა ნატო-ს თვითმფრინავების მიერ რუსეთის ავიაციის თვითმფრინავებისთვის გზის გადაჭრასთან დაკავშირებით.

„დასავლეთში მოყვანილი სტატისტიკა რუსული თვითმფრინავებისთვის გზის გადაჭრის შესახებ იმიტომ იზრდება, რომ ბალტიის ქვეყნებში ნატო-ს თვითმფრინავთა რაოდენობა გაიზარდა“, — განაცხადა ნატო-ში რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა.

უცხოურ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ლატვიაში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის ვიზიტამდე, ლატვიის საზღვრებთან ახლოს ნატო-ს ეფ-16 ტიპის გამანადგურებლებმა გუშინ რუსულ ილ-20 გზა გადაუჭრეს.

ლიტვის პრეზიდენტის დალია გრიბაუსკაიტეს თქმით კი, უკრაინა ტერორისტული რუსეთის წინააღმდეგ მთელი ევროპის მშვიდობისთვის იბრძვის.

„უკრაინა დღეს მთელი ევროპის მშვიდობისთვის იბრძვის, ყველა ჩვენგანის ნაცვლად, თუ ვერ შევაჩერებთ ამ ტერორისტულ სახელმწიფოს, რომელიც საკუთარ მეზობელზე აგრესიას ახორციელებს, მაშინ ამ აგრესიის მსხვერპლი ევროპაც გახდება“, — განაცხადა ლიტვის პრეზიდენტმა „ელერტეს“ ეთერში.

გრიბაუსკაიტეს შეფასებით, აუცილებელია უკრაინას გაეწიოს პოლიტიკური, ჰუმანიტარული და სამხედრო დახმარება, რათა ქვეყანამ შეძლოს ევროპული მიმართულებით სვლა.

გრიბაუსკაიტეს განცხადებით მშვიდობას მოპოვება და დაცვა სჭირდება, და არავის არ აქვს უფლება დიდ თუ პატარა ქვეყანას უკარნახოს, როგორ იცხოვროს.

თავის მხრივ, ნატოს გენერალური მდივანი მოსკოვს არჩევანის წინაშე აყენებს. საგანგებო განცხადება იენს სტოლტენბერგმა ესტონეთში ვიზიტამდე ერთი დღით ადრე გააკეთა: „ჩვენ რუსეთთან ერთად უნდა შევეცადოთ კრიზისის მშვიდობიანი გზით დარეგულირებას. მოსკოვს კი აქვს არჩევანი. რუსეთი ან საერთაშორისო შეთანხმების მონაწილე უნდა გახდეს, ან იზოლაციის გზა უნდა აირჩიოს. ჩვენ რუსეთს თანამშრომლობას ვთავაზობთ“.

მანვე რუსეთი მინსკის შეთანხმების დარღვევასა და ამბოხებულთა შეიარაღებაში კიდევ ერთხელ დაადანაშაულა.

„ჩვენ ვხედავთ რუსეთს, რომელიც ამსხვრევს წესებზე დამყარებულ სისტემას. ამ სისტემას მრავალი წელი ევროპის უსაფრთხოება ეფუძნებოდა. რუსეთი ამას აკეთებს, არღვევს საერთაშორისო სამართალს, უპატივცემულობას ავლენს საერთაშორისო ვალდებულებების მიმართ“, — განაცხადა სტოლტენბერგმა „დელფისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

## ობამამ საიდუმლო დოკუმენტს მოაწერა ხელი

„ნიუ იორკ თაიმსის“ თანახმად, აშშ-ის პრეზიდენტის საიდუმლო ბრძანებით ავღანეთში მოქმედ ქვედანაყოფებს საბრძოლო მისია მომდევნოს წლის განმავლობაშიც ექნებათ.

როგორც ცნობილია ნატოს სარდლობით მოქმედი საბრძოლო ოპერაციები ავღანეთში 2014 წლის ბოლოსთვის უნდა დასრულებულიყო. თუმცა, „ნიუ იორკ თაიმსის“ პუბლიკაციის თანახმად, ბარაკ ობამას საიდუმლო ბრძანებით აშშ-ის სამხედრო ქვედანაყოფები კვლავ ჩაატარებენ საბრძოლო ოპერაციებს ექსტრემისტული ორგანიზაციებისა და თალიბანის წინააღმდეგ, თუ ისინი ავღანეთის მთავრობას და უცხო ქვეყნების სამხედრო ქვედანაყოფებს საფრთხეს შეუქმნიან.

„დოკუმენტი ასევე, უფლებას აძლევს სამხედროებს, გამოიყენონ გამანადგურებლები, ბომბდამშენები და უპილოტო საფრენი აპარატები ავღანელი სამხედროების დასახმარებლად“, — ნათქვამია სტატიაში.

ამერიკული გამოცემა აღნიშნავს, რომ ამ ბრძანებით ბარაკ ობამამ, ფაქტობრივად, ავღანეთში სამხედრო მისია კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივა.

მანამდე, თეთრ სახლში აცხადებდნენ, რომ ავღანეთში დარჩენილი ამერიკელი სამხედროები საბრძოლო ოპერაციებს აღარ ჩაატარებენ და ავღანურ ჯარს მხოლოდ წვრთნასა და კონსულტაციებს ჩაუტარებენ.

შეგახსენებთ, რომ გეგმის თანახმად, აშშ-მ ავღანეთიდან კონტინგენტი 2016 წელს უნდა გაიყვანოს. ამჟამად, ამ ქვეყანაში 30 000 ამერიკელი სამხედრო იმყოფება.

## პუტინი ფერადი რევოლუციის აღსაკვეთად ემზადება

რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭომ განიხილა კონცეფცია, რომელიც სახელმწიფოს უსაფრთხოებისთვის სახიფათო პროცესების აღკვეთას მოიცავს.

რუსეთის პრეზიდენტმა უშიშროების საბჭოზე განაცხადა, რომ ხელისუფლება მიმართავს ყველა შესაძლო ზომებს, რათა არ დაუშვას ქვეყანაში ფერადი რევოლუციების მსგავსი მოვლენების განვითარება.



„ჩვენ ვხედავთ თუ რა ტრაგიკული შედეგები მოიტანა ე.წ. ფერადი რევოლუციების ტალღამ და ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რომ ასეთი რამ არასოდეს მოხდეს რუსეთში“, — აღნიშნა ვლადიმერ პუტინმა უშიშროების საბჭოს სხდომაზე გამოსვლისას, სადაც განიხილებოდა სახელმწიფო კონცეფცია ექსტრემიზმთან საბრძოლველად.

პრეზიდენტმა აგრეთვე ფერადი რევოლუციები გააიგივა ექსტრემიზმთან, რომელიც, მისი სიტყვებით, გამოიყენება თანამედროვე მსოფლიოში, როგორც ინსტრუმენტი გეოპოლიტიკისა და გავლენის სფეროების შეცვლისთვის.

„ჩვენ თანმიმდევრულად, ღრმად და დაჟინებით უნდა დავკავდეთ ექსტრემიზმის პროფილაქტიკით, რათა აღმოვფხვრათ მისი ნაადრევი გამოვლინებები“, — ხაზი გაუსვა პუტინმა. კერძოდ, მან მოუწოდა გაძლიერდეს კონტროლი თუ რამდენად დაცულია წესები მიგრანტების შესახებ, რადგან უკანონო მიგრაცია, მისი აზრით, არის წყარო დანაშაულების ზრდის, ეთნიკური შუღლის გაღვივებისა და ექსტრემიზმის გამოვლინების.

რუსეთის ლიდერმა აგრეთვე განაცხადა, რომ ის შეწუხებულია ინტერნეტში ანტისახელმწიფოებრივი პროპაგანდის ზრდით. რუსული კანონმდებლობა, რომელიც მიმართულია ექსტრემიზმთან საბრძოლველად, მუდმივად ხდება საერთაშორისო ორგანიზაციების კრიტიკის საგანი, კერძოდ, ექსპერტები თვლიან, რომ ისინი ზღუდავენ რუსეთის საინფორმაციო საშუალებების თავისუფლებას.

ბოლო დროს, გაფრთხილება ექსტრემიზმის შესახებ წესების დარღვევაზე, მიიღო რადიოსადგურ „ეხო მოსკვიმ“ და ოპოზიციურმა გამოცემა „ნოვაია გაზეტამ“. პირველად რუსეთის სისხლის სამართლის პრაქტიკაში, სასამართლომ ექსტრემიტულად ცნო ანეკდოტი.

„ვლადიმერ პუტინი რუსეთის მარადიული პრეზიდენტი არ იქნება, რადგან ეს ქვეყნისთვის დამაზიანებელი იქნებოდა“, — ამის შესახებ პუტინმა სააგენტო „იტარ-ტასთან“ საუბარში განაცხადა.

თუმცა, ისიც აღნიშნა, რომ ქვეყნის კონსტიტუცია უფლებას აძლევს მას, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა კვლავ მიიღოს:

„ჩემი კანდიდატურის წარდგენის შესაძლებლობა ნამდვილად არსებობს. ამას კონსტიტუციაც უშვებს, თუმცა ეს ჯერ არ ნიშნავს, რომ ამ გადაწყვეტილებას მივიღებ“.

მისივე თქმით, მას პრეზიდენტის პოსტი საკუთარი ინტერესების გასატარებლად არ დაუკავებია: „ქვეყნის პრეზიდენტი იმისთვის არ გავმხდარვარ, რომ პირადი ამბიციები დავიკმაყოფილო“.

გარი კასპაროვმა კი, პუტინი ჰიტლერს შეადარა. ვარშავის უსაფრთხოების ფორუმზე გამოსვლისას ცნობილმა მოჭადრაკემ და ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ღიად განაცხადა, რომ კრემლის დიქტატურა ადოლფ ჰიტლერის მმართველობისგან არაფრით განსხვავდება.

„დასავლელი ლიდერები კრემლთან კომპრომისზე არ უნდა წავიდნენ, რადგანაც თუ დღეს პუტინს ვერ შეაჩერებენ, ამისთვის მძიმე საფასურს გადაიხდიან. დათმობა არ უნდა მოხდეს იმის ხარჯზე, რომ რუსეთს და დასავლეთს სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხებში თანამშრომლობა შეუძლიათ. კომპრომისის მიზეზი სირია, ირანი ან ერაყი არ უნდა გახდეს. პირადად მე ვერ ვხედავ რეალურ სტრატეგიულ ამოცანებს, რომელიც ევროპისა და პუტინისთვის საერთო იქნება“, — განაცხადა კასპაროვმა.

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ამერიკული ტელეკომპანიისთვის მიცემულ ინტერვიუში, აშშ-სა და რუსეთის ურთიერთობებზე საუბრობს.

ჯორჯ ბუში მიიჩნევს, რომ ვლადიმერ პუტინის დასამარცხებლად მთელი მსოფლიოს გაერთიანებაა საჭირო. მან ასევე მისი პრეზიდენტობის პერიოდიც გაიხსენა.

იგი მიიჩნევს, რომ სწორედ მისი პრეზიდენტობის დროს შემოიღო პუტინმა არსებული თამაშის წესები, რომლის მიხედვითაც, ერთი პოლიტიკოსის გამარჯვება, აუცილებლად ნიშნავს მეორე პოლიტიკოსის დამარცხებას.

„იმისთვის, რომ პუტინს გავუმკლავდეთ საჭიროა მთელმა მსოფლიომ ერთად იმოქმედოს“, — აცხადებს ჯორჯ ბუში.

იგი ასევე იხსენებს, რომ პრეზიდენტობის პირველ წლებში ვლადიმერ პუტინთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, თუმცა შემდეგ ნავთობის ფასი გაიზარდა და პუტინმა მისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა შეიგრძნო, რის შემდეგაც რუსეთის პრეზიდენტმა საბჭოთა კავშირის აღდგენისთვის ენერგეტიკის გამოყენება დაიწყო.

მოამზადა გერა მამულაშვილმა


### უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● ვიმუშავებ ბუღალტრად. მაქვს სხვადასხვა დაწესებულებებში მთავარ ბუღალტრად 18 წლიანი მუშაობის გამოცდილება, ვმუშაობ ორისში, შემიძლია ყველანაირი საბუღალტრო ოპერაციის შესრულება. ტელ 557589936

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ — ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ — ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა“ — მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ — წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311–ქ-ნი მარიამი.

# დინამომ სხვაობა შეინარჩუნა, იმერული დერბი ფრედ დასრულდა

**ტორპედო – ზესტაფონი 3:3**

**ქუთაისი. ცენტრალური**

0:1 სარდალიშვილი (6), 1:1 მამასახლისი (22), 1:2 ილურიძე (25), 2:2 მამასახლისი (35), 2:3 დვალი (38), 3:3 კვერნაძე (64)

**ტორპედო:** თებიძე, გელაშვილი, მახვილაძე (გოგიჩაიშვილი 56), კვერნაძე, ბონდარენკო, ჩაკვეტაძე, ჩიკვილაძე, ქებურია (ჩადუნელი 46), ბაბუნაშვილი, ფიფია (მარკოზაშვილი 65), მამასახლისი

**ზესტაფონი:** პავლოვიჩი, გაგოშიძე, ხიდეშელი, რენე ფერეირა, ჭანტურიშვილი, შარიქაძე (მიქელთაძე 90), გვალია, თედ.გრიგალაშვილი, სარდალიშვილი, დვალი (კაპანაძე 72), ილურიძე (ფანცულაია 65)

იმერული დერბი ისეთი გამოდგა, როგორსაც გულშემატკივრები ელოდნენ. თითქმის ერთწლიანი პაუზის შემდეგ შედგა „ტორპედოსა“ და „ზესტაფონის“ ჯახი. წინა მატჩი ქუთაისში გასული წლის 24 ნოემბერს და სტუმართა მინიმალური გამარჯვებით, 1:0 დასრულდა.

წინა იმერული „დუელისგან“ განსხვავებით, ამჯერად შეხვედრა მომენტებით დახუნძლული და უხვგოლიანი გამოდგა. ანგარიშის გახსნა ზესტაფონელებმა უკვე მე-6 წუთზე მოახერხეს – საკუთარი გუნდის კარგი შეტევა ზუსტი დარტყმით მიხეილ სარდალიშვილმა დააგვირგვინა.

დაწინაურების შემდეგ უპირატესობას ისევ სტუმრები კი ფლობდნენ, თუმცა 22-ე წუთზე მათ გოლი საკუთარ კარში მიიღეს – ოლეგ მამასახლისის ლამაზი შორეული დარტყმა სტუმართა კიპერისათვის აუღებელი გამოდგა.

თავის მხრივ, ზესტაფონელებს ისევ დასაწინაურებლად ზუსტად სამი წუთი ეყოთ – 25-ე წუთზე მიზანს გიორგი ილურიძის ზუსტმა თავურმა მიაღწია.

34-ე წუთზე ანგარიში ისევ გათანაბრდა – სტუმართა საჯარიმოში შექმნილ არეულობაში ყველაზე უკეთ ოლეგ მამასახლისი გაერკვა და ბურთი ბოიან პავლოვიჩის კარის ბადეში გაახვია.

სიტუაციის ისევ სათავისოდ შესაცვლელად მარგველებმა ამჯერადაც სამი წუთი იმყოფინეს – შეტევის მარჯვენა ფლანგიდან განვითარებული შეტევა ზუსტი დარტყმით ჯაბა დვალმა დააგვირგვინა და თავის აქტივს მეათე გოლი შესძინა.

მეორე ტაიმის სადებიუტო ნაწილი ისევ სტუმართა კარნახით წარიმართა. ზედიზედ ორ ეპიზოდში გოლის გატანასთან ძალიან ახლოს იყო ჯაბა დვალი, თუმცა ორივე შემთხვევაში მიმდინარე პირველობის საუკეთესო გოლეადორს მიზანმა უმტყუნა.

ის, რაც ვერ მოახერხეს ზესტაფონელებმა, გამოუვიდათ მასპინძლებს – 63-ე წუთზე სტუმართა კართან ჩამოწოდებული კუთხურის შემდეგ დამატებაზე კარგი თამაშითა და ეროვნულ ჩემპიონატში გატანილი მორიგი გოლით თავი ოთარ კვერნაძემ გამოიჩინა.

რაც შეეხება შეხვედრის დასკვნით ნაწილს, მთელი დღევანდელი მატჩივით, ისიც „მხიარულად“ წარიმართა. გადამწყვეტი გოლის გატანის შანსები ორივე მხარეს მრავლად მიეცა, თუმცა ანგარიში აღარ შეცვლილა – 3:3.

**დილა – სამტრედია 1:0**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

1:0 ადამაძე (64)

**დილა:** სომხიშვილი, ჯაფარიძე, ადამაძე, ქარქუზაშვილი, ხურცილავა, ფალავანდიშვილი, წიქარიძე, სეთურიძე, ჭეჭელაშვილი (სადაღაშვილი 81), ახალკაცი (ერისთავი 78), მოდებაძე (ბუზალაძე 92)

**სამტრედია:** ბეგაშვილი, ბაკურაძე (ი.კერძევაძე 73), პაჭკორია, კაკუბავა, კვირკველია, დათუნაიშვილი (მელქაძე 67), დოლიძე, ბეჭვაია, გეწაძე (გაბედავა 46), გორგიაშვილი, რამოსი

სანამ უშუალოდ მატჩზე გადავიდოდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ შეხვედრას მსაჯობდნენ მალტელი არბიტრები. მთავარი მსაჯი მარკო ბორგი გახლდათ, ასისტენტები – ინგმარ და ედვარდ სპიტერები იყვნენ.

მატჩს დაძაბულობას ისიც მატებდა, რომ ორივე კლუბს 21-21 ქულა ჰქონდათ დაგროვილი და გორელები მხოლოდ ბურთების უკეთესი შეფარდებით მეორე ადგილზე იმყოფებოდნენ.

უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ, 63-ე წუთზე „დილას“ ფეხბურთელებმა საწადელს მიაღწიეს – ჭეჭელაშვილის ჩაწოდებული ბურთი ადამაძემ თავით ძლიერად დაურტყა ბეგაშვილს და ლამაზი გოლი გაიტანა – 1:0.

„დილამ“ საბოლოოდ ძალზე მნიშვნელოვანი სამი ქულა მოიპოვა და სატურნირო ცხრილში მეორე პოზიცია გაიმყარა.

**ზუგდიდი – დინამო (თბ) 1:2**

**ზუგდიდი. ბაიას ბაზა**

0:1 პაპუნაშვილი (70), 0:2 ჩისკო (87), 1:2 ლომაია

**ზუგდიდი:** თევდორაძე, რიგვავა, მირცხულავა (ლომაია 40), ღონღაძე, აკობია, ტყემალაძე, კობერიძე, შ.ლომია, წურწუმია (გულორდავა 75), ფარჯიკია, (კუკავა 68), ეხვაია



**დინამო:** მიგინეიშვილი, კაკაბაძე, ჭანტურია, ცინცაძე, პაპუნაშვილი (ლობჟანიძე 75), საბანაძე (საჯაია 90), პარუნაშვილი, პაპავა (ჩისკო 69), ჩირგაძე, გველესიანი, შერგელაშვილი

ტრადიციულად დაძაბული გამოდგა ზუგდიდურ-თბილისური დაპირისპირება და მიუხედავად ზუგდიდელთა მედგარი წინააღმდეგობისა, თბილისელებმა მაინც მოახერხეს 3 ქულის წამოღება.

მატჩი ორმხრივი შეტევებით წარიმართა, ორივე გუნდი ყველაფერს აკეთებდა მოსაგებად, მაგრამ პირველი ტაიმი მაინც უგოლო ფრით დასრულდა. მეორე ნახევარიც იგივე სცენარით გაგრძელდა, ტაიმის შუა წელში კახი გოგიჩაიშვილმა ჩისკო შემოიყვანა, რაც საბოლოო ჯამში გარდამტეხი აღმოჩნდა და დინამოელებმა მალევე მოახერხეს ანგარიშის გახსნა.

70-ე წუთზე კაკაბაძის წამოწყებული შეტევა გიორგი პაპუნაშვილმა დაასრულა – 0:1. გოლს მატჩის მიმდინარეობა არ შეუცვლია და ბრძოლა კვლავ გრძელდებოდა, ზუგდიდელთა ერთ-ერთი შეტევისას თბილისელებმა ბურთი ხელთ იგდეს და სწრაფი კონტრშეტევაც წამოიწყეს, მათე ცინცაძის შესანიშნავი პასით ჩისკო მეკარესთან პირისპირ დარჩა, გამოცდილმა ესპანელმა მეკარე მოატყუა და ცარიელ კარში შეაგორა ბურთი – 0:2.

ბესიკ შეროზიას შეგირდებს ძალიან სურდათ გოლი და ეს საწადელი 90-ე წუთზე აისრულეს, გოლი დავით ლომაიას ანგარიშზეა. დარჩენილ დროში ანგარიში აღარ შეცვლილა.

**დინამო (ბთ) – სიონი 2:1**

**ქობულეთი. ჩელე არენა**

0:1 ლობჟანიძე (23), 1:1 მუჯირი (61), 2:1 შონია (79)

53-ე წუთზე მუჯირმა ვერ გამოიყენა პენალტი (ძელი)

**დინამო:** ალავიძე, ტეტუნაშვილი, მახარაძე, მგელაძე, მაკარიანი, სუხიაშვილი, შონია, გოგიტიძე (ვარშანიძე 77), ბერიაშვილი, ტატანაშვილი (მუჯირი 46), ჭკუასელი (ქორიძე 89)

**სიონი:** ბათიაშვილი, სვანიძე (უგულავა 83), გ.კვარაცხელია, ინწკირველი, გ.ფოფხაძე, დ.ფოფხაძე, ცხადაია (განუგრავა 83), გოგობერიშვილი, ზვ.ლობჟანიძე, ისიანი, ჭიკაიძე (სირაძე 57)

ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა ბათუმის „დინამომ“. როგორც ჩანს, ზღვისპირელები კარგ ფორმაში არიან და უმაღლეს ლიგასთან ერთად თასზეც მშვენივრად ასპარეზობენ.

რაც შეეხება აღნიშნულ მატჩს, დინამოელებმა „სიონს“ უმასპინძლეს და დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს.

ანგარიში სტუმრებმა გახსნეს, 24-ე წუთზე ზვიად ლობჯანიძემ გამოიჩინა თავი და პირველი ტაიმი ბოლნისელთა გამარჯვებით ჩამთავრდა.

მეორე ნახევრის სტარტზევე კი, ბათუმელებს შესანიშნავი საშუალება მიეცათ ანგარიშის გასაქვითად, მაგრამ ამირან მუჯირმა პენალტი გააცუდა. გამოცდილმა ნახევარმცველმა რამდენიმე წუთში თვითონვე გამოასწორა შეცდომა და 61-ე წუთზე მაინც გაათანაბრა. „დინამო“ ამას არ დასჯერდა და 79-ე წუთზე თეიმურაზ შონიამ გამარჯვების გოლის გაიტანა.

**ვიტ-ჯორჯია – მეტალურგი 0:2**

**მცხეთა. მცხეთა პარკი**

0:1, 0:2 გელაშვილი (7, 39)

**ვიტ ჯორჯია:** შეროზია, თათხაშვილი (დანელია 46), გეთიაშვილი, კალანდია, მაისურაძე, დავლაშელიძე, გახარია, კურდღელაშვილი, კახაბრიშვილი, ლობჟანიძე (ხვისტანი 46), საბაძე

**მეტალურგი:** ბედიაშვილი, ქავთარაძე, ჯოხაძე (ალავერდაშვილი 11), ნარიმანიძე, გ.კილასონია, კაკაშვილი, მიქაუტაძე, კიტეიშვილი, გელაშვილი, ცნობილაძე, ექვთიმიშვილი

მიჯრით ორი წაგებული შეხვედრის შემდეგ იმარჯვა რუსთავის „მეტალურგმა“. ამ გამარჯვებით ქართლელებმა 19 ქულა დააგროვეს და ცხრილში მერვე ადგილს იკავებენ.

მოგებაში ლომის წილი დავით გელაშვილმა დაიდო, რომელმაც მე-7 და 39-ე წუთებზე დუბლი გაიფორმა.

**მერანი – კოლხეთი 0:0**

**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**

**მერანი:** მამალაძე, მელიავა, ლომაშვილი, ორბელაძე, კიკნაველიძე, ბოლქვაძე, ფონიავა, ჯღამაია, ჩიმაკაძე, შულაია, ციცხვაია (წურწუმია 66)

**კოლხეთი:** სეფიაშვილი, კილასონია, თევზაძე, ფარულავა, თ.კაკულია, გოგონაია, ბარამიძე, ამბროლაძე, ლ.კაკულია (ქორჩილავა 60), დ.სიჭინავა (ნ. სიჭინავა 67) ჟიშკარიანი (გუგუშვილი 90)

ჩემპიონატში კვლავ დაუმარცხებელია მარტვილის „მერანი“, ვლადიმერ ლობასის შეგირდებმა ამჯერად ფრედ ითამაშეს, მაგრამ უკვე 7 ტურია წაგების გემო არ იციან.

მეგრული დერბი საკმაოდ საინტერესო გამოდგა – ორივე კართან საკმაო რაოდენობით შეიქმნა მომენტები, მაგრამ გულშემატკივრების სამწუხაროდ, გოლის გატანა ვერც ერთმა მოახერხა და შეხვედრა ნულოვანი ფრით დასრულდა.

**გურია – ჩიხურა 2:2**

**ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე**

0:1 კორიფაძე (16), 1:1 მეგრელიშვილი (53), 2:1 გაბრიჩიძე (80), 2:2 ლ. ჭელიძე (90)

**გურია:** ზუხბაია, ჭეიშვილი, ჟვანია, გოგიაშვილი, მეგრელიშვილი, შალამბერიძე, მიქაბერიძე (ინგოროყვა 88), ჯოჯუა, გაბრიჩიძე, კოშკაძე (კილაძე 89), ს.ლომია (კვერენჩხილაძე 69)

**ჩიხურა:** ქვილითაია, თ.ღონღაძე, ბაჯელიძე, ლ.ჭელიძე, ქიმაძე, სიხარულია, კორიფაძე, ჩიკვაიძე, კაშია, ოდიკაძე, დეკანოიძე

**გაძევება:** დეკანოიძე (82)

უხვგოლიანი ფრით დასრულდა გურია-ჩიხურას დაპირისპირება, გუნდებმა ერთმანეთის კარი ორ-ორჯერ აიღეს.

ანგარიში მე-16 წუთზე გიორგი კორიფაძემ გახსნა, ეს პირველ ტაიმში ერთადერთი შედეგიანი დარტყმა აღმოჩნდა. გურულებმა გათანაბრება 53-ე წუთზე დავით მეგრელიშვილის გოლით შეძლეს, ამავე მეგრელიშვილმა მე-80 წუთზე ლანჩხუთელები დააწინაურა.

82-ე წუთზე იმერლები მოედანზე ათი კაცით დარჩნენ, მსაჯმა ბესიკ დეკანოიძე გააძევა, ყველაფერი იმისკენ მიდიოდა, რომ სამი ქულა „გურიას“ აქტივში უნდა ჩაწერილიყო, მაგრამ 90-ე წუთზე ლაშა ჭელიძემ ანგარიში გაქვითა და საკუთარ გუნდს ქულა მოუპოვა.

**სპარტაკი – შუქურა 1:0**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

1:0 ლაშა შინდაგორიძე (36)

57-ე წუთზე გიორგი ჩელებაძემ ვერ გამოიყენა პენალტი (ააცილა)

**სპარტაკი:** ნადირაძე, მახარობლიძე (მაისაშვილი 90), გიგაური, კაჭკაჭიშვილი, ივანიშვილი, შინდაგორიძე (ლექვთაძე 87), ქემოკლიძე, ცერცვაძე, თექთურმანიძე (ბურძენაძე 77), კაჭარავა, იოსელიანი

**შუქურა:** ჯიოევი, ჩალაძე (მესხი 87), გ.გურული, ხოჭოლავა, კალანდაძე, ტვილდიანი, კუხიანიძე, ლობე, ჩელებაძე, კომახიძე (კობალიანი 76), მეტრეველი

მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა ცხინვალის „სპარტაკმა“, რომელმაც დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა „შუქურა“.

სატურნირო თვალსაზრისით შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და სპარტაკელებმა საჭირო 3 ქულა აიღეს.

მატჩის ერთადერთი გოლი 36-ე წუთზე გავიდა, ლაშა შინდაგორიძემ გიორგი კაჭკაჭიშვილის პასით ისარგებლა და ძლიერი დარტყმით აიღო ჯიოევის კარი.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 13 | 9 | 2 | 2 | 25-10 | 29 |
| დილა | 13 | 7 | 3 | 3 | 19-11 | 24 |
| სპარტაკი | 13 | 7 | 2 | 4 | 13-18 | 23 |
| სამტრედია | 13 | 6 | 3 | 4 | 14-10 | 21 |
| ბათუმი | 13 | 6 | 2 | 5 | 13-12 | 20 |
| მერანი | 13 | 5 | 4 | 4 | 11-9 | 19 |
| ჩიხურა | 13 | 5 | 4 | 4 | 15-14 | 19 |
| მეტალურგი | 13 | 5 | 4 | 4 | 17-14 | 19 |
| ზესტაფონი | 13 | 4 | 6 | 3 | 27-18 | 18 |
| ტორპედო | 13 | 3 | 7 | 3 | 16-15 | 16 |
| გურია | 13 | 3 | 6 | 4 | 14-22 | 15 |
| შუქურა | 13 | 3 | 5 | 5 | 12-16 | 14 |
| სიონი | 13 | 3 | 3 | 7 | 12-19 | 12 |
| ვიტ ჯორჯია | 13 | 3 | 2 | 8 | 11-16 | 11 |
| კოლხეთი | 13 | 2 | 5 | 6 | 9-15 | 11 |
| ზუგდიდი | 13 | 2 | 4 | 7 | 8-17 | 10 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# მატიას ზამერი: პეპი გენია და გიჟია

მიუნხენის „ბაიერნის“ სპორტულმა დირექტორმა და კლუბის წარმატებების ერთ-ერთმა მთავარმა სულისჩამდგმელმა, მატიას ზამერმა ბავარიულ გრანდთან მოქმედი სამუშაო ხელშეკრულება 2018 წლამდე გაახანგრძლივა.

**მატიას ზამერი:**

– მსურს, „ნდობის საბჭოში“ შემავალ თითოეულ წევრს მადლობა გადავუხადო, კენჭისყრამ ძალიან სასიამოვნო ატმოსფეროში ჩაიარა. ბოლო ორნახევარი წელი ძალიან დატვირთული და წარმატებული გამოვიდა. აქ თავს მშვენივრად ვგრძნობ. ჩემთვის დიდი პატივია, რომ „ბაიერნში“ მოღვაწეობის გაგრძელების საშუალება მეძლევა. ამ კლუბს ისევე ვიცნობ, როგორც ჩემს ხუთ თითს. თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში.

***– კლუბის მიზნებზე რას გვეტყვით?***

– უნდა ვეცადოთ, რომ მოგებებს სტაბილური ხასიათი შევუნარჩუნოთ, რომლის ფუძე ყოველდღიურ დაუღალავ ვარჯიშსა და შრომაში მდგომარეობს. ყველა ერთი მიმართულებით უნდა მივდიოდეთ. შევძლებთ თუ არა ტიტულების მოგებას, ამას დრო გვიჩვენებს, თუმცა ჩვენ ამისკენ ვისწრაფვით!

***– ფილიპ ლამი ტრავმირებულია. ეს გუნდზე რამდენად იმოქმედებს?***

– პირველ წუთებში შოკირებულ მდგომარეობაში ვიყავი, რადგან ლამი ჩვენი კაპიტანი და გუნდის ღერძია. მას სწრაფად გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ. თუმცა, ახლა სენტიმენტებისა და მწუხარების დრო არ არის. ჩვენ უნდა გავმაგრდეთ და გარემოებებს ოპტიმისტური თვალით შევხედოთ. გუნდში მაღალი დონის მოთამაშეები საკმარისად გვყავს. მათთვის, ვისაც აქამდე სათამაშო პრაქტიკა აკლდა, ტრავმირებული ფეხბურთელების გათვალისწინებით შექმნილი ჩვენი ამჟამინდელი მდგომარეობა ხელსაყრელია. დარწმუნებული ვარ, რომ ისინი ამ შესაძლებლობას სათანადოდ გამოიყენებენ.

***– სამაგიეროდ, მომჯობინდა ბასტიან შვაინშტაიგერი.***

– ის თავს კარგად გრძნობს. „შვაინი“ რთულ მდგომარეობას შესანიშნავად გაუმკლავდა და ახლა დამაკმაყოფილებელ ფიზიკურ ფორმაში იმყოფება.

***– პეპ გვარდიოლას მუშაობას როგორ შეაფასებთ?***

– ის უბრალოდ გენიაა! დადებითის მხრივ, პეპი ცოტა გიჟია. შემიძლია გითხრათ, რომ მასთან ერთად მუშაობით დიდ სიამოვნებას ვიღებ.

***– გუნდში ახალგაზრდა ტალანტები არ ჩანან.***

– ბოლო ორი წლის განმავლობაში „ბაიერნის“ ახალგაზრდულმა გუნდებმა მეორე პლანზე გადაიწიეს, რაშიც დამნაშავე მე ვარ. მიხაელ ტარნატთან და ვოლფგანგ დრემლერთან სისტემატიური ურთიერთობა მაკავშირებს. ახალგაზრდული გუნდების მწვრთნელებთან ყოველკვირეული შეხვედრები გვაქვს. ვფიქრობ, რომ ახალი ტალანტების აღმოჩენის მხრივ სწორ გზაზე ვდგავართ, თუმცა მოთმინებაა საჭირო.

# მესი ლა ლიგის რეკორდსმენია

„ბარსელონას“ ლიდერი ლიონელ მესი ესპანეთის ჩემპიონატის ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირი გახდა. არგენტინელმა ვარსკვლავმა, „სევილიას“ 3 გოლი გაუტანა და აქამდე რეკორდსმენ ტელმო ზარას გაუსწრო.

მესის, ლა ლიგაში, უკვე 253-ჯერ აქვს გატანილი, ზარას რეკორდი კი 251 გოლი იყო. მესიმ ლა ლიგის ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირის წოდება 27 წლის ასაკში მოიპოვა. ამ მიღწევისთვის 289 შეხვედრის ჩატარება დასჭირდა. რაც შეეხება ზარას, მან 251 გოლის გატანა 277 მატჩში მოახერხა. მის მიერ დამყარებული ეს რეკორდი თითქმის 60 წლის განმავლობაში ყველასთვის მიუწვდომელი იყო (ზარა „ბილბაოში“ 1940-55 წლებში თამაშობდა), მაგრამ მესისთვის არც ამ მწვერვალის დაპყრობა აღმოჩნდა შეუძლებელი.

მესის ტელმო ზარას რეკორდის დამხობამდე ერთი გოლი აკლდა. ლეომ „სევილიასთან“ მოგებულ (5:1) შეხვედრაში ჰეთ-თრიკი შეასრულა და ლეგენდარულ თავდამსხმელს ორი გოლით გადაასწრო, რითაც ლა ლიგის ყველა დროის საუკეთესო მეგოლის სტატუსი მოიპოვა.

**ლეო მესი:**

– როდესაც ლა ლიგაში პირველი გოლი გავიტანე, ვერ წარმოვიდგენდი თუ ოდესმე ტელმო ზარას რეკორდს გავაუმჯობესებდი. ამ შედეგს მხარდაჭერის გარეშე ვერ მივაღწევდი და მინდა რეკორდი ჩემს გულშემატკივრებს მივუძღვნა. მადლობა თქვენ გვერდში დგომისთვის. აგრეთვე მინდა მივუძღვნა რეკორდი იმ ხალხს, რომელიც დიდი ხანია, რაც გვერდში მიდგანან. თქვენ არასდროს დაგივიწყებთ.

**ლუის ენრიკე, ბარსელონას მთავარი მწვრთნელი:**

– მომწონს მესის გოლები. დიდი ხანია, ასეთ დიდებულ ფეხბურთელი არ მინახავს, არგენტინელი უნიკალური შემტევია. ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ ასეთი ფეხბურთელი გვყავს. არ მეგონა თუ ვინმე ოდესმე ზარას რეკორდს დაამხობდა, მაგრამ მესი...

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი
599-90-54-78, 234-02-38

# აზერბაიჯანულ თეატრში პრემიერაა

ეკა ირემაშვილი

თბილისის აზერბაიჯანული თეატრი, იქ არსებული პრობლემების მიუხედავად, პრემიერისთვის ემზადება. სამწუხაროდ, თეატრი საკუთარ კედლებში მეათე თეატრალურ სეზონზეც ვერ უმასპინძლებს თავის მაყურებელს. თეატრმა, 10 წლის წინ, 47 წლიანი პაუზის შემდეგ კვლავ განაახლა ფუნქციონირება, სადაც ითარგმნება და იდგმება აღმოსავლური, ქართული, რუსული, ევროპული დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშები გამოცდილი და სახელმოხვეჭილი რეჟისორების მიერ. დასმა მონაწილეობა მიიღო ბაქოსა და მერსინის თეატრალურ ფესტივალებშიც. პრემიერებს თბილისში, სხვადასხვა დრამატული თეატრების სცენებზე თამაშობენ, რადგან საკუთარი არც მაყურებელთა დარბაზი გააჩნიათ და არც სცენა აქვთ, არ არსებობს საგრიმიოროებიც. თეატრის შენობა, რომელიც ისტორიულ ძეგლს წარმოადგენს, ავარიულ მდგომარეობაშია, მთლიანად მოშლილია ინფრასტრუქტურა:

„თეატრიდან წლების მანძილზე იგზავნება წერილები აზერბაიჯანისა და საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურებში, ვითხოვთ დახმარებას, თეატრის რემონტს, თუმცა, არც ერთ წერილზე ჩვენთვის პასუხი არავის გაუცია. სრულიად ექსტრემალურ პირობებში გვიწევს მუშაობა. რანდენჯერმე იატაკიც კი ჩავარდა და თანამშრომლები სიკვდილს ბეწვზე გადაურჩნენ,“ — ამბობს თეატრის საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი კახი ლაზარიშვილი.

თეატრს ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი ჰყავს. ზურაბ სიხარულიძეს თურქეთის რესპუბლიკაში მოღვაწეობის 16 წლიანი გამოცდილება აქვს, ბრწყინვალედ ფლობს თურქულ ენას, ანკარისა და სტამბულის თეატრებში დგამდა და ახლაც დგამს სპექტაკლებს. ახალგაზრდა თურქი ვარსკვლავების უმრავლესობა სწორედ მისი აღზრდილია. ზურაბ სიხარულიძე დანიშვნის დღიდან დიდი ენთუზიაზმით შეუდგა მუშაობას. მატერიალური პრობლემების მიუხედავად, სეზონს ორი პრემიერით ხსნიან. მოლიერის პიესას „ჟორჟ დანდენი“ ზურაბ სიხარულიძე დგამს, ხოლო ილიას ეფენდიევის „შენ ყოველთვის ჩემთან ხარ“ თურგაი ველი-ზადე განახორციელებს. სპექტაკლში სულ 5 მსახიობი მონაწილეობს ასლან მამედოვი, შეილა ჯაფაროვა, ლეილა კასუმოვა, მარიანა მამედოვა, თურგაი ველიზადე. პრემიერა აკაკი ხორავას სახელობის მსახიობთა სახლში 25 ნოემბერს გაიმართება:

„მიყვარს ეს ნაწარმოები და ეს მწერალი, თან წელს ილიას ეფენდიევის დაბადებიდან 100 წელი შესრულდა. ეს არის ცნობილი აზერბაიჯანელი დრამატურგი. ამასთან დაკავშირებით ბაქოს თეატრებშიც იგეგმება პრემიერები, ზოგან უკვე ჩატარდა და რადგან აზერბაიჯანული თეატრი ვართ, არ გვინდა ჩამოვრჩეთ ამ მნიშვნელოვანი თარიღის აღნიშვნას და ჩვენ ჩვენებურად აღვნიშნავთ. ჩვენს თეატრში, სამწუხაროდ, ისევ ვერ ვთამაშობთ, ამჯერად ხორავას სახელობის თეატრში ვითამაშებთ 25 ნოემბერს. ამ სპექტაკლში რეჟისორიც ვარ და ერთ-ერთ ეპიზოდურ როლსაც ვასრულებ. ხუთკაციანი ნაწარმოებია და ჟანრობრივად არის დრამა. უსახსრობის გამო, ცოტათი გაჭიანურდა სპექტაკლის გამოშვების პროცესი. წინასაპრემიეროდ, როგორც ყოველთვის, ყველა ვნერვიულობთ, ვღელავთ. ვფიქრობთ, წავიღოთ ბაქოში ეს სპექტაკლი და ჩვენც შევუერთდეთ ამ იუბილეს. იგეგმება სხვადასხვა ფესტივალებში მონაწილეობაც, მაგრამ კონკრეტული თარიღი ჯერ არ ვიცით. ჩვენ საქართველოს კულტურის ნაწილიც ვართ და აზერბაიჯანული კულტურის ნაწილიც,“ — ამბობს სპექტაკლის რეჟისორი თურგაი ველიზადე.

# ბალანჩინი და მისი დაკარგული მუზა“ გამოცემულია

ეკა ირემაშვილი

ელიზაბეთ კენდელის წიგნი „ბალანჩინი და მისი დაკარგული მუზა“, რომელიც ცნობილ ქართველ ქორეოგრაფს ჯორჯ ბალანჩინს ეძღვნება, ქართულ ენაზე გამოცემულია. წიგნის პრეზენტაცია საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმში ბალანჩინის სახელობის დარბაზში გაიმართა.

წიგნი XX საუკუნის ამერიკელი, წარმოშობით ქართველი ქორეოგრაფის, ჯორჯ ბალანჩინის დაბადებიდან 110 წლის აღსანიშნავად ხათუნა ბასილაშვილმა თარგმნა. ეს არის პირველი ქართული გამოცემა ბალანჩინის ცხოვრებისა და შემოქმედებითი გზის შესახებ. წიგნი ქართველი მკითხველისთვის განსაკუთრებით საინტერესო იქნება, რადგან მასში ვრცლადაა მოთხრობილი ჯორჯ ბალანჩინის ოჯახის ისტორია.

წიგნის ავტორია ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტი, ბალეტის კრიტიკოსი ელიზაბეტ კენდელი. იგი იყენებს ბალანჩინის თანამედროვეთა მემუარებს და იმდროინდელ პუბლიკაციებს. ასევე, რუსეთის, ფინეთის, ამერიკისა და საქართველოს არქივებში ჩატარებული კვლევის შედეგად მოპოვებულ მასალას. წიგნი დაფინანსებულია საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს წიგნების თარგმნის პროგრამის ფარგლებში და თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით გამომცემლობა „დიოგენეს“ მიერ გამოიცა.

# მოზარდ მაყურებელთა თეატრი 86 წლისაა

ეკა ირემაშვილი

ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი 86 წლისაა. იუბილე თეატრმა საქართველოს უძველეს თეატრალურ სივრცეში თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში აღნიშნა და მანანა ბერიკაშვილის მიერ დადგმული სპექტაკლის „ჩვენ გველის დიდება“ თელავური პრემიერა გაიმართა. სპექტაკლს თავად რეჟისორი მანანა ბერიკაშვილიც დაესწრო. პირველ დეკემბერს კი „ჩვენ გველის დიდება“ უკვე ფოთის თეატრში გათამაშდება.

პრემიერის დასასრულს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილემ მანანა ბერიკაშვილმა წარმოშობით თელაველს, ცნობილ ქართველ რომანისტსა და კინო სცენარისტს ზაირა არსენიშვილს ქართულ კულტურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის „ხელოვნების ქურუმი“ გადასცა. ზაირა არსენიშვილი არის ყველა იმ ფილმის სცენარის ავტორი, რომლის რეჟისორიც ლანა ღოღობერიძეა. მის ფილმოგრაფიაში შედის „ბედნიერება“, „ვალსი პეჩორაზე“, „ორომტრიალი“, „ბებია ყველასათვის“, „დღეს ღამე უთენებია“, „კაცია ადამიანი“, „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, „აურზაური სალხინეთში“ და „როცა აყვავდა ნუში“.

ქართული მოზარდ მაყურებელთა თეატრი 86 წლის წინ ალექსანდრე თაყაიშვილმა დააარსა. თავდაპირველად სპექტაკლები იმართებოდა სარდაფში, ხოლო შემდგომ თეატრმა ბინა დაიდო რუსთაველის გამზირზე კაზარიანცის სახლის ისტორიული ნაგებობის პირველ სართულზე. პირველ წარმოდგენად უჩვენეს საცის „ფრიც ბაუერი“ ალექსანდრე თაყაიშვილის რეჟისურით. ქართულ მოზარდში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ ცნობილი რეჟისორები ლილი იოსელიანი, თემურ ჩხეიძე, გიგა ლორთქიფანიძე, შალვა გაწერელია. თეატრთან თანამშრომლობდნენ ცნობილი მხატვრებიც ელენე ახვლედიანი, ნიკა ყაზბეგი, გოგი მესხიშვილი, შოთა გლურჯიძე. მუსიკალურად სპექტაკლებს აფორმებდნენ კომპოზიტორები ალექსი მაჭავარიანი, ოთარ თაქთაქიშვილი, გოგი ცაბაძე, რეზო ლაღიძე, მერი დავითაშვილი, ვაჟა აზარაშვილი, ვახტანგ კახიძე.

სპორტი

## მილუოკიმ წარმატებული სერია ორი მარცხით გააგრძელა

3-მატჩიანი წაუგებელი სერია „მილუოკიმ“ აღმოსავლეთ კონფერენციის ლიდერ „ტორონტოსთან“ შეწყვიტა. ზაზა ფაჩულიას გუნდი კანადურ გუნდს ესტუმრა და დიდი სხვაობით — 83:124 დამარცხდა.

„ტორონტო“ ძლიერი გუნდია, მით უფრო საკუთარ მოედანზე და ბოძებული შანსი, სეზონის მე-10 გამარჯვება მოეპოვებინა, ხელიდან არ გაუშვა. „მილუოკიმ“ მიყოლებით წააგო პირველი, მეორე და მესამე პერიოდები და ბოლო 12-წუთეულს აზრი დაეკარგა. 3 პერიოდის შემდეგ ტორონტოელები 101:57 იგებდნენ.

ქართველმა ცენტრმა შეხვედრაში მხოლოდ 8:38 წუთი ითამაშა. ზაზამ ამ დროში თავი 5 ქულას, 3 მოხსნა და 2 ჩაჭრას მოუყარა. ფაჩულიამ 3-დან 1 ორქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო.

„მილუოკი“ ერთ მარცხს არ დასჯერდა და შინ „ვაშინგტონთანაც“ წააგო — 100:111.

საქართველოს ნაკრების კაპიტანი სასტარტო ხუთეულში არ იყო, მაგრამ ზაზამ ძირითად ცენტრზე, ლარი სანდერსზე მეტი დრო დაჰყო პარკეტზე (25 წთ. 57 წმ.). ამ დროში ფაჩულიას მონაგარი იყო 6 ქულა, 7 მოხსნა 2 პასი და 1 ბლოკი. ზაზამ 8-დან 3 ორქულიანი ჩააგდო

„მილუოკი ბაქსს“ მიმდინარე სეზონში 7 მოგება და ამდენივე წაგება დაუგროვდა, ჯეისონ კიდის შეგირდები აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-6 ადგილს იკავებენ.

მ. ჟ.

## მოსწავლე სერხიო აგუეროს ვარცხნილობის გამო დასაჯეს

ერთ-ერთი ინგლისური სკოლის ადმინისტრაციამ, რომელიც სოლფორდში მდებარეობს, მოსწავლე სწავლის კურსს ჩამოაცილა მოსწავლისთვის შეუფერებელი ვარცხნილობის გამო.



13 წლის ლიუსი კენის გაკვეთილებზე დასწრება მანამდე აუკრძალეს, სანამ ის საკუთარ ვარცხნილობას არ შეიცვლის. აღსანიშნავია, რომ მოზარდმა, რომელიც საფეხბურთო კლუბ ,,მანჩესტერ სიტის“ ფანია, ამ გუნდის არგენტინელი ფორვარდის სერხიო აგუეროს მსგავსი ვარცხნილობა გაიკეთა.

გასულ თვეში ასევე გაკვეთილებზე დასწრება აუკრძალეს ლიუსის საუკეთესო მეგობარ ჯეკ ლიტლვუდს. მაშინ სკოლის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ბავშვმა მეტისმეტად მოკლედ შეიჭრა თმები.

ბავშვის მშობლებმა განაცხადეს, რომ სკოლის ადმინისტრაციის ქმედებით უკმაყოფილონი არიან, თავიანთი შვილის ვარცხნილობა სრულიად ნორმალურად მიაჩნიათ და ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ მათ შვილს გაკვეთილებზე დასწრების უფლება მისცენ.

სკოლის დირექტორმა მარია გარსაიდამ განაცხადა, რომ მათი სასწავლო დაწესებულება ელიტურია და თავის მოსწავლეებს მაღალ მოთხოვნებს უყენებს.

სასწავლო დაწესებულების ოფიციალურ ვებ-გვერდზე წერია, რომ სკოლის ცხოვრების საფუძველს წარმოადგენს ქრისტიანული მორალის პრინციპები. სკოლის ადმინისტრაცია ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რათა სასწავლებლის კედლებში ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო იყოს გამეფებული და ყოველი მოსწავლის პოტენციალი მაქსიმალურად იქნას გამოვლენილი.

არგენტინელი ფეხბურთელი სერხიო აგუერო ,,მანჩესტერ სიტიში“ 2011 წლიდან თამაშობს. ის 2012 წელს გულშემატკივრებმა წლის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. აგუერო ამავე დროს არგენტინის ეროვნული ნაკრების ღირსებასაც იცავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



# ნოდარ ნათაძე: გაერომ საქართველოში რიგგარეშე არჩევნები უნდა ჩაატაროს“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

და მის გარემოცვას არ გააჩნია საქართველოს განვითარების ნამდვილი პროგრამა. რომც ჰქონდეთ, ისინი მას ვერ განახორციელებენ.

***— თქვენ აცხადებდით, რომ საქართველოში რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები გაერომ უნდა ჩაატაროს...***

— დიახ. თუ ქვეყნის ხელისუფლება მიმართავს, გაეროს უფლება აქვს თავისი ხარჯით ჩაატაროს არჩევნები ამ ქვეყანაში. ამიტომ, ჩვენ ყველანი უნდა გამოვიდეთ ქუჩაში და ხელისუფლებას ეს მოვთხოვოთ.

***— უფრო რეალური, ალბათ, ისაა, რომ არჩევნებს თავად ხელისუფლება ჩაატარებს. საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად ინტერპარტიული ჯგუფი მუშაობს. იგეგმება საარჩევნო ზღურბლის დაწევა, მაჟორიტარული სისტემის გაუქმება და სხვა...***

— იმ პარტიებისაგან, რომლებიც ამ ჯგუფში არიან გაერთიანებული, ხეირი არ გამოვა. განსაკუთრებით, ეს ითქმის რესპუბლიკურ პარტიაზე. ამ პარტიის წარმომადგენლები დიდი ხანია გაიწაფნენ იმაში, რომ ქართულ გვარებს აქირავებენ ანტისახელმწიფოებრივი დოკუმენტების ხელმოსაწერად. მიწის გაყიდვის დაკანონებაში ნაცმოძრაობაცაა გარეული და რესპუბლიკური პარტიაც. რესპუბლიკელების აქტიურობის შედეგად მუნიციპალიტეტებს მიწის გაყიდვის უფლება მიეცათ.

***— თქვენ მიწის გაყიდვის დაკანონებაში საკონსტიტუციო სასამართლოსაც უყენებდით ბრალდებებს...***

— დიახ. ამ დანაშაულისათვის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარესაც მოეთხოვება პასუხი. აქ კიდევ იკვეთება ის, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში მოპასუხეა პარლამენტი, ანუ მოპასუხეები არიან რესპუბლიკელები. ისინი პირდაპირ წაგებაზე მუშაობენ. ეგ ხალხი ხშირად გონებაშეზღუდულობასაც იჩენს. მაგალითად, როცა ლაპარაკობენ პრეზიდენტის ინსტიტუტის შეზღუდვაზე, ამბობენ, რომ პრეზიდენტს უფლებები უნდა შევუზღუდოთ, რათა სულმა არ წასძლიოს და დიქტატურა არ დაამყაროსო. მარტო ამაში ხედავენ პრეზიდენტის ფუნქციას, რაც არასწორია. პრეზიდენტს სხვა ფუნქციებიც აქვს. მაგალითად, ხალხის დარაზმვა ომის შემთხვევაში.

***— გამოსავალი რაშია? როგორ უნდა შეიცვალოს სიტუაცია ქვეყანაში?***

— უნდა მოვახდინოთ ერის ჯანსაღი ნაწილის მობილიზაცია. ეროვნული პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საბჭოს შემუშავებული გვაქვს საქართველოს განვითარების სრულყოფილი პროგრამა. მასში საქართველოს გადარჩენის იდეები ემთხვევა კაცობრიობის განვითარების იდეებს. ეს არ არის იაფფასიანი პროპაგანდა, რომელსაც ყოველდღე ვისმენთ. ვითარება უკეთესობისაკენ იცვლება. გარკვეული პროცენტით საზოგადოება ჩვენსკენ შემოტრიალდა. დარწმუნებული ვარ, რომ სერიოზული ცვლილებებიც მალე მოხდება. თუ გავიხსენებთ, რომ ისტორიას ლოგიკა მართავს, ამ ლოგიკით, სიტუაცია უნდა შეიცვალოს.

# სკანვორდი



1. ქრისტეფორე ...; 2. ცხოველთა მეფე; 3. პროსპერ ...; 4. ტოლგვერდა ოთხკუთხედი; 5. მდინარე რუსეთში; 6. შლამის თევზი; 7. მონარქიულ სახელმწიფოთა კავშირი; 8. თავად-აზნაურთა წოდება ინგლისში; 9. მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; 10. ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა; 11. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 12. მგალობელი ჩიტი; 13. ვირტუოზული საფორტეპიანო პიესა; 14. მიცემითი ბრუნვა (გრამ.); 15. მარადმწვანე დეკორატიული მცენარე; 16. ... დეგოლი; 17. მაუგლის მეგობარი გველი; 18. ბუნებრივი საღებავი; 19. სასიგნალო ტივტივა; 20. ცხენის კუდის ბეწვი; 21. ცდის გარეშე; 22. მაღალი წიწვოვანი ხე; 23. ,,კვირის ...; 24. საგვარეულო ან ბოძებული საპატიო წოდება; 25. ,,ბერძენი ...; 26. ვისიმე პირისპირ მყოფი; 27. ფულის მიღება მრწმუნებლის დავალებით და სათანადო დოკუმენტების წარდგენით; 28. არქიტექტურული სტილი; 29. სანელებელი; 30. ჰომეროსის პოემა; 31. ჩოგბურთის სათამაშო მოედანი; 32. პატარა ლირიკული საოპერო არია; 33. ... კლინტონი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პერკუსია; 2. ალბიონი; 3. დიეტა; 4. მურმანი; 5. „დარნიცა“; 10. ვესტერნი; 11. სერჟანტესი; 12. კრიკინა; 15. პომოლოგია; 16. „იბერია“; 17. ატაკამა; 20. „ნოკია“.

**თარაზულად:** 6. მეგალომანია; 7. ფუტზალი; 8. პლანიცა; 9. ასტანა; 13. ვაკე; 14. ვეზირი; 18. აკვალანგი; 19. ატაშე; 21. ჰობოი; 22. ქაშერი; 23. სამთავისი; 24. ტრაქტატი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. „სტელსი“; 2. ჩხუტი; 3. რუნი; 5. ლეგატი; 6. სეული; 7. ებონიტი; 11. სქოლიო; 13. აპენინი; 14. ბამბა; 15. შჩეცინი; 16. რელიქტი; 17. პალატა; 19. არენა; 20. ფიფა.

**თარაზულად:** 1. საჩხერე; 4. ტაბლა; 8. ნუბია; 9. გურუ; 10. ლოტოსი; 12. კნესეტი; 14. ბალი; 15. შიმპანზე; 16. რემბო; 18. „ციცქა“; 21. „ლაციო“; 22. ტელფერი; 23. ნიტრატი.

# თინა მახარაძე: ურეაქციო საზოგადოება მკვდარია!“

ეკა ირემაშვილი

მსახიობი თინა მახარაძე მიიჩნევს, რომ ურეაქციო საზოგადოება მკვდარია, ამიტომაც, პირველ რიგში, თავად აპირებს აქტიურობას და 25 ნოემბერს დაგეგმილ საპროტესტო აქციაში ერთვება, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობას ეძღვნება:

„რა თქმა უნდა, არ მაქვს ილუზია, რომ მსგავსი აქტივობა ძალადობის სურვილს დაუქვეითებს და აგრესიას დაუცხრობს მოძალადე კაცებს. სულ რომ თავი დავანებოთ იმას, რომ ასეთი აქციები, პირველ რიგში, რეაქციაა საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ პრობლემაზე და ურეაქციო საზოგადოება კი მკვდარია, მე მაინც მგონია, რომ ეს ყველაფერი ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის არის ზურგის ქარი ფონს გასასვლელად. ქალების გამოწრთობა უნდა იყოს ჩვენი მიზანი, რომ აღარ ეშინოდეთ, აღარ იყვნენ სუსტები, დაუცველები, უმოქმედოები და ურეაქციოები. ამიტომ, 25 ნოემბერს პირველ საათზე რაც შეიძლება მეტი ადამიანი უნდა ვიყოთ პარლამენტის შენობის წინ. „რაც შეიძლება მეტი“ ადამიანის რეაქცია უდრის მით უფრო ნაკლებ მიჩეხილ-მოჩეხილ ქალს, მით უფრო ნაკლებ თავში რტყმას მერე, ნაკლებ ჭორაობას ფეისბუქზე და ეგება, ოდესმე, დიდი ქვეყანა რომ გავიზრდებით, ჩვენც კარგი ქვეყანა გამოვიდეთ.“

დაგეგმილ საპროტესტო აქციას უერთდებიან საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები დუტა სხირტლაძე, გიორგი გაბუნია, რატი ამაღლობელი, ეკა მიშველაძე, ნიკა მაჩაიძე, ლაშა ბუღაძე, ნინო ზაუტაშვილი. აქციები თბილისის გარდა დაგეგმილია ბათუმში, რუსთავში, ზუგდიდში, ქუთაისში, ოზურგეთში, თელავში, ახალციხეში, ნინოწმინდაში, ახალქალაქში, გარდაბანში, დმანისში, გორში, ბოლნისში, დუშეთში.

თინა მახარაძეს არაერთხელ უწევს ხმაურიანი განცხადებების გაკეთება და შემდეგ უკვე მათზე განმარტებებიც, რადგან მისი ნათქვამი ხშირად არასწორად არის გაგებული. ერთ-ერთი ბოლო სკანდალი მისი ათი მცნების განმარტებას უკავშირდებოდა, ამიტომაც მსახიობმა სპეციალური განცხადება გაავრცელა:



„მე რომ ბოლომდე შემენარჩუნებინა ოპტიმიზმი და იმედი, რომ ჩემი სათქმელი იმდენად ნათელია და აშკარა ერთმნიშვნელოვნად და ჩემი გამომსახველობა და ენა იმდენად ტრივიალური და ბანალურად მარტივი, რომ არანაირ ახსნას არ საჭიროებს და ყველაფერი ყველასთვის სავსებით გასაგებია, მოცემულ მომენტში აბსოლუტურად სხვა სასაუბრო ენას გამოვიყენებდი, მაგრამ მივხვდი, რომ ზედმეტად გულუბრყვილო დამოკიდებულება მაქვს ჩემი ნაუბარის და ზედმეტად გაზვიადებული წარმოდგენა ერის შესაძლებლობების მიმართ, ამიტომ ვეცდები რაც შეიძლება მოკლედ და მარტივად ავხსნა, რა ხდებოდა ამ ყბადაღებულ ვიდეოში. პირველი, ბიბლია უკუღმა არ მიჭირავს, მაქვს მაკბუქი, რომელიც იღებს სარკის ეფექტით და უფრო რომ გაგიადვილდეთ ამ თავსატეხის ამოხსნა, შეგიძლიათ მიხვიდეთ სარკესთან და ძალიან მარტივად წაისვათ ტუში. მეორე, ღმერთმა რომ მოსეს სინას მთაზე ათი მცნება გადასცა და ამ ათ მცნებაში ეწერა არ ჰკლა და მხოლოდ ქართულ თარგმანშია გავრცობილი არა კაც ჰკლა, ესეც ვიცი, ვიცი ისიც, რომ კაცში იგულისხმება ზოგადად კაცობრიობის ნაშიერი, ნებისმიერი ძეხორციელი, ადამიანი განურჩევლად სქესის ა.შ და ა.შ, თუმცა, სამწუხაროდ, თქვენ არ იცით იმ ტერმინებისა და მხატვრული, გნებავთ ჩემს შემთხვევაში დაბალმხატვრული ღირებულების მქონე ხერხების მნიშვნელობა, როგორიც არის ალეგორია, ჰიპერბოლა, რაღაცის ურტრირება, სატირა და ა.შ. არ იცით ისიც, რომ ამ ვიდეოში არათუ დავცინი, არამედ მართალია არ ჩანს ცრემლები, მაგრამ დავტირი ჩვენს თავს. ჩვენს ხალხს, ვისაც ჩვენი აბსოლუტურად გაუგებარი სუბიექტური დამოკიდებულებების მიხედვით ან გვეცოდება მსხვერპლი, ან არ გვეცოდება. ან ვგმობთ ძალადობას, ან არ ვგმობთ, ვამართლებთ და გვიხარია. ან ვამტყუნებთ მოძალადეს, ან ვამტყუნებთ მოძალადეს და ვამართლებთ მსხვერპლს. კიდევ ერთხელ მკაფიოდ მინდა ვთქვა, რომ მე არავის შეურაცხყოფა, მით უმეტეს ღმერთის, მიზნად არ მქონია, მე მხოლოდ მოვახდინე ამგვარი ხერხით ერთგვარი პროექცია იმ დამოკიდებულებისა, რა დამოკიდებულებაც გვაქვს საქართველოში ძალადობის მიმართ და თქვენი ტერმინი რომ ვიხმარო, ეს იყო იმ გაპრავების ციტირება, როგორც ვაპრავებთ ხოლმე საქართველოში აგრესიასა და ძალადობას. ძალიან, გულწრფელად ვწუხვარ, რომ ასე 360 გრადუსით შემოაბრუნეთ ჩემი ნათქვამი და ასე არასწორად გაიგეთ და ახლაც რაც მინდა, მინდა ზუსტად ისე გაიგოთ, როგორც გეტყვით, სამწუხაროდ, ვერ ვიხმარ ვერანაირ ელფემიზმს და პირდაპირ გეტყვით, რომ თქვენ ხართ ტვინმოფუჩეჩებული, წარმოუდგენელი ტკივილამდე ყლ..ბი!“

გასულ კვირას თინას სოციალურ ქსელში ჭორი გაუვრცელეს, თინა მახარაძე მტკვრის პირას დაჭრილი იპოვეს, სასწრაფო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა და გადაუდებელი ოპერაცია უტარდებათ. როგორც თავად თინა მახარაძემ განაცხადა, ის არც დაჭრილია, არც ჰოსპიტალიზებული და მით უმეტეს, არც ექიმების დახმარება ესაჭიროება.

# გოდერძი ჩოხელის პრემია გამარჯვებულებს გადაეცათ

ეკა ირემაშვილი

მწერლისა და რეჟისორის გოდერძი ჩოხელის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით მისივე სახელობის ლიტერატურული პრემია „ერთგულება“ დაარსდა. ის კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით საერთაშორისო ინკორპორაცია-ქართულ-ამერიკული კულტურის ცენტრ „ამირანის“ საქართველოს წარმომადგენლობამ დააფუძნა. პრემიის მიზანია გამოავლინოს ათი საუკეთესო მინიატურა, მათ შორის პირველი სამეული საპრიზო ადგილის მფლობელი გახდება. კონკურსზე შემოსული ნამუშევრები შეაფასა კომპეტენტურმა ჟიურიმ, ცნობილი ლიტერატორების შემადგენლობით. ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, კონკურსი ყოველწლიურად გაიმართება. კონკურსის დაარსებამდე კი საქართველოს 7 დიდ ქალაქში გოდერძი ჩოხელის 60 წლის იუბილესადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამოები მოეწყო. მწერალი და რეჟისორი 53 წლის ასაკში 7 წლის წინ გარდაიცვალა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის გადაწყვეტილებით, ხელოვანი მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში დაკრძალეს.

გოდერძი ჩოხელის შემოქმედება დღემდე აქტუალურია ქართულ საზოგადოებაში. საჯარო სკოლებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში ტრადიციულად ეწყობა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებითი საღამო. ეს საღამოები იმართება არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს რეგიონებშიც. გოდერძი ჩოხელის სახელის უკვდავსაყოფად დაარსდა სახალხო დღესასწაული „გოდერძობა“, რომელიც ყოველი წლის 2 ოქტომბერს, ხელოვანის დაბადების დღეზე მის მშობლიურ გუდამაყარში ეწყობა. რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურულმა თეატრმა და მისმა ხელმძღვანელმა იზა ვეფხვაძემ დადგა საავტორო ლიტერატურული სპექტაკლი „ამ მიწის ბედი ჩემი ბედია“, რომელიც მთლიანად გოდერძი ჩოხელის ცხოვრებას ეძღვნება. 15 ნოემბერს სამების ტაძარში საქველმოქმედო გუდამაყრული პოეზიის საღამო გაიმართება, რომელიც გუდამაყრის სკოლის ბავშვების დასახმარებლად ჩატარდება. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ პოეტები ტარიელ ხარხელაური, მარიამ წიკლაური, თავმას ჩოხელი. ღონისძიებაზე გუდამაყრის სკოლის მოსწავლეები და მსახიობები წაიკითხავენ გოდერძი ჩოხელის და მამუკა წიკლაურის ლექსებს. საღამოს მუსიკალურად გააფორმებენ ფოლკლორული ანსამბლები. შეგროვდება წიგნები სასკოლო ბიბლიოთეკისათვის, რვეულები, საწერი კალმები და სხვა საკანცელარიო ნივთები, გუდამაყრის სკოლის მოსწავლეებისათვის.

გოდერძი ჩოხელის სახელობის ლიტერატურული პრემიის დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა, სადაც თავი მოიყარეს მწერლის შემოქმედების მოყვარულებმა. დარბაზში შეკრებილებს სიტყვით მიმართეს გოგა პიპინაშვილმა, ნინელი ჭანკვეტაძემ, კონკურსი დამაარსებელმა ირმა სანაძემ. ჟიურის წევრების მიერ შერჩეული 10 საუკეთესო მინიატურიდან 3 მინიატურის ავტორს სპეციალური პრიზი და ფულადი ჯილდო გადაეცა, ხოლო დანარჩენმა 7-მა მონაწილემ გამომცემლობებისგან საჩუქრად წიგნები მიიღო. პირველი და მეორე საპრიზო ადგილი ერთმა ადამიანმა დაიკავა. გოდერძი ჩოხელის ლიტერატურული პრემიის საუკეთესო მინიატურისათვის პრიზისა და მეორე ადგილის ჯილდოს მფლობელი ნათია როსტიაშვილი გახდა:

„ჩემთვის ძალიან დიდი პატივია, რომ გოდერძი ჩოხელის სახელობის კონკურსში დავიკავე საპრიზო ადგილი. თანაც არა ერთი, არამედ ორი. მაგრამ ეს ადგილები სულ რომ არ დამეკავებინა და გამარჯვებულის ტიტული არ მიმეღო, მაინც ასეთი გახარებული ვიქნებოდი. ეს გამარჯვებები დამატებითი სიხარულია ჩემთვის. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კონკურსის ორგანიზატორებს, მადლობა ჟიურის და მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვისაც გულწრფელად გაუხარდა ჩემი გამარჯვება.“

მესამე ადგილი ჟიურიმ ლია ლიქოკელს მიანიჭა. როგორც გოდერძი ჩოხელის მეუღლემ ნინო მელაშვილმა განაცხადა, მინიატურის ჟანრის განვითარებაში ამ კონკურსს დიდი მნიშვნელობა ექნება:

„ჩვენი ოჯახისათვის და პირადად ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, რომ გოდერძის იუბილესთან დაკავშირებით ასეთი ლიტერატურული პრემია დაარსდა. მიმაჩნია, რომ მინიატურის ჟანრის განვითარებაში ამ კონკურსს ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება. ჩემთვის ორმაგად სასიხარულოა, რომ ეს ყველაფერი გოდერძის სახელთან იქნება დაკავშირებული. მინიატურის ჟანრი საქართველოში ცოტა მივიწყებულია და მე მივესალმები ამ წამოწყებას.“

გოდერძი ჩოხელის შვილს ლუკა ჩოხელს იმედი აქვს, რომ მომავალში ამ კონკურსში უფრო მეტი მსურველი მიიღებს მონაწილეობას:

„ძალიან კარგი და თბილი საღამო იყო, იმედი მაქვს, მომავალში უფრო და უფრო მეტი ადამიანი მიიღებს კონკურსში მონაწილეობას. წელს, 2 ოქტომბერს, გოდერძის შეუსრულდა 60 წელი და წელსვე დაფუძნდა მინიატურის ჟანრში გოდერძის სახელობის პრემია, რომელიც იქნება ყოველწლიური. მინდა, ორგანიზატორებს ვუთხრა დიდი მადლობა. ასევე დიდი მადლობა გადავუხადო მონაწილეებსა და იმ გამომცემლობებს, რომლებმაც პრიზები დააწესეს.“

კინომსახიობთა თეატრის მსახიობი ნინელი ჭანკვეტაძე თვლის, რომ ასეთი კონკურსი ნამდვილად საჭიროა:

„ეს კონკურსი ატარებს გოდერძი ჩოხელის სახელს და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. კონკურსი შექმნილია სწორედ პატარა მინიატურებისთვის. კონკურსის მთელი ხიბლი იყო იმაში, რომ გამარჯვებულების ვინაობა, მათი სახელი და გვარი ჟიურის წევრებმაც კი არ იცოდნენ. ეს კონკურსი ყოველწლიურად უნდა ჩატარდეს და ისეთივე მნიშვნელოვანი და დღეგრძელი იყოს, როგორიც გოდერძის შემოქმედებაა.“

# ანუკი არეშიძეს სიყვარულში გამოუტყდნენ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

„4 წამში ვასწრებ დავიტენო საოცარი ენერგიით იმ ოვაციების შემდეგ, რასაც დამსწრე სტუმრებისგან ვიღებ ხოლმე. პირადად ჩემთვის, ამდენი შრომის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი ეს 4 წამია, როცა შემიძლია მადლობა ვუთხრა ყველას,“ — ამბობს ახალგაზრდა დიზაინერი.

ანუკი არეშიძე თავის კოლექციებს „ანუკის“ მარკით ყიდის. მოდის სამყაროში ახლად ფეხადგმულმა პარტნიორობა დაიწყო ბიჭოლასთან, თუმცა მათი ტანდემი არ შედგა, დიზაინერები ერთმანეთს დაშორდნენ და ორივემ ცალ-ცალკე დაიწყო მუშაობა. ბიჭოლა უკრაინაში გადავიდა საცხოვრებლად და იქ მუშაობს, ანუკი თბილისშია და ზანდუკელზე თავისი ბუტიკი „ანუკიც“ აქვს. „ქალი, რომელიც „ანუკის“ ატარებს, ახლოს არის ბუნებასთან, უყვარს ფერთა თამაში და გამორჩეული დეტალები. მრავალფეროვანი კოლექცია ქალბატონებს დაეხმარება მრავალფეროვანი გახადონ თავიანთი გარდერობი.“ დიზაინერი საქორწინო კაბების ხაზზეც მუშაობს და ფეხსაცმელებსაც თავისი დიზაინით ქმნის.

კახა კალაძე და ანუკი არეშიძე ორი წლის წინ ოფიციალურად დაქორწინდნენ, თუმცა ცოლ-ქმრულ უღელში გაცილებით დიდი ხნის წინ ჩაებნენ. წყვილს ამ დრომდე ჯვარი არ აქვს დაწერილი, ანუკის საქორწინო კაბა და კახას საქორწინო კოსტიუმი კარგა ხანია შერჩეული და ნაყიდიც აქვთ. მათი ქორწილის შესახებ ინფორმაცია რამდენჯერმე გავრცელდა, თუმცა არც ერთხელ არ დადასტურდა. ითქვა ისიც, რომ წყვილი თავის ქორწილში ცნობილი დიზაინერის ჯორჯო არმანის მოწვევს გეგმავდა:

„საქორწინო ბეჭედი უკვე ნაყიდია, ჩემი კაბა ერთი წელია კარადაში კიდია. კოსტუმი კახიმაც შეიძინა,“ — აცხადებდა საპატარძლო. მაშინ ისიც ითქვა, რომ ქორწილი ნათესავებისა და ახლობლებისთვის საქართველოში გაიმართებოდა, მეგობრებისთვის კი იტალიაში.

წყვილს სამი შვილი ჰყავს ლევანი, კახი და ვაჩე. როგორც ანუკიმ განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ მათ გოგონა არ ჰყავთ, შვილების თემა დახურულია, თუმცა დიზაინერის საპირველაპრილო ხუმრობამ მთელი საზოგადოება შოკში ჩააგდო, როცა რამდენიმე თვის ნამშობიარევმა ანუკიმ სოციალურ ქსელში დაწერა, „მალე მეოთხე ანგელოზი მეყოლება“. როგორც ცნობილია, კახა კალაძე ყოველთვის ამბობდა, რომ 4 შვილის ყოლის სურვილი ჰქონდა, შეძლებს თუ არა თავისი სურვილი რეალიზებას ენერგეტიკის მინისტრი, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.

ცფვუკჯდბფვჯ უფყნ[ფლჩ,ჩ,ბ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე კათედრის თანამშრომელი

თეა ყარაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

თეა ყარაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ცფვუკჯდბფვჯ უფყნ[ფლჩ,ჩ,ბ ვბბქჩ,ფ .ჯდჩკლქჩ7
რდბჰბც უფჰლფ7!@-ლფყ!& ცფფსფვლჩ8



## TV პროგრამა

### ორშაბათი 24 ნოემბერი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.15 "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად 11.00 "სამოთხის ვაშლები" 12.40 "სადილის დრო" 13.20 ტ/სერ. **"ცხოვრებისეული რეცეპტი"** 14.20 დ/ფ "ალექსანდრე დიდი მაკედონელი" 15.00 ტ/სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** 17.00 "ქართული ჯარი" 17.30 დ/ფ "ლანსის ლუვრი" 18.30 ტ/სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 21.00 ტ/სერ. **"ლოს-ანჯელესის პოლიცია"** 22.00 "არენა" (პ/ტრ.) 23.30 მხ/ფ **"ემიგრანტები"** 02.10 "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად 02.50 "სამოთხის ვაშლები"

08.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 09.00 მხ/ფ **"იტალიის კონსული"** 10.30 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "რომი" 11.00 დ/ფ "სიყვარულის სახელით" 12.00 მხ/ფ **"ეს საშინელი სიღარიბე"** 13.30 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები"- "ჩეხეთის რესპუბლიკა" 14.00 "ეპიცენტრი" 15.00, 17.00. 21.00, 22.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 16.00 ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "გამომძიებელი რეპორტიორი" 23.00 "ნამდვილი დრო"

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა. 10.05 სერ. **"სიცოცხლის სიყვარული"** 11.20 სერ. **"სილა"** 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. **"უდანაშაულო"** 17.35 სერ. **"მინდა გახსოვდე"** 18.45, 19.03 სერ. **"ღირსების საქმე"** 20.55 სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** 22.00 მხ/ფ **"გატეხილი ისარი"** 00.10 მხ/ფ **"სხეულის ენა"**

06.30 სერ. **"მათრობელა სიყვარული"** 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ბედისწერა"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"ბედთან მებრძოლი"** 18.45 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.45 სერ. **"ქარადაი"** 22.00 ნიჭიერი 00.30 სპორტ ტაიმი 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი

07.30 GDS დილა 10.00, 18.00 **სერიალი "მენტალისტი"** 11.00, 00.45 ჯიდიპედია 12.00 შუადღე GDS-ზე 14.00 დ/ფ "აირჩიე კაბა" 14.30 **სერ. "ფოტო გარეკანისთვის"**. 15.00 დ/ფ "მსოფლიო ზემოდან" 16.00 სტილის სამყარო 17.00 დ/ფ 19.00 პეპლის ეფექტი 19.45 მინიპედია 20.00 **სერ. "ზამთრის სუსტი მზე"**. 21.00 **სერ. "დაუჯერებელი ისტორია"**. 22.00, 01.45 მხ/ფ

06.10 საგალობელი 06.20 დ/ფ"მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.45 მხ/ფ **"მოიტაცეს თამარ ქალი"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირიაკე 12.05 მხ/ფ **"ფიროსმანი"** 13.25 კონცერტი - ქართული მელოდიები 15.05 კარაბადინი 15.30 სპექტაკლი **"ბაკულას ღორები"** 16.50 დ/ფ "სარფი მოლენა" 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ **"მოცურავე"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 პატერიკი 21.30 ღვთის სახლი 21.45 დ/ფ "ერთი დღე რესტავრატორებთან" 22.25 დ/ფ "დიმიტრი შევარდნაძე" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "უფლის ჯარისკაცები" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ **"საბრალონი"** I ნაწ. 02.20 ნიამორი

მაესტრო 7.00, 1.30 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი **"დრაკონებზე მონადირე"** 7.55 საქმიანი დილა დილის პროგრამა 9.40 ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება 9.55 პრესა უცხოური პრესის მიმოხილვა 10.00 **სერიალი "არასდროს დაგივიწყებ"** 11.50 პრესა ქართული პრესის მიმოხილვა 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 12.00, 15.00, 18.00 (ახალი ამბები) 12.30 ბიზნეს კონტაქტი 13.30 მაესტროს შუადღე შუადღის შოუ 15.45 პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა 16.00 სერიალი **"წარსულის ნაიარევი"** 17.40, 22.00, 1.50 "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან 18.40, 23.25 ინფაქტი 18.45 **სერიალი "ნარჩიტა"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) 22.15 **სერიალი "ქუჩეი და გუნეი"** 23.30 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 2.10 პრესა ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა 2.30 მხ. ფილმი **"პიანინო"**

გჰჯუჰფვჩ,ბ
ბ,ჩზლჩ,ფ ცფფუჩყნჯ
ვბყაჯჰფდჰბც4 ყჩ,ფჰსდბს

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

2 4 ნოემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1.7938

ევრო — 2.2313

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2.8111

100 რუსული რუბლი — 3.9172




## ამინდის პროგნოზი 24 ნოემბრისთვის



# კალეიდოსკოპი

## უსამართლოდ გასამართლებული 39 წლის შემდეგ გაათავისუფლეს

კლივლენდში სასამართლომ ყველა ბრალდება მოუხსნა 57 წლის აფრო-ამერიკელ რიკი ჯექსონს, რომელმაც 39 წელი გაატარა ციხეში მკვლელობის ბრალდებით. უფლებადამცველი პროექტის ,,უდანაშაულოს“ მონაცემებით, ეს მსგავსი შემთხვევების თავისებური რეკორდია, იტყობინება როიტერი.



ჯექსონი საქმის ორ სხვა ფიგურანტთან ერთად იქნა გასამართლებული 1975 წელს კლივლენდის ერთ-ერთ მაღაზიაში მომხდარი მკვლელობის გამო, რომლის დროსაც ჰაროლდ ფრენკსი იქნა მოკლული, რომელიც ფულის გადარიცხვებით იყო დაკავებული. მისი დანაშაულის ერთადერთ დამამტკიცებელ საბუთად წარმოდგენილი იყო 12 წლის მოზარდის ედი ვერნონის ჩვენება, რომელიც ამტკიცებდა, რომ თავდასხმის მომენტს შეესწრო. საქმის გადახედვის საფუძველი მაშინ გაჩნდა, როდესაც ვერნონმა, რომელიც ამჟამად 53 წლისაა, უარი თქვა საკუთარ ჩვენებაზე და ხელისუფლების წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ფაქტიურად არასოდეს ყოფილა დანაშაულის მოწმე. პროექტ ,,უდანაშაულოს“ ადვოკატებმა ოჰაიოს შტატიდან, მიმდინარე წლის მარტში საქმის გადახედვის მოთხოვნა შეიტანეს, მას შემდეგ, რაც ვერნონი პასტორს გამოუტყდა, რომ სინამდვილეში მკვლელობის მომენტში ის სასკოლო ავტობუსში იმყოფებოდა, რაც სხვა მოწმეებმაც დაადასტურეს. როგორც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები აღნიშნავენ, ვერნონმა განაცხადა, რომ მან იცრუა პოლიციის, პროკურორებისა და სასამართლოს წინაშე, რათა ამით ხელისუფლების კეთილგანწყობა დაემსახურებინა.

საბოლოო ჯამში, ჯექსონი საოლქო სასამართლომ გაამართლა. ჯექსონთან ერთად გასამართლებულმა კიდევ ორმა მამაკაცმა, ძმებმა რონი და უაილ ბრიჯმენებმაც, ასევე მოითხოვეს საქმის გადახედვა, მაგრამ ჯერჯერობით მათ საქმეზე გადაწყვეტილება მიღებული არ არის. რონი ბრიჯმენი 2003 წელს განთავისუფლდა პატიმრობიდან, ხოლო მისი ძმა ჯერ ისევ საპატიმროში იმყოფება.

თავდაპირველად ჯექსონს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, მაგრამ ეს განაჩენი გაუქმდა საბუთების გაფორმების დროს დაშვებული შეცდომის წყალობით. ბრიჯმენები კი სიკვდილმისჯილთა საკნებში მანამდე იმყოფებოდნენ, სანამ ოჰაიოს შტატმა 1978 წელს სიკვდილით დასჯა არაკონსტიტუციურად არ ცნო.

## ვენეციაში ტურისტებს დააჯარიმებენ

იტალიის ქალაქ ვენეციის ხელისუფლება აპირებს ჯარიმები დააწესოს ისეთი ბარგის მქონე ტურისტებისთვის, რომელიც ხმაურს იწვევს. აღსანიშნავია, რომ საუბარია ჩანთებზე, რომლებიც ბორბლებითაა აღჭურვილი და რომლებიც ხმაურს გამოსცემენ და ვენეციელებს ღამე ძილს უფრთხობს.



ამ შეზღუდვების დაწესების შემთხვევაში ტურისტებს მოუწევთ ან უფრო ძვირადღირებული ჩანთების შეძენა, რომლებიც ჰაერით სავსე უხმაურო ბორბლებითაა აღჭურვილი, ან საკუთარი ბარგი ხელში ატარონ. თუ ეს აკრძალვა შემოღებული იქნება, 2015 წლის მაისიდან ხმაურიანი ჩანთების მქონე ტურისტებს 100-დან 500 ევრომდე ჯარიმის გადახდა მოუწევთ.

ასევე აღნიშნულია, რომ ეს აკრძალვა ადგილობრივ მცხოვრებთ არ შეეხებათ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# ანუკი არეშიძეს სიყვარულში გამოუტყდნენ

ეკა ირემაშვილი

დიზაინერ ანუკი არეშიძეს სიყვარულში გამოუტყდნენ. მის მიმართ გრძნობები უკვე მერამდენედ მისმა მეუღლემ კახი კალაძემ არ დამალა. ახალგაზრდა დიზაინერი პირველად მონაწილეობდა თბილისის მოდის კვირეულში. ანუკიმ მოდის კვირეული თავისი ახალი კოლექციით გახსნა. რა თქმა უნდა, ძალიან ღელავდა, რაც იმან გამოიწვია, რომ მოდის კვირეულის გახსნის პატივი ერგო, თუმცა, არ იცის, რატომ. ეს შემოთავაზება მოდის კვირეულიდან წამოვიდა და დიზაინერი მას სიამოვნებით დათანხმდა:

„ჩემთვის ეს საპასუხისმგებლო იყო, რადგან მოწვეულ სტუმრებს თბილისის მოდის კვირეულზე ჩემი ჩვენებიდან შეექმნათ წარმოდგენა. მე ნამდვილად ვერ ვეტყოდი კვირეულის ორგანიზატორებს, კვირეულს მე გავხსნი ან დავხურავ-მეთქი. მსგავსი ამბიციები, საბედნიეროდ, არ მაწუხებს.“

ჩვენებას, რა თქმა უნდა, მისი მეუღლე კახი კალაძეც დაესწრო და თან უფროსი ვაჟი ლევანიც ახლდა. ჩვენების დასასრულს ყოფილმა ფეხბურთელმა თავისი მეუღლის მიმართ საქებარი სიტყვები არ დაიშურა და ჟურნალისტებსაც გამოუტყდა, რომ ანუკი ძალიან უყვარს:

„ანუკი ძალიან დადებითი, ქალური და ნაზია და ეს, ვფიქრობ, მის კოლექციას ეტყობა კიდეც. ყველა დიზაინერის კოლექცია ხომ თავად მისი შინაგანი მდგომარეობიდან გამომდინარეობს. ჩემი მხრიდან მას მაქსიმალური მხარდაჭერა აქვს. ყველაფერს გავაკეთებ, რომ კიდევ უფრო წარმატებული გახდეს. რაც მთავარია, მონდომებულია. წარმატებას ვუსურვებ არა მხოლოდ როგორც ჩემ მეუღლეს და ჩემი შვილების დედას, არამედ როგორც ქალს. მე ის ძალიან მიყვარს. ვინც ბევრს შრომობს, ღმერთი უფასებს.“



ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც კახი კალაძე თავის ცოლს სიყვარულში გამოუტყდა. ერთ-ერთ ტელეკომპანიაში სტუმრობისას ანუკი არეშიძეს ჟურნალისტებმა ვიდეოჩანაწერი უჩვენეს, სადაც კახი კალაძე მას სიყვარულს უხსნიდა და მისი ოჯახის დიასახლისობისთვის მადლობას უხდიდა. კახის სიტყვებმა ანუკი არეშიძე აატირა და თავისი ემოციურობა არც კამერების წინ დამალა.

თავის მხრივ დიზაინერიც აცხადებს, რომ მეუღლისგან მაქსიმალურ მხარდაჭერას გრძნობს. მხარდაჭერას და თანადგომას გრძნობს ქართული საზოგადოებისგანაც, რომელიც მისი კოლექციების და ნამუშევრების მიმართ დიდ ინტერესს იჩენს:

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# გოგა მესხი ერთი ერთში“-ს ლიდერია

ეკა ირემაშვილი

მუსიკალურმა შოუმ „ერთი ერთში“ სტარტი მესამედ აიღო. პროექტში პროდიუსერების გადაწყვეტილებით მონაწილეობენ სალომე ბაკურაძე, გოგა მესხი, ნუკა კვალიაშვილი, თემო საჯაია, ლიზა ყენია, გიორგი სუხიტაშვილი, ზურა ჯავახია და ნინი წიკლაური. ყველა მათგანი სხვადასხვა მუსიკალური შოუს წყალობით გახდა პოპულარული. პროექტის ყველაზე პატარა წევრია ლიზა ყენია, რომელიც ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეა.



შოუს წამყვანები უკვე ორი სეზონია რუსკა მაყაშვილი და კახა კინწურაშვილი არიან, ჟიურის წევრები ვოკალის პედაგოგი სისი სამი, ქორეოგრაფი ზაკ რისი და მხატვარი ნიკუშა შენგელაია. ჟიურის მეოთხე წევრი კი მოწვეული სტუმარია და ყველა ტურში იცვლება. პირველ ტურში მეოთხე საპატიო წევრი „ერთი ერთში“ მეორე სეზონის გამარჯვებული ნინო ძოწენიძე აღმოჩნდა. დარბაზში იმყოფებოდნენ წინა ორი სეზონის მონაწილეები და ახალ კონკურსანტებს ამხნევებდნენ. შვილების გასამხნევებლად პროექტში მივიდნენ ნუკა კვალიაშვილისა და ლიზა ყენიას დედები ეკა კვალიაშვილი და მაია ჯაბუა.

პირველ ტურში ყველა კონკურსანტმა კენჭისყრით აირჩია ის მომღერალი, ვისი განსახიერებაც მოუხდა. ლიზა ყენიას რიანა შეხვდა, ნინი წიკლაურს — შაკირა, გოგა მესხს — რომა რცხილაძე, ზურა ჯავახიას — ჯიმ მორისონი, თემო საჯაიას — ჯონ ბონ ჯოვი, გიორგი სუხიტაშვილს — მაიკლ ბაბლი, სალომე ბაკურაძეს — არეტა ფრანკლინი, ნუკა კვალიაშვილს — მერაია ქერი.

პირველი ტურის ლიდერი გოგა მესხი გახდა რომა რცხილაძის განსახიერებით და მისი უკვდავი ჰიტის „ნატვრის ხის“ შესრულებით. შოუს პროდიუსერების ჩანაფიქრით, სცენაზე ორი რომა რცხილაძე აღმოჩნდა. გოგა მესხის ერთი ერთში გარდასახვამ მაყურებელსა და ჟიურიში დიდი მოწონება დაიმსახურა და 62 ქულით პირველ ადგილზე აღმოჩნდა. ბოლო ადგილი პირველ ტურში ჟიურიმ და მაყურებელმა თემო საჯაიას მიაკუთვნა.

ლოტოტრონის მეშვეობით კონკურსანტებმა გაარკვიეს ვისი განსახიერება მოუწევთ მომავალ ოთხშაბათს. გოგა მესხი ბარი უაითი იქნება, ნუკა კვალიაშვილი — უიტნი ჰიუსტონი, ლიზა ყენია — ბრუნო მარსი, ზურა ჯავახია — ოაზისი, სალომე ბაკურაძე — ადელი, თემო საჯაია — მიკა, გიორგი სუხიტაშვილი — ენრიკე ეგლესიასი და ნინი წიკლაური — დაიანა როსი.




**ვერძი** — საინტერესო დღეა, თქვენც ბრწყინვალე ფორმაში ხართ. **კურო** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** — არ გადაიღალოთ, მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთეთ. **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** — მშვენიერი დღეა, საწადელს მიაღწევთ. **ქალწული** — ფულის პრობლემა არ გაქვთ, მთავარია არ გაფლანგოთ. **სასწორი** — ახალი პროექტი გაამართლებს. **ღრიანკალი** — საღამოს კარგ ახალ ამბავს გაიგებთ, გახარებული ხართ. **მშვილდოსანი** — წარსულს ნუ დაივიწყებთ, მაგრამ ახლა მომავალზე ფიქრი აუცილებელია. **თხის რქა** — თქვენი პარტნიორი თქვენზე ზრუნავს, მის მიმართ სითბო გამოიჩინეთ. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, ყველა საქმეს აკეთებთ. **თევზები** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული.

უბცე3ეტ,ს ,ტცყბტ3 ცქტს=



# იუმორი

●●●

ცოლი ქმარს საყვედურობს:

— მე შენზე ვზრუნავდი! ცუდად რომ გახდი, წვნიანი მოგიმზადე!

— ხომ არ გეშლება, — პასუხობს ქმარი, — შენ ჯერ წვნიანი მომიმზადე და ცუდად მერე გავხდი!

●●●

ექიმის კაბინეტში ხელშეხვეული მამაკაცი შევიდა და ექიმს ეუბნება:

— ექიმო, ხელი ძალიან მტკივა! ან დაჟეჟილობაა, ან მოტეხილობა...

— თვალები არ გტკივა?

— არა მხოლოდ ხელი...

— არც ტვინი?!

— არა, ხელი!!! ასეთ სულელურ კითხვებს რატომ მისვამთ?!

— იმიტომ, რომ ჩემი კაბინეტის კარზე დიდი ასოებით აწერია: ,,უროლოგი“!!!

●●●

კაცი ქუჩაში შემხვედრ ახალგაზრდებს აჩერებს და ეკითხებათ:

— თქვენ ძმები ხართ?

— არა, ტყუპები!

— კი მაგრამ, ძმები და ტყუპები განა ერთი და იგივე არ არის?

— ყოველთვის არა. ჩვენ, მაგალითად, დები ვართ.

●●●

ავტობუსში კონტროლიორი მგზავრს ეუბნება:

— თქვენი ბილეთი?

— ჩემი ბილეთი.

— თქვენი ბილეთი?

— ჩემი ბილეთი.

— თქვენ რა, ავადმყოფი ხართ?

— თქვენ რა, ექიმი ხართ?

— თქვენი ბილეთი!

— ჩემი ბილეთი...

— რა ამოიჩემეთ, სხვა სიტყვები არ იცით?

— ვიცი: მტვერსასრუტი.

— მე კონტროლიორი ვარ!

— მე — სანტექნიკოსი...

— სახლში ყველაფერი რიგზე გაქვთ?

— სტუმრად გინდათ მოსვლა?

— თქვენი ბილეთი!!!

— რად გინდათ?

— უნდა ვნახო...

— შეიძინეთ და უყურეთ, რამდენიც გინდათ...

— თქვენი ბილეთი!!!

— ესეც ჩემი გაჩერება!!!

●●●

ოსი მდინარეს მიაქვს და იძახის:

— ხალხოოო... ბოლო ბანაობაა, ბოლო ბანაობა...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



## h3xცეx3ცბ

**თარაზულად:** 1. „გველის ...“; 3. იგივეა, რაც ლითონი; 9. ბავშვის სასრიალო მარხილი; 14. სხვაზე დახარჯული შრომა; 15. რამაზ ჩხიკვაძის სცენური როლი; 17. მდინარე რუსეთში; 20. ვაშა! (იაპონურად); 22. საწვავი სითხე; 23. ქეთოს მამა (ცნობილი ფილმიდან) 25. სამეტყველო ორგანო; 26. თითბრის ჩასაბერი საკრავი; 27. დამხმარე თეორემა; 28. სახალხო რაზმის წევრი, რომელიც მტრის ზურგში იბრძვის.

**შვეულად:** 1. იტალიური ღვეზელი; 2. ბუნებრივი საღებავი; 3. გეოგრაფიული რუკის მახასიათებელი სიდიდე; 4. ვივიენ ...; 5. სტადიონი ბრაზილიაში; 6. ვულკანიდან ამონთხეული მასა; 7. ბიზეს ოპერა; 10. საზღვაო ტრანსპორტი; 11. გრძელი ქურთუკი, რომელსაც ცხენზე ჯდომის დროს იცვამდნენ; 12. სარფიანი თანამდებობა, „თბილი ადგილი“; 13. განსჯის პროდუქტი; 16. მიჯნა, საზღვარი; 18. ლირიკული პოეზიისა და მუსიკის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში; 19. იგივეა, რაც ტაროსი; 21. პატარა სწრაფმავალი მზვერავი გემი; 24. ინდოეთის ფულის ერთეული.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*